კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

ორშაბათი
24 თებერვალი, 2003 წელი
№51
(4430)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

რა განძი გვქონია

## [illegible]

სტორსა და განჯაურას წყალს შორის აზიდული მთა, მასზე არსებული ციხის წყალობით, თორღვას სახელს ატარებს. ეს ციხე-გალავანი თორღვას აუშენებია, რომელზეც ხალხური გადმოცემების მთელი ციკლია შექმნილი.

იხ. მე-6 გვ.

თვალსაწიერი

## ჩვენ აქ ერთმანეთს ცხვირ-პირს ვუნაყავთ, მელია კი საქათმიდან ტყისკენ მიგვაქანებს

**გამოჩენილი რომაელი მოღვაწე კატონი, რაზეც უნდა დაეწყო ლაპარაკი, ბოლოს მაინც იმით დაამთავრებდა, კართაგენი უნდა დაინგრესო.**

ჩვენი ჭაბუკი (ხანდაზმულნიც) პოლიტიკოსები, რომლებსაც ქრონიკული მოუთმენლობა სჭირთ, კატონივით წავლენ-წამოვლენ და ამოჩემებულად ხელისუფლებას მიადგებიან: „ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!“

ეს რომ ვთქვათ, სახალხოფრონტელი ორაკული ნოდარ ნათაძე იყოს, რომელიც თავისი საყოველთაოდ ცნობილი მისნური წინასწარჭვრეტით ხედავს, რომ „ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ქვეყანაში ტერორის გზით შიშს თესავს და საპარლამენტო არჩევნებზე ტოტალური გაყალბებისთვის ემზადება“ და ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში დარჩენილ „პატიოსან ძალებს“ **არჩევნებამდე ხელისუფლების პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებისკენ** მოუწოდებს, კიდევ ჰო, იტყვი, არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია“, თავი ისევ 1980-იან წლებში ჰგონია, ან ნათაძისგან მეტს რას ელოდი.

მაგრამ როცა ნათაძისებურად ის ოპოზიცია ირჯება, რომელიც პირდაპირ ვენებს იჭრის ხელისუფლებაში მისასვლელად და ამას მხოლოდ ხელისუფლების ლანძღვით (კრიტიკით კი არა, ლანძღვით) იქმს, სწორედ გაოცდები: თუ უფრო მძიმე საპირწონე არ აქვს სასწორის პინაზე დასადებად, ეს მჭლე არგუმენტი – დღევანდელი ხელისუფლება არ ვარგა, მე უკეთესი ვიქნებიო, დიდი ვერაფერი შვილია.

დღეს ყველაფერი მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინით სუნთქავს. უფრო სწორად, ამ ფრთიან გამოთქმას წამდაუწუმ გვჩრიან ცხვირში. თორემ, საზოგადოების იმ ნაწილს რომ ვუყურებ, ვისთვისაც ყოველდღიური ლუკმის შოვნაა მთავარი სადღეისო და სახვალიო ამოცანა (ასეთი კი ჩვენი საზოგადოების 90 პროცენტია), მაინცდამაინც ვერ ვატყობ, რომ ამ მოლოდინით მაჯააჩქარებული ქოშინებს. მან გამოცდილებით იცის: ყოველ ახალ არჩევაზე უარეს და უარეს პარლამენტს ვიღებთ.

იხ. მე-2 გვ.



ჭიჭაკვის ხეობა, კოხტა ღვთისმშობელი.

გაუტიეს!

## ბზიკები, რომლებიც კორიდაზე დაფრინავენ

**თუ გეშინია, ნუ იტყვი, თუ იტყვი, ნუ გეშინია.**

არაბული ანდაზა.

**აივსო სავალუტო ფონდის საფოსტო ყუთი წერილებით საქართველოდან: გვიშველეთ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ღუპავს ქვეყანას, ჩვენს უნიკალურ ფლორასა და ფაუნას, უწინარეს ყოვლისა, ბორჯომის საკურორტო ზონას, სამკურნალო წყალს, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვებაო...**

უნიკალურსაო!

წყალზე ვინ დავობს, უნიკალურია. მაგრამ მართლაც უნიკალური, განუმეორებელი და განსაცვიფრებელი ამ და ბევრ სხვა შემთხვევაში იმ წერილების ავტორები და გადამწერთა მოკარნახენი არიან: გულდათუთქულობის ცრუსიმბოლოები.

ცრუპენტელები!

მარტივი სიტყვაა, მაგრამ ყველასთვის გასაგები, და მათზე ზედგამოჭრილიც იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა.

ცრუპენტელობა უბოროტო მიუნჰაუზენობაა, ესენი კი ბოროტი ტყუილისა და სიყალბის მუხტით არიან დატენილი, დაღლილი ბუნების რაღაც შეცდომით შექმნილი ყუთი პანდორასი, შეფერადებული ჭაობის სიმწვანით და გოგირდის სილურჯით, რომელიც, ორიენტაციადაკარგული, მსუბუქ ცისფერში გადადის.

იხ. მე-2 გვ.

თაობა

## „მაღლა, ცაში აფრინდები“...

**„ფრენის 100 წლისთავი“ - ნორჩ მხატვარ-დიზაინერთა საერთაშორისო კონკურსი - 2003**

იხ. მე-4 გვ.



ლევან ძნელაძე, „ფაქიზო დრუბლებში“.

დღის თემა

## პოლიტიკა კი არ გახდა კრიმინალური, კრიმინალური სამყარო გაპოლიტიკოსდა...

**„ან ქურდობას მოვსპობთ, ქურდები გადაშენდებიან, ანდა უნდა ვთქვათ, რომ სამართალდაცვის სისტემა საქართველოში არ არსებობს“ – 15 თებერვლის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე კრიმინალური პროცესებისა და „კანონიერი ქურდების“ მიმართ საქართველოს პრეზიდენტის შეფასებამ კიდევ ერთხელ გამიჩინა სურვილი ჩემი მოსაზრებები გამეცნო ფართო საზოგადოებისათვის, კიდევ ერთხელ წარმომეჩინა ჩემი პოზიცია.**

ბედმა ინება, რომ ცხოვრების გარკვეულ პერიოდში (1983-1989 წლებში) მემუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოში, ჯერ სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ – ამავე სამმართველოს უფროსად.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს



**ამშ-მა** „იქს საათი“ **7 მარტისთვის დანიშნა. ამ დღეს UNMOVIC-ის ხელმძღვანელი მორიგ მოხსენებას წარმოადგენს, რის შემდეგაც აშშ გაეროს უშიშროების საბჭოში შეიტანს რეზოლუციას, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენების სანქციას იძლევა. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, მეტს აღარ მოვიცდით.**

**ევგენი პრიმაკოვი** კონფიდენციალური მისიით ეწვია ერაყს. გაგახსენებთ, რომ 1990 წელს იგი ორჯერ იყო ბაღდადში, რათა სადამ ჰუსეინი კუვეიტიდან ჯარების გამოყვანაზე დაეთანხმებინა და თავიდან აეცილებინა ომი სპარსეთის ყურეში.

ინტერპანორამა

**ისრაელში ხელი მოაწერეს კოალიციური მთავრობის შექმნის შეთანხმებას. მასში შევლენ მემარჯვენეცენტრისტული პარტიების „ლიკუდის“, „შინუისა“ და „მაფდალის“ წარმომადგენლები, რომლებსაც ერთობლივად 61 მანდატი აქვთ 120-ადგილიან პარლამენტში.**



**ერევნის ცენტრში 60-ათასი კაცი მოითხოვს რობერტ ქოჩარიანის გადადგომას. ოპოზიცია ითხოვს აგრეთვე სომხეთის სახალხო პარტიის ლიდერის სტეფანე დემირჭიანის გამარჯვების აღიარებას საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თვალსაზრისი

(პირველი გვერდიდან)

# ჩვენ აქ ერთმანეთს ცხვირ-პირს ვუნაყავთ, მელია კი საქათმიდან ტყისკენ მიგვაქანებს

თუნდაც 1999 წელი გავიხსენოთ. ხმა მივეცით მოქალაქეთა კავშირს. ის კი, ჯერ მონსტრად იქცა, შემდეგ ოპორტუნიზმით დაორსულდა და „ნაციონალები", „გაერთიანებული დემოკრატები" და „ახალი მემარჯვენეები" შვა.

დღეს „ნაციონალები" და „დემოკრატები" ერთიანი ფრონტით გამოდიან და ყველა ოპოზიციურ პარტიას თავისკენ ექაჩებიან მშობელ დედის – მოქკავშირის წინააღმდეგ, რომელიც ამდენი უძღები შვილის გაჩენის შემდეგ ის აღარ არის, რაც იყო, აღარც ძალა მოსდევს და აღარც ფხა (ჯერჯერობით მაინც!). ამდენად, თითქოს იოლი დასამარცხებელია.

მაგრამ, ეტყობა მთლად ასე იოლად და მარტივად არ არის საქმე, რადგან „ნაცმოძრაობისა" და „დემოკრატების" ლიდერები გულდაგულ ეხვეწებიან სხვა პარტიებს, კოალიციად შევიკრათო. და ძალზე ნაწყენ-შეცბუნებულები არიან, რომ ისეთი მძლავრი და სერიოზული პოლიტიკური ძალა, როგორიც ლეიბორისტებია, უარს ამბობს ამაზე.

შალვა ნათელაშვილს და მის გუნდს იმედი აქვთ, რომ დამოუკიდებლადაც გადალახავენ ბარიერს. მათი ეს იმედი კი გარკვეულად იმედს უკარგავს პოტენციურ კოალიციას, რომ მომავალ პარლამენტში „ორ მესამედს გააკონტროლებს".

თუმცა, ეს კოალიციური გაერთიანება რომც მოხდეს, დიდი ალბათობაა საბოლოოდ ისეთივე შედეგი მივიღოთ, როგორიც თბილისის საკრებულოში ნაციონალებისა და ლეიბორისტების არშემდგარი თანამშრომლობით მივიღეთ.

ეს თბილისის საკრებულოში! პარლამენტში ხომ ასპარეზი დაპირისპირების და სათავისოდ გადაღუნვებისათვის განუზომლად მეტია. ჰოდა, იქ უკვე ორსულად მისული კოალიცია, ძალიან ჩქარა რას შობს და რამდენს შობს, კაცმა არ იცის, მით უფრო, თუ, როგორც ვარაუდობენ, უმრავლესობა მართლა ის იქნება (მთელი სამი მეოთხედი!). დანარჩენი ერთი მესამედი (ალბათ მოქკავშირი თავისი მოკავშირეებით და ლეიბორისტები) უკვე ოპოზიციად ეკურთხება. ოპოზიცია კი, გამოცდილებიდან გამომდინარე, მოგეხსენებათ, ჩქარა ახერხებს უკმაყოფილო ხალხის მიმხრობას. უკმაყოფილების მიზეზს კი რა დალევს. ისე რომ, „როგორი ამინდი იქნება ხვალ", ანუ რამდენიმე თვეში, სავარაუდოდ შეიძლება წარმოიდგინოს გამჭრიახმა კაცმა...

შიდაპოლიტიკური ამინდის გაურესებასთან ერთად, ამინდის გამოსწორებას პირი არ უჩანს ჩრდილოეთით. რუსეთი უკვე აშკარა პროვოკაციას არ ერიდება – უკვე სატვირთო მატარებლების მოძრაობის აღდგენას ეპირება სოხუმი-სოჭის სარკინიგზო ტრასაზე. პრეზიდენტმა პუტინმა ამის შესახებ, ალბათ, კიდევ „არ იცის". საინტერესოა, როცა მარტში დაგეგმილ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრისას ამას „შეიტყობს", რა ახალ გასამართლებელს მოიშველიებს პატივცემული ვლადიმერ ვლადიმერის ძე მსოფლიო საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად?

პრეზიდენტისგან განსხვავებით, მთლიანობაში რუსული პოლიტიკა არავითარ დიპლომატიურ კოხტაპრუწობას არ მიმართავს. თუნდაც ასეთი თვალნათლივი, დამახასიათებელი მაგალითი ავიღოთ. ახლახან (2003 წ. № 7) გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტი"-ში ანდრეი უგლანოვი მიუკიბმოუკიბავად წერდა:

„ეს ქვეყანა (საქართველო – ა. ა.), გასაღები მთელი ამიერკავკასიისა, თითქმის დაკარგულია. არ ღირს იმის იმედად ყოფნა, რომ ე. შევარდნაძეს პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსი შეცვლის. და როგორია ამ დროს ДСП როლი? ჩვენ საქართველოს ვეხმარებით გაზით, ენერგიით, სურსათით. არ ჯობდა მოგვეცადა და პირობებზე მოგველაპარაკა? **იქნებ ჩვენთვის საერთოდ უფრო მომგებიანია საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფოს არსებობა? იქ ხომ ჩარევაც არ დაგვჭირდება"**.

ნათქვამია ნათლად და ზუსტად!

ჩვენ აქ ერთმანეთს ცხვირ-პირს ვუნაყავთ, მელია კი საქათმიდან ტყისკენ მიგვაქანებს.

**ალეკო ასლანიშვილი.**

კვირა

რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს თამარ ჭოხონელიძე.**



## ქვეყნისთვის

– არა მხოლოდ ამ, არამედ უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე რუსი ცისფერჩაფხუტიანების გასვლა-არგასვლის საკითხი იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. საერთოდ, აფხაზეთის საკითხი ყველაზე მეტად ტკივილიანია და უფრო დიდი პრობლემა საქართველოს ამ ეტაპზე, ვფიქრობ, არ გააჩნია. მიმაჩნია, რომ ამჯერად ეგრეთ წოდებული „რუს სამშვიდობოებს" მართლაც უნდა გაგრძელებოდათ ვადა, მხოლოდ უკანასკნელად.

## ჩემთვის პირადად

– საბედნიეროდ, გასულ კვირას თავში არავის არავისთვის არაფერი ჩაურტყამს. მუსიკალურ სამყაროში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ვფიქრობ, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად მუსიკალური ცხოვრება უფრო ინტენსიური გახდება და საინტერესო კონცერტებითა და ჭეშმარიტად ახალი ქართული სიმღერების წარმოჩენით დაგვამახსოვრებს თავს.

რაც შემეხება პირადად მე, – მიმაჩნია, რომ კეთილშობილური საქმის წამოწყების ერთ-ერთი თანამონაწილე ვარ – ორშაბათს, 24 თებერვალს ოპერის თეატრში იმართება აქცია-კონცერტი, რომელიც ქართული ტრადიციული სიმღერის გადარჩენას ისახავს მიზნად. მეც და ჩემი შვილი მარიამიც დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ამ საქმეს და მთელი სერიოზულობით ვემზადებით ამ კონცერტში მონაწილეობისათვის. საკუთარ თავზე მეტად მარიამზე ვღელავ, რადგან როგორც ფოლკლორისტი ვაღიარებ, რომ ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის ერთ-ერთი ყველაზე რთული სიმღერა – „ოროველა" უნდა შეასრულოს.

მინდა ამ კონცერტ-აქციის ყველა მონაწილეს წარმატება ვუსურვო.

გაუტიეს!

# ბზიკები, რომლებიც კორიდაზე დაფრინავენ

(პირველი გვერდიდან)

ბუნება დიდად არ გარჯილა ამათი „ლიდერების" სახეების შექმნაზე, – დავესესხოთ დიდ სატირიკოსს ნიკოლაი გოგოლს სობაკევიჩზე ამგვარად ნათქვამი.

აი, ახლა კი ცოტა შეისვენეთ, დაფიქრდით და გაიხსენეთ კალმით ნახატი მათი სახეები და ან დამეთანხმებით, ან – არა.

მე კი განვაგრძობ:

გვყვანან ჩვენ (დიდი შენაძენია!) 90-იანი წლების დასაწყისში, ან ცოტა მოგვიანებით გამოჩეკილი პოლიტიკოსები, მოკეკლუცო ტიპები, რომლებიც კორიდაზე გამოყვანილ ხარს ბზიკებივით ხან ერთი მხრიდან, ხან – მეორედან ბანდერილიებს ჩაასობენ, რათა ტორიადორს (მატადორს, ტორეროს) სისხლისგან საკმაოდ დაცლილი მსხვერპლი სასიკვდილო დარტყმისთვის გაუმზადონ.

ეგაა, რომ მათი ხარი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე და აზრია.

ერთმა ჭკვიანმა ხელოვანმა ამგვარად მოცქრიალე „მოღვაწეები" გასული საუკუნის სამოციანელთა ერთ ნაწილს შეადარა, ვინც საკუთარ თავზე უფრო დიდი წარმოდგენისა იყო, ვიდრე უფლება ჰქონდა ყოფილიყო: ჰგავანანო ისინი ვაზას, რომელზეც იური გაგარინის პორტრეტია გამოსახული, რომელსაც საბჭოთა გრაალის პრეტენზია აქვს, თუმცა არც კოსმოსთან, არც გაგარინთან საერთო არაფერი გააჩნია: იყო და რჩება მარგინალურ უხამსობად.

ასეთივე უხამსობა და უგვანობაა ის, როცა დროის და თაობათა მონატანს საკუთარ დამსახურებად მიიწერენ ჩვენი მყიფე ვაზები, არ ვიცი ვისი პორტრეტებით დამშვენებული.

დაესივნენ ახლა ეს მოკეკლუცე ტიპები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს და ატეხეს ერთი ვაი-უშველებელი და მეორედ მოსვლა: „შექმნეს სიტუაცია".

მადლობა ღმერთს, საქმეში ჩახედულმა ხალხმა არ მისცა მათ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალება: ჩაიფუშა „საუკუნის პროვოკაცია".

საქართველოში ჩაიფუშა. რადგან ხალხი არც ბრმაა, არც ყრუ და არც რეალურობას მოწყვეტილი ეგზალტირებული მასა, რომლის კალაპოტიდან ამოგდება ატლინკებულ შამანებს შეეძლოს.

ხალხმა ნახა, რომ ის, რასაც ჭეშმარიტად საუკუნის პროექტი ეწოდება, მათი კეთილდღეობისთვის მოწოდებული რეალობაა. ეს რეალობა კი ნიშნავს იმ რაიონების, სოფლების, ოჯახების პრობლემების მოგვარებას, რომლებიც ძირითადად უსახსრობის გამო აქამდე გადაუწყვეტელი რჩებოდა, მათს სოციალურ მოწყობას ნიშნავს.

მხოლოდ ერთი ციფრი – 11 მილიონი. ეს არის ის თანხა, რომელიც ხალხისა გახდა, იმ ადამიანებისა, ვისაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი რაღაც კუთხით შეეხო.

ჩაიფუშა გაურკვეველი შეფერილობის მოძრაობათა „ლიდერების", ჩვენი დროის ჰეროსტრატეთა კიდევ ერთი მცდელობა დაეწვათ არტემიდეს ტაძარი.

ამან კიდევ უფრო გაამწარა და ახალი მასირებული შეტევისთვის დარაზმა დაღლილი ბუნების ეს დაუდგრომელი შვილები: დასხდნენ წერად და დასხეს წერად არა ოდენ ოცდაათ ვერცხლად ნაყიდი ბიოქსეროქსები.

ქაღალდს ცეცხლი ეკიდება,
ამ სიხარულს, ნეტავ, რა სჯობს!
თქვენ – სალამი! თქვენ – დიდება!
თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!

მომკალით და აღარ მახსოვს – ბერიასა თუ სტალინზეა ეს ყაველგასული სიმღერა, მაგრამ, ოდნავ შეცვლილი, მე ძალიან გამომადგა, რადგან შეიცავს ახალ თემაზე გადასასვლელ საკვანძო სიტყვას – ჩამოსვლა.

ჩამოვიდა სულ ახლახანს თბილისში სავალუტო ფონდის მისია. ვერ გეტყვით, მაინცდამაინც საქართველოდან გაგზავნილი წერილებით შეწუხებული, მაგრამ მისი წევრები ფრიად გაოცებულები კი ჩანდნენ, როცა საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხეს, რას უნდა ნიშნავდესო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საწინააღმდეგო ეს ეპისტოლარული გააფთრება?!

ლაკონური იყო ედუარდ შევარდნაძის პასუხი:

– მე ისეთს არაფერს გავაკეთებ, ჩემმა შთამომავლობამ საფლავიდან რომ ამომიღოს. ჩაბრძანდით ბორჯომში და თქვენი თვალით ნახეთ, რაც იქ ხდება.

ჩავიდნენ.

დაბრუნდნენ და საქართველოს პრეზიდენტს მოახსენეს, რომ სიხარულს ვერ მალავენ იმის გამო, რაც იქ ნახეს. ნახეს კი ის, რომ ნავთობსადენის მშენებლობა არა თუ არაფრით არ ემუქრება ბორჯომის მართლაც უნიკალურ საკურორტო ზონას, რადგან მრავალსაფეხურიანი დაცვით არის გარანტირებული მისი უსაფრთხოება, არამედ ბევრ პრობლემასაც მოუგვარებს ადგილობრივ მოსახლეობასაც და თვით ბორჯომსაც.

ისე რომ, შთამომავლობის მხრიდან თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, არავითარი საშიში ქმედება არ გემუქრებათ. ესეც დაამატეს.

* * *

**მცონარობა და უსაქმურობა ეძიებს ბიწიერებას და მისკენ მიილტვის. ეს ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს უთქვამს.**

**არმაზ სანებლიძე.**

ოფიციალური ინფორმაცია

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ

**სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე მიღწევების კოორდინაციის, ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისათვის ხელშეწყობის, ადამიანის განვითარების პრობლემების მეცნიერული მეთოდოლოგიის დამუშავების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანური რესურსების პროფესიული მომზადებისა და მათი უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად დაავადებათა აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განვითარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი.**

დამტკიცდა ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტისა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დებულებები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაევალა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რეალიზებად სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში შპს „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის," უფლება-მოვალეობათა განხორციელება. ხოლო ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულმა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რეალიზებად სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და შპს „სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის" უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

ქონების მართვის სამინისტროს დაევალა უმოკლეს დროში უზრუნველყოს შპს „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის", შპს „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა" და შპს „სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის" ლიკვიდაცია და ამის შედეგად გამოთავისუფლებული ქონება გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტსა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მწვავე თემა

# პოლიტიკა კი არ გახდა კრიმინალური, კრიმინალური სამყარო გაპოლიტიკოსდა...

(პირველი გვერდიდან)

ამ წლებში საქართველოში მიმდინარეობდა უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალური პროცესების, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვისა და და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რასაც სათავეში ედგნენ შსს მინისტრები გურამ გვეტაძე და შოთა გორგოძე, მინისტრის პირველი მოადგილე ვარლამ შადური, მინისტრის მოადგილე გივი კვანტალიანი. მაგრამ ერთია ამოცანის დასახვა და კეთილი გარემოს შექმნა ამოცანის შესასრულებლად, ხოლო მეორეა უშუალო შემსრულებლების თავდადება, პროფესიონალიზმი, მაღალი ზნეობა და ა. შ. ამ მხრივაც ბედნიერი თანხვედრა იყო. სისხლის სამართლის სამძებროში თავი მოიყარეს ბრწყინვალე ოპერატიულმა მუშაკებმა, ძველი თაობის წარმომადგენლებმა მამია თარგამაძემ, ბორის რუხაძემ, ვახუშტი ჯაფარიძემ, ნუგზარ ქავთარაძემ, კუკური ადამიამ და მრავალმა სხვამ (ბუნებრივია, ყველას ვერ დავასახელებ), აუცილებელი იყო ახალგაზრდული შემართება, დაძაბული ფიზიკური შრომა, თანამედროვე მუშაობისა და ფორმების ცხოვრებაში დანერგვა, ადგილებზე ოპერატიული მუშაკების



მომზადება და ა. შ. ამ მხრივაც ბედმა გაგვანებივრა, ჩემს გვერდით, ვერ ვიტყვი მუშაობდნენ-მეთქი, „ცოცხლად იწვოდნენ“ ბრწყინვალე პიროვნებები, რომლებსაც მაშინ „უჩინარი ფრონტის“ მუშაკებს ეძახოდნენ, საზოგადოებამ ისინი შემდგომში გაიცნო, როცა მათი ასპარეზი გასცდა სისხლის სამართლის საქმიანობის ჩარჩოებს, მხედველობაში მყავნან გივი ლომინაძე, რომან გვენცაძე, გრიგორი შონია, ნოდარ წკრიალაშვილი და სხვები. შსს ყველა სტრუქტურა ერთიანი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ადგილებზე ჭეშმარიტად გამორჩეული მილიციის უფროსები ედგნენ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას.

რაც შეეხება თემის ძირითად ნაწილს, კრიმინალურ პროცესებთან ბრძოლას, უნდა განვაცხადო, რომ ეს პროცესი ისეთივე მეცნიერულ და ზუსტ მიდგომას მოითხოვს, როგორც ნებისმიერი სხვა დარგი, მაგალითად მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და ა. შ. ბრძოლის წესებიდან ოდნავი გადახვევა და საქმიანობის ნებისმიერ ასპექტში გადახრაც კი ტრაგიკულ შედეგებს გამოიწვევს. დაუშვებელია, როცა დამნაშავეობას ებრძვიან არაპროფესიონალები, რომლებსაც არა თუ სპეციალური ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, არა აქვთ, არამედ იურისპრუდენციაში, განსაკუთრებით კრიმინალისტიკაში, ჩახედულიც არ არიან. შეიძლება, რომ სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკმა შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესი სრულყოფილად არ იცოდეს, ან თანამედროვე ექსპერტიზის სახეობებს არ იცნობდეს, არ ჰქონდეს ტრანსპორტი, საწვავი?.. არ შეიძლება! შეიძლება, რომ სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკი სრულყოფილად არ ფლობდეს ოპერატიული საქმიანობის ძირითად ასპექტებს, უფრო სწორედ, არ შეეძლოს ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება, რათა დროულად მოიპოვოს წინასწარი ინფორმაცია მოსალოდნელ დანაშაულზე? შეიძლება, რომ ოპერატიულმა მუშაკმა არ იცოდეს რა კომპონენტებისაგან შედგება ოპერატიული ვითარება ამა თუ იმ რაიონში, ქალაქში, რეგიონში, ან საქმიანობდეს რომელიმე მიმართულებით, მაგალითად, ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით და არ შეეძლოს მისი ანალიზი, აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია? არ შეიძლება! შეიძლება, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები იყვნენ მექრთამეები?

ოპონენტი შემედავება, მტკიცებულებაა საჭიროო. კი ბატონო, შეხედეთ თბილისში აშენებულ სრასახლებს. განა დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი თანხებით არ არის აშენებული? როცა ამა თუ იმ პიროვნებაზე საზოგადოებაში შეიქმნება აზრი, რომ ის მექრთამეა, მტკიცებულებებიც არის, მაგრამ გამკითხავი არავინ ჩანს, პიროვნებას აწინაურებენ, გენერლობას აძლევენ და ა. შ. ეს ხომ ცინიზმის უკიდურესი ფორმაა!

ოპერატიული დანაყოფების ატროფირების გარდა, სხვას ვერაფერს დავარქმევ, როცა ქვეყანაში ადამიანებს, მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვებსა და უცხოელებს იტაცებენ, კლავენ და ა. შ. დამნაშავენი კი დაუსჯელი რჩებიან. არ არის ეს საზოგადოების გამოწვევა?

ყოველი გაუხსნელი მკვლელობა ნიშნავს, იმას, რომ მკვლელი დაკავებული არ არის. მან რომ მორიგი მკვლელობა ჩაიდინოს, ისინი, ვისაც მისი გამოვლენა ევალება, არ ხდებიან მკვლელობის თანამონაწილენი? დიახ, ხდებიან! ამ კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა კრიმინალურ პრობლემებზე ვმსჯელობთ. არა ერთი თანამდებობის პირი ცინიკურად აცხადებს, „არ არსებობს ქვეყანა, სადაც ყველა დანაშაული იხსნებაო“. კი, ეს ასეა, მაგრამ რომელ ნორმალურ ქვეყანაში სჩადიან ქილერები თავის ბინძურ საქმეს დღისით-მზისით და შემთხვევის ადგილიდან დაუსჯელად მიდიან? განა კახი ასათიანის მკვლელობის ფაქტი ამაზე არ მეტყველებს?

იმ პირებს, რომლებიც თავის თავს „პროფესიონალებს“ უწოდებდნენ, ერთ კითხვას დაუსვამ: იცით, რა არის დანაშაულის პროფილაქტიკა? ან კიდევ, იცით, როგორ უნდა შეიქმნას კრიმინალურ პროცესებზე ზემოქმედების სისტემა? ბუნებრივია, ეს ძალზე რთული პროცესია, თუმცა, რატომ მოკიდეთ იმ საქმეს ხელი, რომელიც არ იცით? ნუთუ შეიძლება პრეზიდენტი ასე უცხვირპიროდ და სისტემატურად ვატყუოთ? მაგრამ მთავარი ის არის, ამდენი უმწიფარი ადამიანი როგორ ხვდება მაღალ თანამდებობებზე. ამას ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გასცეს პასუხი.

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა კანონმდებლობის გაუმართლებელი ლიბერალიზაცია. ეს უბრალო შეცდომის შედეგი არ არის. ყველას გვახსოვს, რა ზარ-ზეიმით მიიღო პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსი და ზოგიერთმა უვიცმა ჩვენი კოდექსის მიღებას თითქმის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა უწოდა. მე ვეკითხები ყველას: დამისახელეთ ერთი ნორმალური ქვეყნის კოდექსი, სადაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია ნახსენებიც კი არ არის, ან სადაც ცნება „კონტრაბანდა“ საერთოდ ამოღებულია. სისხლის სამართლის კოდექსის 214 მუხლით (საბაჟო წესების დარღვევა) სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად აუცილებელია, რომ დაახლოებით 600 კუბური მეტრი ხის მასალა ან ამდენივე ტონა ჯართი უნდა გაჰქონდეს დამნაშავეს ქვეყნის გარეთ. ახლა დათვალეთ, 1995 წლიდან საქართველოს პარლამენტმა რამდენჯერ აკრძალა და რამდენჯერ დაუშვა კანონი ხის მასალისა და ჯართის გატანა-არგატანის შესახებ? ყოველი ასეთი გადაწყვეტილების მიღების უკან განა „შავი“ ძალები არ დგანან?

მსოფლიოს რომელი ქვეყნის კოდექსში არ არის ნახსენები კორუფციის ცნება? განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც აწესებენ 12-საათიან ვადას პირის ეჭვმიტანილად ცნობაზე, ხოლო 48-საათიან ვადას – ბრალის წაყენებაზე. მოცემული მოთხოვნები თანაბრად ეხება ყველა მუხლს, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ დამნაშავეებსაც.

განსაკუთრებით დიდი პრობლემები შექმნა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მიღებამ, რომელმაც დააწესა, რომ თითქმის ყველა ამ სახის ღონისძიება უნდა განხორციელდეს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. კი ბატონო, მრავალ ქვეყანაშია ეს ასე, მაგრამ დავფიქრდით იმაზე, რამდენად იყვნენ მზად ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა და მოსამართლეები ამ ამოცანის შესასრულებლად?

თითქმის ყველა პროფესიონალი აცხადებდა, იუსტიციის სამინისტროზე პენიტენციური სისტემის გადაცემა ნაადრევი ღონისძიებააო. ვინმემ ყურად იღო ეს?

პენიტენციური სისტემა გამოცდილი, ოპერატიული მუშაკებისა და ოპერატიული ძალების გარეშე დარჩა, ამავდროულად ცნობილია, რომ კრიმინალური პროცესების შესახებ ინფორმაციები ზუსტად იქ იყრის ხოლმე თავს.

საქართველოს კანონმდებლებს, განსაკუთრებით ყოფილ უმრავლესობას, ძალიან უნდოდათ მსოფლიოში არსებული სტანდარტების ჩვენში დანერგვა, მაგრამ თავიანთი უმწიფრობის გამო მოცემული რეფორმები ყოველგვარი ობიექტური გარემოების გაუთვალისწინებლად ჩაატარეს, რაც დაუშვებელი იყო და რის შედეგებსაც დღეს ვიმკით. შეიძლება, ბავშვის გაჩენა ჩასახვიდან 5 თვის შემდეგ მოვინდომოთ? ამას ხომ ჩვილის სიკვდილი მოჰყვება!

კორუფციის შესახებ საუბრით ყველა, მათ შორის ინიციატორებიც და საზოგადოებაც, დაიღალა. ხშირად თემის ნებისმიერ დონეზე წამოწევა ხალხში ირონიას იწვევს, ვინაიდან, პრაქტიკულად კორუფცია დაუსჯელობის სინონიმად იქცა. არც ერთი რეალურად დასჯილი კორუფციონერი – აი სადამდე მივედით!

ნიშნის მოგებით საუბარს არ ვაპირებ, მაგრამ მოცემულ თემაზე არაერთი ავტორი, მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, გამოსულა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. სტატიებში ხელისუფლების გაფრთხილებაც იყო, რომ პროცესი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის პრობლემამდე მიგვიყვანდა, მაგრამ ამას შესაბამისი სახელისუფლო შტოებიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ახლა საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ, ალბათ უკანასკნელი, გაფრთხილება მოგვცა.

თუმცა, დაუბრუნდეთ ძირითად თემას, კრიმინალურ პროცესებს. შექმნილი ოპერატიული ვითარების ანალიზის შედეგები ნათლად მეტყველებს, რომ გართულებულია ტერორიზმთან, ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან, ქონების ხელყოფასთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ დანაშაულობებთან ბრძოლის საკითხები, რომლებიც „ფარულად მიმდინარე“ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ამ მიმართულებით საქმიანობას მარტო ენთუზიაზმით და კეთილი სურვილებით ვერ განახორციელებ, საჭიროა პროფესიონალები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოებიდან და სპეცსამსახურებიდან სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზით დაითხოვეს უკანასკნელ წლებში. ამ თემაზეც მქონდა გამოქვეყნებული არაერთი წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“, თუმცა, ეტყობა, „გამგონმა ვერ გაიგო“.

გაუთავებლად ვსაუბრობთ რეფორმებზე, უკანასკნელ 10 წელიწადში შს სამინისტროში 5-ჯერ შეიცვალა მინისტრი, 6-ჯერ – უშიშროების მინისტრი, 5-ჯერ – ფინანსთა მინისტრი და ა. შ. დაუმთავრებლად მიმდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ცვლილებები. შედეგად რა მივიღეთ? იქნება ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ, რომ დილეტანტებს და ცხოვრებისეული გამოცდილების უქონელ პირებს არ შეუძლიათ დიდი მასშტაბების საქვეყნო საქმეების კეთება. ზოგიერთი პოლიტიკოსის საქმიანობას რომ აანალიზებ, გახსენდება „დათა თუთაშხიაში“ აღწერილი ვირთხაჭამია ვირთხების შექმნის პროცესი. ასე მგონია, ყველანი იმ რკინის კასრში ვზივართ და ერთმანეთს ვჭამთ... ამ შემთხვევაში მორალი ერთადერთია: ვირთხაჭამია ვირთხების გამომყვანი თვითონაც ვირთხას ემსგავსება.

ახლაც მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. აბა ვნახოთ, რამდენი პროფესიონალია ჩართული ამ პროცესში? შეიძლება, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების საქმიანობას ზოგადად მაინც არ იცნობდე და ამ ორგანოების რეფორმას აწარმოებდე? სხვა ქვეყნებიდან მიწვეული, თუნდაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ქვეყანაში ვითარებას არ ფლობენ, ცუდი კონსულტანტები არიან, ვინაიდან რეფორმა, ახალი სტრუქტურების შექმნა, მათ წინაშე, ამოცანების დასახვა და ა. შ. დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზე, რომელიც თავისი ხასიათით დინამიურია და ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს, დამოკიდებულია საზოგადოებაში მიმდინარე ტრადიციულ პროცესებზე, ყოფა-ცხოვრების კულტურის დონეზე და ა. შ. რაც უცხოელმა ექსპერტებმა, უბრალოდ, არ იციან.

ის. მე-5 გვ.

## მსოფლიო შტრიხებში

### პაპმა ჰარი პოტერი დალოცა

ვატიკანმა, როგორც იქნა, მოიწონა წიგნები ჰარი პოტერზე, რადგან მიიჩნია, რომ „ისინი ეხმარება ბავშვებს სიკეთესა და ბო-



როტებას შორის განსხვავების დანახვაში“.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ვატიკანის წარმომადგენელმა, მღვდელმა პიტერ ფლიტვუდმა განაცხადა: „არა მგონია, თუნდაც აქ მყოფთაგან ერთი მაინც გაიზარდა თავგადასავლებზე, მაგიასა და ანგელოზებზე ფანტაზიის გარეშე“.

თუმცა ეს ყველა მოზრდილისათვის გასაგები როდი აღმოჩნდა. კათოლიკურმა ეკლესიამ გამოსცა სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც გამოხატა თავის ნეგატიური დამოკიდებულება ეგრეთ წოდებული „ახალი საუკუნის რელიგიების“ სხვადასხვა მიმდინარეობისადმი. 92-გვერდიან ბროშურაში ბევრი რამაა ნათქვამი ასტროლოგიაზე, ბუნების თაყვანისცემაზე, იოგაზე, დეენბუდიზმზე, არატრადიციულ მედიცინაზე და ა. შ. ისე რომ, ეს წიგნი შეიძლება კარგი ცნობარი იყოს ათეისტებისთვისაც კი, ვისაც სურს თანამედროვე სარწმუნოებებში გარკვევა.

### სასარგებლოა, თუ მავნებელი?

„სასტიკი“ კომპიუტერული თამაშები ბავშვებისათვის სასარგებლოაო, აცხადებენ მეცნიერები. მაგალითად, პროფესორი ტალმეჯ რაიტი აღნიშნავს, რომ ისეთი ონლაინური შეჯიბრება, როგორიც არის Quake და Doom-ი, რომლებშიც ერთდროულად ასობით ბავშვი მონაწილეობს, საშუალებას აძლევს მათ ჩამოაყალიბონ მძლავრი ვირტუალური გაერთიანება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „მოკალი ყველას“ ტიპის თამაში სულაც არ არის ფუჭი და უსარგებლო, პირიქით, იგი ხელს უწყობს ქცევის რთული სტრატეგიის ათვისებას.

ჩიკაგოს ლოიოლის უნივერსიტეტის პროფესორი რაიტი აცხადებს, რომ ასეთი თამაშები „მხო-




ლოდ მკვლელობათა სიკვდილი როდია. ეს ხუმრობისა და დაძაბულობის მოხსნის ერთ-ერთი საშუალებაცაა“, – წერს „მირონი“.

ასეთი სასტიკი კომპიუტერული თამაშების მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ ყოველივე ამის შედეგია მოზარდების აგრესიული ქცევა. ის ორი მოსწავლე, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს თანაკლასელები ამერიკის ერთ-ერთ სკოლაში, მსგავსი კომპიუტერული სისასტიკის დიდი მოტრფიალეები ყოფილან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 51, ორშაბათი, 24 თებერვალი, 2003 წელი.

ფინანსები

# მსოფლიოს დაძაბულობის მორიგმა ტალღამ გადაუარა

**14 თებერვალს, გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის ჰანს ბლიკსის მოხსენება, რიგი ევროპული სახელმწიფოების მეთაურთა მყარი პოზიცია ერაყში ინსპექციის გაგრძელების შესახებ, ამასთან, მასობრივი გამოსვლები ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ის ძირითადი კვანძი გახდა, რომელმაც დროებით მოახერხა ომის გარდაუვალობით გამოწვეული ნერვული დაძაბულობის განმუხტვა, რამაც რადიკალური ცვლილები გამოიწვია საფინანსო ბაზრებზე. მაგრამ უკვე გასული კვირის დასაწყისში ერაყის მისამართით, თეთრი სახლის ადმინისტრაციის მკაცრმა განცხადებებმა, ინვესტორებს კვლავ შეახსენა მუდმივი საფრთხე „დამოკლეს მახვილივით“ რომ ჰკიდია მსოფლიოს თავზე.**

გასული კვირის ორშაბათს, ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო ბაზრები დაკეტილი იყო პრეზიდენტის დღესასწაულთან დაკავშირებით.

სავაჭრო კვირა ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზრებზე სამშაბათს დაიწყო. გრძელი გამოსასვლელი დღეების შემდეგ, ინვესტორები აქტიურად ყიდულობდნენ აქციებს იმის იმედად, რომ




გაერო შეძლებდა ერაყის გარშემო შექმნილი კრიზისული სიტუაციის გადაწყვეტას. „ ცისფერი კოჭების“ ინდექსი 1.7%-ით გაიზარდა 8041.15 პუნქტამდე, ხოლო მაღალტექნოლოგიების Nasdaq-ი 2.8%-ით 1346.54 მაჩვენებლამდე.

ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე 1.2 მლრდ. აქცია შეადგინა. გარიგებების მოცულობა არ იყო დიდი, რადგან ბევრმა ტრეიდერმა შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე ძლიერი თოვლის გამო, რომელმაც ტრანსპორტირების სერიოზული პრობლემები შექმნა, უბრალოდ ვერ მოახერხა სამსახურში მისვლა. ის ინვესტორები კი, რომელთათვისაც სამსახურში გამოცხადებისათვის ამინდს ხელი არ შეუშლია, აქტიურად ყიდულობდნენ აქციებს, ერაყის კრიზისის მოგვარების იმედად. იმედი და შესაბამისად კოტირებების ზრდა 14 თებერვალს ჰანს ბლიკსის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისთანავე გაჩნდა.

გასული კვირის ოთხშაბათს, შეერთებული შტატების ძირითადმა საფონდო ინდექსებმა შეწყვიტეს ჯერ კიდევ წინა კვირის პარასკევს დაწყებული ზრდა, რაც ისევ და ისევ, ერაყის გარშემო შექმნილი დაძაბულობის მატებას დაუკავშირდა. ინვესტორების არცთუ ხანგრძლივი ოპტიმიზმი ძირითადად ბრიტანულ გაზეთებში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა შეწყვიტა. გაზეთმა Independent co-მა ბრიტანული და ამერიკული დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით, გააკეთა ინფორმაცია სამი საზღვაო ხომალდის შესახებ, რომლებმაც ერაყის პორტი ქვეყანაში გაეროს ინსპექტირების დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე დატოვეს. არის ეჭვები, რომ მათზე იმყოფება მასობრივი განადგურების იარაღი, რომელსაც ინსპექტორების ჯგუფი ეძიებს.

და ბოლოს, როგორც Financial Times-მა განაცხადა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის ერაყულმა ოპოზიციამ, რომელსაც მხარს ირანიც უჭერს, უკვე გადაჭრა ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრები, სამხერო ოპერაციების დაწყების შემთხვევაში ამ ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვების მიზნით.

ომის შესახებ განახლებულმა, თუნდაც დროში გადადებულმა საუბრებმა ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზრებზე აქციების მასობრივი გაყიდვა განაპირობა. შედეგად, Dow Jones-ი 0.5%-ით დაეცა 8000.60 პუნქტამდე, ხოლო Nasdaq-ი 0.9%-ით 1334.32 მაჩვენებლამდე. ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო მოედანზე 1.16 მლრდ. აქცია შეადგინა.

ერაყის პრობლემის ძალისმიერი გადაჭრის მოლოდინში კოტირებების ვარდნა უფრო შთამბეჭდავი იყო მომდევნო დღეს, როდესაც „ცისფერი კოჭების“ ინდექსი 8000 პუნქტის ქვემოთ დაეშვა და 7914.96 მაჩვენებელზე, ხოლო Nasdaq-ი 0.2%-იანი ვარდნის შემდეგ 1331.23 დონეზე დაფიქსირდა. Dow-ს ინდექსში შემავალი კომპანიებიდან კოტირებების შემცირება არ შეეხო მხოლოდ ხუთი კომპანიის აქციებს: Caterpillar, Hewlett-Packard, Honeywell, Intel-სა და JP Morgan Chese-ს, რომელთაც სავაჭრო სესია პოზიტიურ ტერიტორიაზე დასრულეს.

თუმცა კვირის ბოლო დღეს სავაჭრო სესია, ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ინდექსებმა, დადებითი ეკონომიკური მონაცემების პუბლიკაციის ფონზე, პოზიტიურ ტერიტორიაზე დაასრულეს. Dow Jones-ის ინდექსი ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე 103.15 პუნქტით, ანუ 1.30 %-ით გაიზარდა 8018.11 მაჩვენებლამდე, ხოლო Nasdaq-ი 17.76 პუნქტით, ანუ 1.33 %-ით 1348.99 მაჩვენებლამდე.

პოზიტიური ეკონომიკური მონაცემებით თავბრუდახვეულ საფონდო ბაზარს რეაგირება არ მოუხდენია, ნიუ-იორკის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი ხანძრისათვის, რომელსაც ნიუ-იორკის ხელისუფლება საწარმოში უბედურ შემთხვევად და არა, კიდევ ერთ ტერორისტულ აქტად მიიჩნევს.

რაც შეეხება საფინანსო ანალიტიკოსების „სამხედრო სტრატეგიებს“, Wall-Street-ზე თითქმის ვერ ნახავთ ერაყთან ომის მოწინააღმდეგეს. საბაზრო „გურუს“ უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ომი შესაძლოა სერიოზული მამოძრავებელი ძალა გახდეს ეკონომიკური ზრდისა და საფონდო ბაზრის სტიმულირებისათვის. ამასთან, თითქმის ყველა მათგანი იზიარებს მოსაზრებას, რომ ვიდრე შეერთებული შტატები სამხედრო დარტყმებს არ განახორციელებს ომის მოლოდინში აქციები კვლავინდებურად ვოლატილური დარჩება.

**საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე** 14 თებერვლიდან დოლარის კურსის ტრენდი კარდინალურად შეიცვალა –ევრო, გირვანქა სტერლინგი და შვეიცარული ფრანკი მასთან მიმართებაში ქვემოთ წავიდა, იაპონური იენის შესუსტება კი მხოლოდ საგარეო ვაჭრობის შესახებ, საუკეთესო მონაცემების გამოქვეყნებამ შეაჩერა. თუმცა კვირის მანძილზე ერაყის კრიზისთან დაკავშირებული ცხელ-ცხელი პოლიტიკური განცხადებების ფონზე, რომლის მიმართაც სავალუტო ბაზარი განსაკუთრებულად მგრძნობიარე აღმოჩნდა, დოლარის კურსმა არაერთხელ განიცადა მცირედი კორექცია. კვირის ბოლო დღეს ამერკულ სესიაზე ევრო/დოლარის კურსი 90 პუნქტით დაეცა 1.0840 მაჩვენებლიდან 1.0749 დონემდე, დოლარი/შვეიცარული ფრანკის კურსი თითქმის 140 პუნქტით გაიზარდა 1.3667 მაჩვენებლამდე. ანალიტიკოსების შეფასებით, დოლარის კურსის ზრდა გამოსასვლელი დღეების წინ, ინვესტორების მიერ მასზე მოკლე პოზიციების დახურვამ და კვირის ბოლო სავაჭრო სესიაზე ძირითადი საფონდო ინდექსების ზრდამ განაპირობა.

ასევე, პარასკევს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2003 წლისათვის ევროზონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 2.3%-დან 1.3%-მდე შეამცირა.

დოლარზე მოკლე პოზიციების დახურვას სპეციალისტები კვირის ბოლო დღეს, პარიზში დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელების შეხვედრის დაწყებასაც უკავშირებენ. როგორც მოსალოდნელია, შეხვედრაზე განხილვის თემას ერაყში დაძრული ომის საფრთხე და მსოფლიო ეკონომიკაზე მისი გავლენის შესაძლო შედეგები წარმოადგენს. ამასთან, მოსალოდნელია, რომ იაპონიის ფინანსთა მინისტრი შიოკავა თავის კოლეგებს დეფლაციასთან ბრძოლის გეგმას შესთავაზებს.

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ბოლო 6.5 წლიანი მაქსიმუმის: უნციაზე 382 დოლარის მიღწევის შემდეგ, ოქროს ფასი, ჯერ კიდევ 14 თებერვლამდე, ანუ ერაყის ირგვლივ სიტუაციის განმუხტვამდე ქვევით წავიდა და 17 თებერვალს, გასული კვირის ორშაბათს, ერთი უნცია ოქრო უკვე 347 დოლარი ღირდა. თუმცა, კვირის ბოლოსათვის ერაყში დაძაბულობის მატების ახალ ტალღაზე მისმა ფასმა კვლავ მოიმატა და უნციაზე 353 დოლარით განისაზღვრა.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, სავაჭრო დიაპაზონი, რომელიც ფასის ძლიერი აწევის შემდეგ ყალიბდება გარკვეული წლების მანძილზე ნარჩუნდება. ასე, მაგალითად 1980 წელს ოქროს ფასმა უნციაზე 650 დოლარი შეადგინა, შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე 300-400 დოლარის დიაპაზონში მოძრაობდა. 1997 წელს ამ ძვირფასი ლოთონის ფასი 300 დოლარის ქვემოთ დაეცა. ანალიტიკოსების შეფასებით, 2002 წელს მასზე ფასის მკვეთრი ზრდის მიუხედავად ნაკლებადმოსალოდნელია, რომ ეს ძვირფასი მეტალი 400 დოლარიან ზღვარს ასე მოკლე პერიოდში ხელმეორედ აიღებს.

**ის. მე-5 გვ.**

თაობა



# „მაღლა, ცაში აფრინდები“...

**თბილისის სამხატვრო სკოლის დირექტორის ნოდარ მუმლაძის მაგიდაზე შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანაში გასაგზავნი, კონკურსში „ფრენის 100 წელიწადი“ გამარჯვებულ ქართველ მოსწავლეთა 9 ნამუშევარი დევს.**

„ფრენა“ ასე დაარქვა სამხატვრო სკოლის მოსწავლემ იოანე ჯანუაშვილმა თავის ნახატს. სალომე ბიწაძეს (თბილისის 23-ე სკოლიდან) ცისფერი მთებისა და ყაყაჩოებით მოქარგული ველის ფონზე მზისკენ „გაუმგზავრებია“ შვეულმფრენი. ანა ბუავას (ისიც თბილისის 23-ე სკოლიდან არის) მტრედებით სავსე ცისკენ გასაფრენად გამზადებული ბიჭები დაუხატია. დავით რაზმაძეს „სვანეთი“ დაურქმევია თავისი ნახატისათვის. გამარჯვებულთა შორის არის თინათინ ცოფურაშვილის „გადასახლება“; მაცაცო ჯინჭარაშვილის (ისიც თბილისის 23-ე სკოლიდანაა) – „ფრენა პლანერით“; ლევან ძნელაძის – „ფაქიზო ღრუბლებში“; ია ნინოშვილის (თბილისის სამხატვრო სკოლიდან) – „მრავალფეროვანი ფრენა“; იანა მაჭარაშვილის – „ოცნება და რეალობა“.

ეცნობით მათ ნამუშევრებს. მათი ოცნება შეუზღუდავია და ფანტაზია – ღრმა. კონკურსის თემა ბავშვებისათვის რთული იყო, თუმცა კოსმოსზე არც ისე ცოტა ინფორმაცია აქვთ მიღებული. შეზღუდული იყვნენ ნახატის ზომებითაც, რადგან მოზარდების ფანტაზია ზუსტ ჩარჩოებში ვერ ეტევა. ნამუშევრები ჟიურის დასკვნით საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებილი. მოგახსენებთ მათ შეფასებასაც.

**გია ბუღაძე, მხატვარი, ჟიურის წევრი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორი:** – მიუხედავად უშუქობისა და სხვა სიძნელეებისა, ბავშვები მაინც ხატავენ და საკუთარი ოცნებების პრიზმაში აქვთ გადაწყვეტილი კონკურსის თემა. მათ ნახატებს მომავლის იმედი მიჰყვება. საქართველოდან ნორჩი მხატვრები შარშანაც მონაწილეობდნენ მსოფლიოს ამ გამოფენაში. მაშინაც იქ 100 სახელმწიფოს 900 მოსწავლის ნამუშევარი გაიგზავნა. ეს სახელმწიფოები წლეულსაც მონაწილეობენ და მათ შორის საქართველოც. შარშან თბილისის სამხატვრო სკოლის მოსწავლემ, 13 წლის ეკა ტაბლიაშვილმა გვასახელა. დიპლომი და ოქროს მედალი მიიღო თემის „წყნარი თემის“ დაძლევისათვის. საუკეთესო იყო მისი ნამუშევარი თავისი კომპოზიციური გადაწყვეტით და შესრულების მაღალი დონით. მადლობა ბავშვებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ კონკურსის მონაწილეთ. მოზარდები ინსტინქტით გრძნობენ კოსმოსის ათვისების აუცილებლობას. ყოველივე თავისებური „ინტონაციით“, ფერების მოშველიებით ასახეს კიდეც ნახატებში. მოდის ახალი თაობა, დაე, სიკეთემ სძლიოს მათში. მათ წარმოაჩინეს ის, რისი ასახვაც შესძლეს თავიანთი ასაკისა და უნარის დონეზე.

**ნოდარ მუმლაძე, მხატვარი, ჟიურის თავმჯდომარე:** – კონკურსის მიზანია გააღვივოს მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესი საჰაერო სპორტისადმი, კოსმოსისადმი. ეს მათ ნახატებშიც წარმოჩნდა. ნორჩ მხატვართა ნამუშევრებისადმი ყურადღება გამოიჩინა საგამოფენო დარბაზების გენერალურმა დირექტორმა თემო გოცაძემ და ცისფერი გალერეის (სადაც ნორჩების ნახატები გამოიფინა) დირექტორმა რამაზ კაპანაძემ. ჩვენს გვერდით იყვნენ ცნობილი მხატვარი გია ბუღაძე, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორი გურამ ქლიბაძე, ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, დიზაინერი ბორის თოფურია, თბილისის მერიის მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების საქალაქო ცენტრის გლდანის ფილიალის დირექტორი ბორის რობაქიძე. ეს ცენტრი მსოფლიო აერონავტიკური ფედერაციის წევრია. ლოზანაში უკვე მესამედ იმართება ამ შინაარსის მსოფლიო გამოფენა. მსოფლიო აერონავტიკის ფედერაციის წევრია მთელი ამ კონკურსის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი **დათო უგულავა.**

კონკურსში „ფრენის 100 წელიწადი“ საქართველოს ყველა კუთხიდან 1000 ნამუშევარი გამოიგზავნა. ცისფერ გალერეაში გამოფენისათვის 200-მდე შეირჩა, აქედან 3 ასაკობრივ ჯგუფში 9 მოსწავლის ნახატმა გაიმარჯვა. ეს ნამუშევრები 19 თებერვალს დილით შვეიცარიაში გავაგზავნეთ. იმედი გვაქვს, რომ ქართველ ბავშვთა ნამუშევრების ბედი ამჯერადაც წარმატებული იქნება.

**ნათელა ფაილოძე,**

**სურათებზე: იოანე ჯანუაშვილი „ფრენა“; ია ნინოშვილის „მრავალფეროვანი ფრენა“.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მწვავე თემა

# პოლიტიკა კი არ გახდა კრიმინალური, კრიმინალური სამყარო გაპოლიტიკოსდა...

(მესამე გვერდიდან)

ჩვენ რეფორმები, საბოლოო ჯამში, ასე გვესმის, — განურჩევლად გავყაროთ ძველი თანამშრომლები და მოვიყვანოთ ჩვენი პირადი მეგობრები, ანუ შევქმნათ „ჩვენი გუნდი“ (მოდური ტერმინია), რომლის წევრების უმრავლესობას „შრომის წიგნაკიც“ არა აქვს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მრავალმა ყოფილმა მინისტრმა, პარლამენტში უმრავლესობის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ბოროტად გამოიყენეს პრეზიდენტის ნდობა. განა ხალხს არ ახსოვს, როგორ ცხოვრობდნენ ისინი სულ 4-5 წლის წინათ, რა ეცვათ, როგორი მანქანებით (უფრო სწორედ „ველოსიპედებით“) დადიოდნენ? ახლა? გულუბრყვილო ობივატელები აცხადებენ, პოლიტიკა კრიმინალური გახდაო. ვერ დავეთანხმები, კრიმინალი გაპოლიტიკოსდა! ქვეყნისა და მისი მომავლისათვის ეს გაცილებით უფრო საშიში მოვლენაა, ხოლო თუ რაში მდგომარეობს საშიშროება, ეს დიდი თემაა. ასე რომ, მივადექით თემის ძირითად პრობლემას — ე. წ. „კანონიერ ქურდებს“.

როგორც მრავალი სხვა „სიკეთე“, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტიც საქართველოში რუსეთიდან გავრცელდა, ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე. განსაკუთრებით დიდი გავლენა ამ კატეგორიამ მოიპოვა გასული საუკუნის 80-იან წლებში. საბჭოთა კავშირში აღირიცხებოდა 250-ზე მეტი ქართველი ეროვნების „კანონიერი ქურდი“. წინასწარ განვაცხადებ, რომ „კანონიერი ქურდები“ იყვნენ დამნაშავეთა სამყაროს ყველაზე ორგანიზებული, განათლებული, მტკიცე ხასიათის მქონე და ა. შ. ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთი დაუწერელი კანონით ცხოვრობდნენ. „კანონიერ ქურდებს“ საოცარი ალღო ჰქონდათ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შეფასებისა, მხედველობაში მაქვს ისეთი მოვლენა, რასაც ფულის შოვნა ჰქვია. კომუნისტურ ეპოქაში „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ მყარად იყო დამკვიდრებული და „კანონიერი ქურდების“ აღზევებაც იქ იყო ხოლმე მოსალოდნელი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა ჰყვაოდა. ყველას გვახსოვს საქართველოში თუ რა მასშტაბები მიიღო „ჩრდილოვანმა ეკონომიკამ“ გასული საუკუნის 80-იან წებში, განსაკუთრებით ყურძნის, ჩაის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დამზადებაში. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს გაუჩნდა უზარმაზარი რაოდენობის „შავი ფული“ და „კანონიერმა ქურდებმაც“ არ დააყოვნეს, საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან საქართველოში „ყველა კანონიერი ქურდი შეერთდა“, რესპუბლიკის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც კავშირში ცნობილი იყო, როგორც ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, პრინციპულად სთხოვდა შსს ორგანოებს „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლას. შემდგომში ეს პროცესი აქტიურად გააგრძელა მისმა მემკვიდრემ ჯუმბერ პატიაშვილმა, აქ საჭირო იყო უშუალოდ შემსრულებელთა შერჩევა და თანმიმდევრული მუშაობა. ადამიანის უფლებების დაცვას, ჩემის აზრით, მაშინაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ, კანონიერების უმნიშვნელო დარღვევაც კი თანამშრომელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით ან სამსახურიდან დათხოვნით მთავრდებოდა. მინისტრმა შოთა გორგოძემ, მიზნად დაისახა, რომ საქართველოში არც ერთ „კანონიერ ქურდს“ თავისუფლად არ ეგრძნო თავი. იქ, სადაც „კანონიერი ქურდი“ საქმიანობდა, მილიციის უფროსს ვაცხადებდით „უკანონოდ“ და თანამდებობიდან ვანთავისუფლებდით. დიდ დახმარებას გვიწევდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, აწ განსვენებული ნუგზარ საჯაია. პერიპეტიებზე არ შევჩერდები და ვიტყვი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრობლემა დაახლოებით 6 თვის განმავლობაში გადაჭრა. დააპატიმრეს 200-ზე მეტი „კანონიერი ქურდი“, რომლებიც, ხაზგასმით აღვნიშნავ, აქტიურად იყვნენ ჩართული კრიმინალურ პროცესებში, ხოლო ყოფილები, რომლებიც უკვე ნორმალურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მი-



უხედავად ძლიერი დაწოლისა, ყურადღების მიღმა დავტოვეთ (თუმცა, ასეთი 5-6 პიროვნებაზე მეტი არ ყოფილა). დაახლოებით 10-15 „კანონიერმა ქურდმა“ საქართველოდან გაქცევით უშველა თავს. ჩათვალეთ ეს მოკლე ისტორიულ მიმოხილვად.

უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ „კანონიერი ქურდები“ ყველანაირად ეძებდნენ შსს თანამშრომლებთან დაახლოების გზებს, არ ენანებოდათ ფული, ოღონდ ჩვენს რიგებში მოღალატე და ნაძირალა ეპოვათ. ცალკეული გამყიდველები არც მაშინ გვაკლდა, მაგრამ უდიდესი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ამაზე ნათლად შედეგები მეტყველებდნენ.

ამჟამად რა ხდება, რატომ გახდა იძულებული საქართველოს პრეზიდენტი ამ მოვლენაზე ელაპარაკა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე? მრავალი მიზეზი ზემოთ აღვნიშნე, საუბარს გავაგრძელებ და, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფ ქვეყანაში არსებულ „ჩრდილოვან ეკონომიკას“ და კორუფციას. რატომ წავიდნენ „კანონიერი ქურდები“ საქართველოდან 1991 წლიდან? ეკონომიკა, მათ შორის, „ჩრდილოვანიც“, არ არსებობდა, კორუფციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიმაჩნია, რომ იმ წლებში სამართალდამცავ ორგანოებში პროფესიული და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანები ჯერ კიდევ მუშაობდნენ.

შემდგომში განხორციელებულმა რეფორმებმა დაანგრია სამართალდამცავი ორგანოები და სპეცსამსახურები. არ ვიცი, რა გზებით, მაგრამ იმ პირებმა, რომლებსაც გარკვეული ურთიერთობები ჰქონდათ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან, დიდი თანამდებობები დაიკავეს, ზოგიერთი გენერალიც კი გახდა. არც ასეთი ფაქტები დამიმალია საზოგადოებისათვის, გამოვაქვეყნე ამ თემაზე სტატია „საქართველოს რესპუბლიკაში“. მაგრამ ყურადღება კვლავ არავინ არ მიაქცია ამ საყურადღებო ფაქტს. დღეს „კანონიერმა ქურდებმა“ ქვეყანაში დიდი გავლენა მოიპოვეს. ისმება კითხვა — რისი წყალობით? დიდი ფულით! „კანონიერი ქურდები“ აშენებენ სასახლეებს, ეწევიან ბიზნესს, „აწესრიგებენ“ ეკონომიკური ცხოვრების მაჯისცემას. და ა. შ. რაღაზე ვისაუბროთ, როცა „კანონიერი ქურდის“ ყოფილი მძღოლი უშიშროების მაიორის წოდებას იღებს, ხოლო განმკითხავი არავინ არის! „კანონიერი ქურდები“ იარაღით ვაჭრობენ, შესაბამისი სტრუქტურები კი დუმან. „კანონიერი ქურდები“ კონტაქტს ამყარებენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მათი ოჯახის წევრებთან, საზოგადოება კი ჩუმად არის! სადამდე ვიაროთ ამ გზით?

აბსოლუტურად ვეთანხმები საქართველოს პრეზიდენტს, როცა ის კრიმინალური პროცესების აღრიცხვიანობაზე, უფრო სწორედ მის მოშლაზე საუბრობს. ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი საკმაოდ რთული საქმეა, მაგრამ უამისოდ სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

ისევ პროფესიონალიზმის თემას მივადექით.

შს ორგანოებში, ერთი კარგი ტრადიცია არსებობდა: მოვიწვევდით ხოლმე ვეტერან თანამშრომლებს, მათ ჩავაბარებდით ახალგაზრდებს და რამდენიმე თვეში ვღებულობდით საკმაოდ მომზადებულ ოპერატიულ სპეციალისტებს. ნუთუ თავი ვერ უნდა დავაღწიოთ წყევლას „შენი არ იცოდე და სხვისი არ გჯეროდესო“?

კრიმინალურ, ანუ ე. წ. „შავ სამყაროს“ მოძრაობის თავისი კანონზომიერებანი აქვს. ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, ვერ მართავს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც წესი, კარგავს ძალაუფლებას, ანუ ხდება ხელისუფლების ცვლა. მახსენდება 1988 წელი, როდესაც საბჭოთა კავშირში არნახულად იფეთქა დამნაშავეობამ და დაიწყო ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობის ნიშნების გამოვლენა. მაშინ საკავშირო სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსთან, გენერალ-ლეიტენანტ ვიაჩესლავ პანკინთან საუბარში განვაცხადე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ქვეყანაში წინასარევოლუციო სიტუაცია დადგა-მეთქი. მან ეს სიტყვები იუმორში ჩამითვალა. 1989 წელს მას კვლავ შევხვდი აფხაზეთში, სადაც ოპერატიული ვითარება მკვეთრად გამწვავდა. მან თვითონ გამახსენა ერთი წლის წინათ ნათქვამი და მითხრა „ნიუქელი ტი ტაგდა ბილ პრავ?“

სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სწორია საქართველოს პრეზიდენტი — თუ ხელისუფლებამ შექმნილი ვითარებიდან ჯეროვანი დასკვნა არ გამოიტანა, არ ალაგმა კორუფცია, დამნაშავეთა სამყაროს არ ჩამოართვა მიტაცებული მილიარდები, ვერ აკონტროლა კრიმინალური პროცესები, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების შენარჩუნება კი არა, საერთოდ საქართველოში სახელმწიფოებრიობა დადგება ეჭვის ქვეშ, განა დურბინდია საჭირო, რათა დაინახო, როგორ დაიძრა საქართველოს პარლამენტისკენ, რომელიც წლეულს უნდა ავირჩიოთ, „კრიმინალური ფული“ და „იარაღი“, რისგანაც ღმერთმა დაგვიფაროს.

**ტარიელ ვარდანაშვილი,**
**უშიშროების სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების დამსახურებული თანამშრომელი.**

ფინანსები

# მსოფლიოს დაძაბულობის მორიგმა ტალღამ გადაუარა

(მეოთხე გვერდიდან)

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად 662 და 4.64 დოლარი შეადგინა.

**ნავთობის ბაზარზე** კვირის დასაწყისში მკვეთრად დაეცა ფასები ერაყში სამხედრო მოქმედებების მიზანშეწონილობის შესახებ, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო. ნავთობის ბაზარზე გამეფებული დაძაბულობა გააძლიერა გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ახლო აღმოსავლეთში ომის შემთხვევაში ოპეკის ხელისუფლებამ შესაძლოა დროებით მოხსნას შეზღუდვა ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტზე. ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასმა ბარელზე 31.98 დოლარი შეადგინა, თუმცა დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ნავთობის ტრეიდერებს ეჭვი არ შეპარვიათ, რომ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია ყველაფრისდა მიუხედავად მაინც განხორციელდება.

რაც შეეხება ნიუ-იორკის NYMEX-ის სახელობის სასაქონლო ბირჟას, იგი ამ დღეს პრეზიდენტის დღესასწაულთან დაკავშირებით, დაკეტილი იყო.

სამშაბათს, ნავთობის ტრეიდერებმა კიდევ ერთხელ შეაფასეს სიტუაცია და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნავთობის ფასში ჩადებული სამხედრო პრემია შესაძლოა მართლაც ძალიან დიდია. თუმცა სავაჭრო სესიის დამთავრებამდე ბაზრის განწყობა მკვეთრად შეიცვალა. შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება სპარსეთის ყურეში ახალი სამხედრო ძალების გადასროლის შესახებ.

თეთრი სახლისა და პენტაგონის განცხადებებმა ნავთობის ტრეიდერები ომის მოლოდინის ჩვეულ მდგომარეობაში დააბრუნეს. დღის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის აპრილის ფიუჩერსის ფასმა ბარელზე 32.54 დოლარი შეადგინა, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სახელობის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი 37.05 დოლარამდე გაიზარდა.




სამშაბათის სავაჭრო სესიებზე „ხარის“ განწყობას შესაძლოა, ნიგერიის ნავთობის მწარმოებლების გაფიცვამაც შეუწყო ხელი. ამ ქვეყანას ნავთობის ექსპორტის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოში მეექვსე ადგილი უჭირავს. თუმცა, დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ნიგერიელი მენავთობეების გაფიცვები იმდენად ხშირია და იმდენად მალე წყდება, ნავთობის ბაზარი გადაეჩვია მასზე რეაგირებას.

ოთხშაბათს, ოპეკმა მისი წევრი ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების დონის შესახებ, მორიგი ყოველთვიური მონაცემები გამოაქვეყნა. ოპეკის 11 წევრი ქვეყნის მიერ, ერაყის ჩათვლით, ნავთობის მოპოვების ერთობლივმა დონემ იანვარში დღეღამეში 25.66 მლნ. შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით, 778 ათასი ბარელით მეტია. ნავთობის მოპოვებაში ყველაზე დიდი წვლილი საუდის არაბეთს ეკუთვნის, ცდილობდა რა ვენესუელაში ხანგრძლივი კრიზისის გამო დარღვეული ნავთობის წარმოების კომპენსირებას იანვარში ამ ქვეყანამ ნავთობის მოპოვება დღეღამეში 532 ათასი ბარელით 8.47 მლნ. ბარელამდე გაზარდა.

ოპეკის მიერ გავრცელებული ამ ინფორმაციის ფონზე მსოფლიოს მთავარ საბირჟო მოედნებზე ნავთობის ფიუჩერსებით ვაჭრობა სხვადასხვა მიმართულებით დასრულდა.

ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასი შედარებით, 32.33 დოლარამდე გაიაფდა.

ნიუ-იორკის NYMEX-ის სახელობის სასაქონლო ბირჟაზე კი WTI-ის ნავთობის ფიუჩერსის ფასმა კვლავ მოიმატა. მიუხედავად ჭოჭმანისა, ერაყში ომის დაძრული შიშის გამო ტრეიდერების უმრავლესობამ ვერ გადაწყვიტა მოგების ფიქსაცია. ამასთან, ანალიტიკოსები ამერიკის შეერთებულ შტატებში უჩვეულო დიდთოვლობის გათვალისწინებით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის შემცირებას ვარაუდობენ. ერაყის გარშემო განვითარებული სიტუაცია კი ომის მაღალ მოსალოდნელობას დღითიდღე ადასტურებს.

ოთხშაბათს, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გაეროს უშიშროების საბჭოს მოუწოდა მკაცრი პოზიცია დაიჭირონ ერაყთან მიმართებაში.

ამასთან, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად მოუწოდა თავის მოქალაქეებს, რომლებიც ერაყში, იმყოფებიან სასწრაფოდ დატოვონ ეს ქვეყანა, რათა არ გახდნენ „ცოცხალი ფარი“ ომის დაწყების შემთხვევაში.

დღის შედეგებით, ნიუ-იორკის NYMEX-ის სახელობის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 37.16 დოლარამდე გაიზარდა და ახალ 29-თვიან მაქსიმუმზე დაფიქსირდა.

თუმცა კვირის ბოლოსაკენ შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შემდეგ, რომელმაც არ დაადასტურა ექსპერტების ეჭვი ბოლო კვირის განმავლობაში ნავთობის მარაგის შემცირების შესახებ, რაც მასზე იმპორტის ზრდამ განაპირობა, ნავთობის ფიუჩერსების ფასმა დაწევის მიმართულებით უმნიშვნელო კორექცია განიცადა.

დარგობრივი ანალიტიკოსების აზრით, კოტირებები თითქმის 1990 წლის 16 ოქტომბერს დაფიქსირებულ მაჩვენებელს მიუახლოვდა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები კუვეიტის ოკუპირების გამო, ერაყზე სამხედრო იერიშის განხორციელებას აპირებდა. ამავე წლის 10 ოქტომბერს კი ნავთობის ფიუჩერსებზე რეკორდულად მაღალი ფასი 41.15 დოლარი დაფიქსირდა.

1990 წლის ოქტომბრის შემდეგ კი NYMEX-ის მოედანზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2000 წლის სექტემბერში დაფიქსირდა, როდესაც ნავთობის ფიუჩერსის ფასმა 37.20 დოლარი შეადგინა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

## რა განძი გვქონია

# ჩემი ხეობის ტაძრები და ეკლესიები

(პირველი გვერდიდან)

წერილობითი წყაროებით, თორღვას ციხე XVI საუკუნეში იხსენიება. ის ციხე კახთ მეფეების გასამალავი ყოფილა. „აღიღო ციხე თორღისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 393).

ოდესღაც ზვიადი ციხე, რომელსაც მხოლოდ არწივი თუ შესწვდებოდა, მთელი ხეობის გასაღებს წარმოადგენდა და ურომლისოდაც ჩიტიც ვერ გადაიფრენდა, დგას ახლა „თავპირჩალეწილი“, ფრთებმომსხვრეული. ჭირისუფალივით წამოჰყუდებია თავზე საყარაულო მთა, რომელიც მეციხოვნეებს მთის ანკარა წყაროს აწვდიდა, უპატრონო ციხისთვის ქვევრები დაუთხრიათ და სახლებში გაუზიდავთ, ზღუდეკოშკები კი თანდათან ქვევით მიიწევენ და თუ არავინ უშველა, მალე მდინარე სტორში ამოჰყოფენ თავს.

ფშავლის მშვენება და სიამაყეა **ტალის ციხე**, აგრეთვე, ეკლესიები, **— კოხტაღვთისმშობლის, წყაროსთავ-წმინდა გიორგის, ზვარელ-წმინდა გიორგის, ყვავის, ესტატეს, დევთუბნის წმინდა გიორგის, მარიამ ღვთისმშობლის, სამების, კოპალეს საყდრის, ჟამნიანის ციხის, წმინდა მარიამის, ანუ იფნიაანთ ღვთისმშობლის, იოანე მახარობლის...**

ალაზნის მარცხენა მხარეს, ვაკეზე დგას სოფელ ფშავლის ციხე-გალავანი. იგი ამ ტიპის სიმაგრეთაგან გამოირჩევა მცირე ზომებით. მისი ერთადერთი შესასვლელი ვიწროა, ამიტომ, ჯიშკრის როლს ვერ შეასრულებდა და ამდენად, ბორბლიანი ტრანსპორტი ვერ იმოძრავებდა.

ციხის კედლები შესამჩნევად არის დაზიანებული. მათი სიმაღლე ოთხ მეტრს არ აღემატება. კედლის ქვედა ნაწილი ყრუა. მეორე იარუსის წინ ხის კოჭებზე გაწყობილი მებრძოლთა ბილიკია. ამ იარუსის კედლებში ჩარიგებულია ცალმხრივი და ორმაგი სათოფეები. ზოგი სათოფე პირდაპირ იცქირება, ზოგიც ქვემოთკენ არის მიმართული.

გალავნის კუთხეებში მდგარი ცილინდრული კოშკებიც დაზიანებულია, ამიტომ სართულიანობა არ ირკვევა. კოშკებს ეზოდან ორივე სართულზე ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკის პირველი სართული ყრუა. მეორე სართულის კედლებში ცალმაგი სათოფეები ორ რიგად არის განლაგებული. მესამე სართულზე შეიძლება ბანი იყო. მისი კედლებიდან მცირე ნაწილია დარჩენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთის ანალოგიურია და იგი უფრო დაზიანებულია. მესამე სართული ჩამოქცეულია. ჩრდილო-დასავლეთის კოშკიც სხვების მსგავსია. სამხრეთ-დასავლეთის კოშკი, ალბათ, სხვებს ჰგავდა, მაგრამ მეტად არის დაზიანებული და დეტალურად ვერ შევეხებით.

ციხე მთლიანად ნაგებია რიყის ქვით. ეზოში თავდაპირველი ნაგებობები არ შემორჩენილან. ამჟამად დგას XVIII საუკუნეში აგებული ეკლესია ულამაზესი სამრეკლოთი.

ციხე ისტორიულ საბუთებში არ იხსენიება და მის კედელზე არც წარწერა არის. ადგილობრივი მცხოვრებნი კი გადმოგვცემენ, რომ ჩვენ სოფელს ციხე არ ჰქონია და შიშიანობის დროს ლალისყურის ციხეს თავს ვაფარებდითო. ეს კი ორ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. პირველი — ციხე სხვა მებატონისა იყო და თანაც იგი ამ სოფელს ძლივს ყოფნიდა. მეორე, — ორ სოფელს შორის მდინარე სტორი (შტორი) გადიოდა, რომელიც საკმაოდ ძნელი გადასალახი იყო, შემდეგ იძულებული გამხდარან აქვე აეგოთ ციხე.

ტიპით და სხვა ნიშნებით ციხე სწორედ ლეკიანობის, ძნელბედობისდროინდელია, პეტერბურგიდან სპეციალური მისიით მოვლენილი გიულდენშტედტი 1722 წელს, როცა ამ მხარეში მოგზაურობდა, იგი ლალისყურის ციხეს იხსენიებს, მაგრამ ფშავლისას კი არა. ეს თუ შემთხვევითი არ არის, ფშავლის ციხე XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედშია აგებული.

ლალისყურს ქედი შემორკალვია და ტახტიგორით მთავრდება. გორის თავზე ერთი ძეგლია — თამარ მეფის ნატახტარი. მისი თითოეული ქვაკენჭი მემატიანეა. ამ ლამაზი გადასახედიდან კახეთის დიდი ნაწილი ხელისგულივით მოჩანს. აქვეა ადრე შუასაუკუნეების ეკლესიები: დედა ღვთისა, ნათლისმცემელი, უკვე ნანგრევებადქცეული სალოცავი — ანტანის ჯვარი, ხარება ღვთისმშობლისა, ჩოლოყაშვილების ციხე გალავანი, კარის ეკლესიით.

კახეთის მრავალ ციხესიმაგრეთა შორის ლალისყურის ციხე ერთ-ერთი უდიდესია. იგი მდებარეობს მდინარე ალაზნის აუზში, მის მარცხენა მხარეს — ვაკეზე. ციხეს აღმოსავლეთიდან ჩამოუდის სტორი, ხოლო ჩრდილოეთით ახლოს იწყება მთები.


ფშაველი, ესტატეს სახელობის ეკლესია.

ციხის სამხრეთ ნაწილში დგას კარის ეკლესია სამრეკლოთი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიით ცნობილი.

IX საუკუნეში, ციხის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, ჩოლოყაშვილებს სასახლე სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში ჩაუდგამთ და იქვე მდგარი კუთხის კოშკიც საცხოვრებლად გადაუკეთებიათ.

ციხის რვა კოშკიდან ყველაზე დიდია სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი. მისი ეკლესია ცალნავიანი, მოზრდილი შენობაა. ეკლესიის დარბაზი კამარით არის გადახურული. საბჯენი თაღები და კამარა ისრული ფორმისაა. საკურთხევლის აფსიდში ტრაპეზი შუაზე დგას, გვერდებზე კი პატარა ნიშებია. ეკლესია ნათდება გვერდების ორ-ორი და ერთი აღმოსავლეთი სარკმლით. იგი აშენებული უნდა იყოს XVII-XVIII საუკუნეებში.

გალავანმა უფრო მეტი მოსაგონარი და ნაშთი დაგვიტოვა. მისი ბურჯები ასრულებდნენ სათვალთვალო კოშკის მოვალეობას. სასახლიდან გვირაბი ყოფილა გაყვანილი და თუ მტერი წყალს შეუწყვეტდა, მტრისგან შეფარებული მოსახლეობა ამ გვირაბით სარგებლობდა.

დღეს ეს ადგილი მიწით არის ამოვსებული, მხოლოდ კედელში დარჩენილი ხვრელიღა მოჩანს. ეკლესიას და სასახლეს შორის ქვის კიბე ყოფილა მიშენებული.

ყვავის ეკლესია პატარა მოცულობისაა და ჩუმად მიყუჟულა ჭიჭაკვის ტყის განაპირას. მის არსებობასთან დაკავშირებით კი რამდენიმე ლეგენდა არსებობს.

ისტორიული ანსამბლი კოხტაღვთისმშობელი, რომელიც ჭიჭაკვის სიღრმეშია, თავისი ღირსებით სცილდება საქართველოს ფარგლებს და როგორც ხელოვნებათმცოდნე და პროფესორი ლევან რჩეულიშვილი აღნიშნავს, ადრე შუა საუკუნეებს (VIII-IX) მიაკუთვნებენ.

მაღალ ბორცვზე აგებულ და მთებს შუა მომწყვდეულ უძველეს ბაზილიკურ ეკლესიას, თასმასავით შემოსალტვია მედიდური ქვიტკირის მტკიცე ზღუდე. ეს ზღუდე ჯერ კიდევ თოფის იარაღის შემოღებამდეა აგებული, რადგან მასში მეისრეთა სადგომებია დაყოლებული. შიგნით ფეოდალის სასახლის ნანგრევები, ერთი დიდი და ორი მომცრო ეკლესიაა განლაგებული, რომელიც შინაგან ანსამბლს ქმნის.

ესტატეს გუმბათიანი ეკლესიაც სოფლის მშვენებაა.


ფშავლის იფნიაანთ ღვთისმშობელი.

მდინარე სტორის გადაღმა, ზვარლისკენ, დაქანებული ფერდობიდან ტყის ბილიკს აუყვებით. ეს ბილიკი პირველად მომცრო, ბანიან ტაძართან მიგიყვანთ. ეს მცირე მოცულობის დარბაზული ეკლესიაა... აქედან შორს აღარ არის ზვარელ-წმინდა გიორგის ეკლესია. იგი სტორს დასავლეთიდან დაჰყურებს. ძეგლის ფასადი შემკულია ჩუქურთმებით და გარედან ქვაში გამოკვეთილი ჯვარიც მოუჩანს.

ცოტა მოშორებით, კამარით გადახურული ეკლესია იყო, დევთუბნის წმინდა გიორგი, რომელსაც ერთგან ფრესკაც კი ჰქონდა შემორჩენილი — წმინდა მარიამი ყრმით. დღეისათვის მისი ნანგრევებიღა შემორჩენილა. ასევე, ქვევრები თუ ნაქვევრალები, ნანგრევები, სამაროვნებია, რაც ნასოფლარების არსებობაზე მიგვანიშნებს.

ძველისძველია იფნიანთ ღვთისმშობელი, იგივე წმინდა მარიამის ეკლესია, სასაფლაოს ტერიტორიაზე — სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ მდებარეობს. ფრესკები, დროჟამს რომ გაუძლეს, თეთრად არის შელესილი, ხოლო თვით კამარა შეულებავია და მოხატულობა მკაფიოდ მოჩანს. სალებავი ისე მტკიცედ ჩაჰკვრია კედლებს, რომ გაბზარული თაღიდან ჩამოსულ წყალს მაინც ვერაფერი დაუკლია მისთვის.

ჩოლოყაშვილების სასახლეში არსებული წმინდა ნიკოლოზის ეკლესია სოფელ ლალისყურის დასაწყისში, მდინარე სტორის გვერდით მდებარეობს.

ფშაველ-ლალისყურის მთაზე დაცული წყაროსთავ-წმინდა გიორგის ეკლესია კი ოთხი სადგომისაგან შედგება: „მისალოცი“, „მთავარი სამლოცველო“, „დედათა სენაკი“ და „საკუჭნაო“. შიგნით, მთავრულით შესრულებული წარწერები აქვს. მოხატულობა კირით არის შეთეთრებული. მხოლოდ აქა-იქღა მოჩანს ფრესკები.

ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა და განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. კახეთის ძეგლებიდან ხალხი მას, ალავერდისა და თეთრი გიორგის შემდეგ იხსენიებს. ეკლესიის უკან, ცოტა მოშორებით აღმართულა კრიახის მთა...

ქედის დაღმა იოანე მახარობლის უგუმბათო ეკლესია დგას. მლოცველი ჯერ იოანე მახარობელს დაუნთებს სანთელს, გარს შემოუვლის, ილოცებს და შემდეგ დაადგება წმინდა გიორგისთან ამავალ ბილიკს.

ტალის ციხეც ამავე ფერდობზეა. ფშაველს და ლალისყურს ზემოდან დაჰყურებს.

კოხტაღვთისმშობელი ფშავლელი მასწავლებლისა და პოეტის შაქრო ჯაჭვაძის თაოსნობით არის აღდგენილი, ხოლო წყაროსთავ-წმინდა გიორგი, იოანე მახარობელი და ესტატეს ეკლესია სტორის ხეობის თავკაცმა ლუკა რამაზაშვილმა აღადგინა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის გამოკვლევაში (IV-XVIII ს. ს.) „ხუროთმოძღვრების განვითარებისა საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში“ 1956 წლის გამოცემაში სტორის ხეობის სოფლების: ფშავლის, ლალისყურის და ლეჩურის ძეგლები, საერთოდ არ არის შეტანილი, არადა, ძალზე გასაკვირია ეს ფაქტი, ნუთუ იმ დროის ინტელიგენციამ არ მიაწოდა რაიმე ინფორმაცია აქაური უნიკალური ძეგლების არსებობის შესახებ უდიდეს ქართველ მეცნიერს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს?

სამწუხაროა, ისიც, რომ კახეთის კულტურის ძეგლების შარშანდელ გამოცემაშიც ხსენებაც კი არ არის მათ შესახებ.

... და სახელოვან წინაპართა ნაამბორები, ლეგენდადქცეული წარსული, ტყე-ღრეში მიმოფანტული ეს ეკლესია-ნაგებობები, ერთიანი საქართველოს პატარა ნაწილები, დროთა მდინარებამ, ჟამთა სიავემ ვერ წალეკა. ეს ტაძრები საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს.

იზა ჯაჭვაძე,
„სრ“ სპეც. კორ.
შალვა შარაშიძის ფოტო.


ფშაველი, წყაროსთავ-წმინდა გიორგი.


სტორის ხეობა, ზვარელ წმინდა გიორგი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბიზნესმენი — ქველმოქმედი

# განახლებული სამთავროს ველი

**ამ ადგილზე წინათ სასახლის ბაღი და მთავრის საბრძანებელი ყოფილა, აქედან წარმომდგარა სახელწოდება სამთავრო.**

აქ, ჩრდილოეთის კარით მცხეთაში შემოდიოდნენ კავკასიიდან სამხრეთისკენ მომავალი მეფეები თუ ვეზირები, ელჩები თუ დესპანები. ვაჭართა ქარავნებს ქალაქი ახვედრებდა რკინისა თუ ოქროულის ნაწარმს, რომლითაც განთქმული იყო მთელ მაშრიყ-მაღრიბეთში. ცნობილია, რომ პომპეუსი (ძვ. წ. 65 წელი) მცხეთიდან წაღებულ ოქროს ტახტს, სარეცელსა და მაგიდას, რომის ქუჩებში დაატარებდა და ყოვლის მნახველ რომაელებს იუველური ნაწარმის სილამაზით ანცვიფრებდა. უფრო გვიან კი (ახ. წ. II საუკუნე) ფარსმან მეფემ რომის იმპერატორს ოქროს სავარძელი და ოქროთი მორთული წამოსასხამი მიართვა.

მცხეთა ასევე განთქმული იყო რკინის წარმოებით. სარკინე უბანში დამზადებული ნაწარმით მარაგდებოდა როგორც დედაქალაქი, ასევე იყიდებოდა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებზე.

მცხეთის განუმეორებელი სილამაზე, დიდებული ბაგინეთი სრასახლებით, მეფის პალატებით, სირიულ-კალორიფული აბანოებით, ყვავილების ბაღებით, ღრუბლებში აჭრილი ქართლის მთებით, თეთრი სარტყელივით გაწოლილი მტკვრით, ზურმუხტისფერი ტალღებით მომქუხარე არაგვით და ორ მდინარეს შორის სამკუთხედივით შეჭრილი მთაგორიანი მიწით ატყვევებდა ბერძენ, რომაელ, ებრაელ, არაბ, სპარს თუ ალბანელ მოგზაურებსა თუ მეისტორიეებს.

კავკასიის უპირველეს ქალაქს ბაღიც გამორჩეული უნდა ჰქონოდა, ალბათ ამიტომ იყო, რომ მცხეთაში ჩამოსული ნინო სამეფო ბაღს მოუხიბლავს, იქ შეჩერებულა, მაყვლის ბუჩქთან დაუდვია ბინა, ვაზის ლერწისაგან შეუკრავს ჯვარი, დაუდგამს იმ ადგილზე, სადაც ახლა მცირე ეკლესიაა და დაუწყია ლოცვა.

მტრის მსახვრალმა ხელმა, აურაცხელმა შემოსევებმა, აუწერელი ზიანი მიაყენა მცხეთას — სამთავროს, 736-738 წლებში არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ მიწასთან გაასწორა ბაგინეთი და არმაზი: „სარკინოზებმა მოტყუინეს კახეთი და დაწუეს ჯვარი და მცხეთა“. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ხვარაზმელებმა დაარბიეს შიომღვიმე, XIV საუკუნის ბოლოს თემურ ლენგმა „შეჰკადრა და ბილწითა ხელითა ხელჰყო დარღვევად და მოოხრებად სვეტიცხოველისა შინაგან და გარეთ“, XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში მცხეთა განსაკუთრებით აუოხრებიათ მოთარეშე ლეკებს. ალექსანდრე დიუმა აღნიშნავდა: „ამ ხიდზე გავლის შემდეგ შევდივართ მცხეთაში, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში, დღეს ეს ერთი საცოდავი დაბაა, რომელიც ძველ ნაქალაქარზე მდებარეობს არაგვისა და მტკვრის შესართავთან“.

დიდი ილია კი თავის „აჩრდილში“ მცხეთას ასე მოიხსენიებს:

**„აწ აღარა სჩქეფს წყარო**
**ცხოველი,**
**ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა,**



ელგუჯა ბუბუტეიშვილი.

**და იგი დედა-ქალაქი ვრცელი**
**აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.**
**ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,**
**დიდი ცხოვრება მის დაცემულა,**
**დღეს იმ ცხოვრების**
**წმინდა ალაგნი**
**პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა“.**

წუთისოფლის ავბედითობამ სამთავროს ტაძარსაც დააჩნია თავისი კვალი, XIII საუკუნის ბოლოს დიდი მიწისძვრის გამო დანგრეულა გუმბათი, რომელიც XIV საუკუნეში განუახლებიათ. მის გარშემო მოისპო ის სამეფო ბაღი, რომელსაც ძველი ქართული ისტორიული წყაროები არაერთგზის მოიხსენებს.

1937 წელს საქართველოს ისტორიის პატრიარქის ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით დაიწყო სამთავროს სამაროვანის გათხრა, რომელიც ტაძრის ახლოს მდებარეობს და დღესაც გრძელდება. იგი შეიცავს რამდენიმე იარუსად განლაგებულ სხვადასხვა პერიოდის სამარხებს, მოყოლებული შუა ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. II ათასწლეული) ახ. წ. ა. VII-VIII საუკუნემდე, რითაც დასტურდება მცხეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, თითქმის 3000 წლის მანძილზე. სამთავროს სამაროვანმა ჩვენს მკვლევარებს მისცა უდიდესი სამარხეული, ეპიგრაფიკული, საკულტე დანიშნულების და სხვა ხასიათის მასალა.

„ცეკავშირმა“ ამ ორმოციოდე წლის წინათ სამთავროს ველზე ააშენა რესტორანი, რომლიდანაც დღე და ღამე დაფა-ზურნისა და მოქეიფეების ხმები გაისმოდა.

2000 წელს სამთავროს ველს მოევლინა ბატონი ელგუჯა ბუბუტეიშვილი, თვალი შეავლო რესტორან „მცხეთას“ და უკმაყოფილოდ თავი გააქნია:

— ეს აქ არ უნდა იდგეს.

**— როგორ თუ არ უნდა იდგეს, ეს ხომ არაერთხელ გადაკეთებული, მიწის სიღრმეში ფესვგადგმული, დარბაზებითა და კუპეებით დახუნძლული კაპიტალური შენობაა, რომელიც, როგორც იტყვიან, ფულის შოვნისთვის არის შექმნილ-დაარსებული!**

— სწორედ ამიტომაც მცხეთას, სამთავროს ველს ასეთი დაწესებულება არ ეკადრება.

**— იქნებ არც მარანია მიზანშეწონილი?**

— ნამდვილად. ის, რამაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, შეამციროს მათი მხატვრული ღირებულება, მცხეთაში არ უნდა არსებობდეს.

სამთავროს ველი, რომელსაც შემორჩენილი აქვს ქართველ გმირთა ნატერფალები, სადაც განისვენებს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ნანა, მართლაც სულ სხვა იერით უნდა გამოიყურებოდეს. ამიტომაც დაიწყო ნგრევა იმისა, რაც ზოგიერთებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ, ექსკავატორმა ფესვებიანად ამოიღო მიწიდან რესტორნის შენობა, მარანი, თავისი დამხმარე სათავსოებით და მათ ნაცვლად დაიწყო იმ დარბაზის მშენებლობა, რომელიც უნიკალურია არა მარტო მცხეთაში, არამედ მთელს საქართველოში. კვადრებით აშენებული კედლები, ძველი ქართული გუმბათით დამშვენებული, ფერადი ფილებით მოხატული იატაკი, დიდებული ბუხრითა და მხატვრული ჯიბეებით გამორჩეული, ადამიანს ხიბლავს არა გრანდიოზულობით, სიდიდით, არამედ სიფაქიზით, ზომიერებით, სილამაზით. ასეთ დარბაზებში იმართებოდა ძველ საქართველოში შეკრებები, საპატიო სტუმრების, დესპანების მიღებები, პოეტთა, მომღერალთა შეჯიბრებები და დღესაც, ჩვენდა სასიხარულოდ, აქ ისინი სტუმრობენ, ვისაც ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წინაშე. ვინ მოთვლის, რამდენი მოხიბლულა, სამთავროს ველზე ქართული დარბაზის მასპინძლობით, სვეტიცხოვლის სიდიადით, თავად მცხეთის მდებარეობით, მისი შემოგარენის სიკოხტავით.

— უდიდესი მნიშვნელობა აქვს გემოვნებას, ზომიერებას...

იხ. მე-10 გვ.

უცნობი ისტორია

**იმ დროს, როცა საბჭოთა საქართველომ თავისი, თითქმის, 700 ათასი შვილი გაგზავნა დიდი სამამულო ომის ფრონტზე, სამშობლოს ბედუკუღმართობის გამო ევროპაში გადახვეწილი ქართველების ერთი ნაწილი მოხალისეებად ეწერებოდა გერმანიის არმიაში შექმნილ ქართულ ლეგიონში, რაც სამშობლოს ხსნის ერთ-ერთ პირობად მიაჩნდათ.**

**მართალია, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გადიგრიალა მეორე მსოფლიო ომის ბატალიებმა, მაგრამ ისტორიაში კვლავაც თეთრ ლაქად რჩება „ბარიკადის“ იქით მდგომ ქართველთა ამბავი.**

**ვფიქრობთ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი მამულიას ეს ნაშრომი ერთგვარ წარმოდგენას მისცემს მკითხველებს ჩვენი ისტორიის ამ ბუნდოვან მონაკვეთზე.**

# ბრძოლა კავკასიისათვის (1942–1943 წლები)

პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალებისა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ორ დღეში დაიდო გერმანია-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც, სხვასთან ერთად ითვალისწინებდა გერმანიის მიერ საქართველოს დახმარებას, კერძოდ, ეროვნული არმიის შექმნაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს გერმანია-საქართველოს ურთიერთობაში ასრულებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში, პოლკოვნიკი გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი. თბილისში დაბინავებულმა გერმანიის არმიის ორმა ბრიგადამ გენერალ კრესს ფონ კრესსენშტეინის მეთაურობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის მოწესრიგებაში, აგრეთვე, საქართველოში შინაპოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციაში.

ამასთან, ქართველი და გერმანელი სამხედროების ურთიერთობა არ შეწყვეტილა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და საქართველოდან გერმანიის ჯარების გაყვანის შემდეგაც.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული სამხედრო ემიგრაციის ძირითადი ცენტრები პარიზსა და ვარშავაში იმყოფებოდა, ხოლო ქვეყნიდან იძულებით წასული თბილისის იუნკერთა სკოლის კურსანტები ორი მსოფლიო ომის შუალედში საფრანგეთისა და პოლონეთის შეიარაღებულ რიგებში მსახურობდნენ. მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა, გასაგები მიზეზების გამო, გამოეხმაურა 1941 წელს გერმანიის სარდლობის მოწოდებას — მონაწილეობა მიეღოთ აღმოსავლეთში ვერმახტის ანტიბოლშევიკურ ლაშქრობაში.

ქართველი სამხედროები, ისევე როგორც მათი გერმანელი კოლეგები, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის აღდგენას განიხილავდნენ ჩამოყალიბებული ისტორიული ტრადიციების ბუნებრივ გაგრძელებად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: საქართველოსადმი მიმართებაში ვერმახტის ხელმძღვანელობის პოზიცია მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ქვეყნის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობით, მისი უკიდურესად მნიშვნელოვანი ადგილით გერმანიის გეოსტრატეგიულ და გეოეკონომიკურ გეგმებში.

ასრულებდა რა კავკასიის რეგიონში საკვანძო გეოპოლიტიკურ როლს, გერმანიის გენერალიტეტი საქართველოს განიხილავდა, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ თვალსაზრისით — ახლო აღმოსავლეთისაკენ კარიბჭე ქვეყნის სახით, ისე გერმანიის იმპერიის უმნიშვნელოვანეს გეოეკონომიკურ არტერიად მისი ასე აუცილებელი კასპიის რეგიონის ბუნებრივი საწვავით უზრუნველყოფის საქმეში.

ამრიგად, გერმანიის მხარეს კავკასიის ხალხების წარმომადგენლების მიზიდვის ერთ-ერთ საშუალებად იქცა ეროვნული ლეგიონების შექმნა, იმ მომავალი კავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნების სამხედრო ფორმირებების ბირთვის სახით, მესამე რაიხის პროტექტორატის ქვეშ რომ იქმნებოდნენ. ამასთან, მესამე რაიხის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით, ბრმად რომ მისდევდა ადოლფ ჰიტლერის რასისტულ მითითებებს და არ იძლეოდა არავითარ კონკრეტულ დაპირებებს კავკასიელი ხალხების მომავალი მოწყობისა და პოლიტიკური სტატუსის მიმართებაში, რეალურად მოაზროვნე გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები კავკასიის ხალხებთან შეძლებისდაგვარად თანაბარუფლებოვანი ურთიერთობის მოწყობისაკენ ისწრაფვოდნენ. ამას ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიის ჯარების მიერ დაკავებულ ჩრდილოეთ კავკასიაში „A“ არმიის დაჯგუფების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ე. ფონ კლაისტის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, არ ყოფილა ისეთი ველურობისა და სიმკაცრის შემთხვევები, რაც ასე ხშირი იყო საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში. გლეხებს ის მიწებიც კი დაუბრუნეს, ერთ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ რომ ჩამოართვა მათ. ამასთან დაკავშირებით ამერიკელი მკვლევარი ს. მიტჩი აღნიშნავს, კლაისტის ჰუმანური პოლიტიკა ძალზე წარმატებული აღმოჩნდა და აღმოსავლეთის ფრონტზე ის რომ გამოეყენებინათ ყველგან, ომი, შეიძლება, სულ სხვაგვარად დამთავრებულიყო...

### ქართული ლეგიონის ნაწილების ჩამოყალიბების ცენტრები და ეტაპები

ორგანიზაციული თვალსაზრისით, კავკასიის ხალხების წარმომადგენლებიდან ეროვნული ლეგიონების შექმნა დაიწყო 1941 წლის დეკემბერში, როცა ნათელი გახდა ადოლფ ჰიტლერის პირადი სამხედრო შეცდომებით გამოწვეული მოსკოვთან გერმანიის ჯარების წარუმატებლობა და ვერმახტის წინაშე წამოჭრილი ომის გაჭიანურების პერსპექტივა.

ამას გარდა, გერმანიის სარდლობის მიერ 1942 წლის ზაფხულისათვის სამხრეთ რუსეთში, კავკასიის რეგიონში დაგეგმილ სამხედრო კამპანიას, უკვე ნახსენები გეოპოლიტიკურ-გეოეკონომიკური მიზეზებით, ცენტრალური როლი მიენიჭა.

ბრძანება ქართული ლეგიონის შექმნის შესახებ გამოიცა 1942 წლის 8 თებერვალს გრიფით „სრულიად საიდუმლო“. სხვა კავკასიური ნაწილებისაგან განსხვავებით, ქართული ლეგიონის შექმნაში წამყვან როლს ასრულებდა არა გერმანული კადრის პერსონალი, არამედ პროგერმანული განწყობის ქართველი ემიგრანტები, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკის, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის შალვა მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჯერ კიდევ 1918 წელს შეძლო საქართველოში გერმანული სარდლობის წარმომადგენლების განსაკუთრებული ნდობის მოპოვება.

საქართველოდან 1923 წელს ემიგრირებული შ. მაღლაკელიძე 1934 წელს აღადგენს ურთიერთობას გერმანიის სამხედრო წრეებთან. 1937 წლიდან გერმანიის სამხედრო დაზვერვის — აბვერის კადრის ოფიცერი იყო. 1941 წელს გააგზავნეს პოლონეთში როგორც ფაქტობრივი მეთაური იქ ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონისა (მოგვიანებით, 1944 წელს შ. მაღლაკელიძეს ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა).

შ. მაღლაკელიძის შუამდგომლობით, ქართული ლეგიონის გერმანელ მეთაურად დაინიშნა ლიუფტვაფეს ყოფილი პილოტი, მაიორი უსელი. ამ კაცის ჩრდილო კავკასიურ ლეგიონში გადაყვანის შემდეგ, 1942 წლის აგვისტოში, მის შემცვლელად დანიშნეს ობერ-ლეიტენანტი ბრაიტნერი.

როგორც შ. მაღლაკელიძე მოგვიანებით იგონებდა, დასაწყის ეტაპზე, ქართული პირადი შემადგენლობის ნაკლებობის გამო (გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ხალხის გადმობირებისათვის გარკვეული დრო იყო საჭირო) ქართული ლეგიონის პირველი ბატალიონის შემადგენლობაში, ეთნიკური ქართველების გარდა, შეიყვანეს, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიის დასავლეთისა და ცენტრალური ნაწილების სხვადასხვა მთიელი ხალხის წარმომადგენლებიც: ადიღეელები, ბალყარები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ოსები.

იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 51, ორშაბათი, 24 თებერვალი, 2003 წელი.

წინაპარი

# „ჩვენი სატკივარი ჩვენვე უნდა ვიმკურნალოთ“...

## შტრიხები ღირსეული მამულიშვილის, პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის პორტრეტისთვის

**მიმდინარე წლის იანვარში აღინიშნა ქართველი ხალხის საამაყო შვილის, მწერლის, პუბლიცისტისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის დაბადებიდან 125 წლისთავი. ამ დიდებულ მამულიშვილს სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი და, სათნოებისა და პატიოსნების ცოცხალ განსახიერებას, დიდი მოკრძალებით და პატივისცემით ვეპყრობოდი. წაკითხული მქონდა მისი რედაქტორობით გამოსული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ ხელმისაწვდომი ნომრები, გავეცანი, აგრეთვე, მის სხვა ნაწარმოებებსაც, ჩემს პირად არქივშიც ინახება მათგან ამოწერილი აზრები, დებულებები და მითითებები, გზადაგზა გაკეთებული კომენტარები და დასკვნები. ისინი ხელახლა გადავათვალიერე და, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვცადე ამ დიდი პატრიოტისა და მოღვაწის შესახებ მოკრძალებული აზრი შემეთავაზებინა მკითხველთათვის.**

* * *

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ იოსებ იმედაშვილი ეკუთვნის სახელოვან მამულიშვილთა იმ გამოჩენილ კოჰორტას, რომლებმაც მთელი თავისი ცოდნა, ძალა და ენერგია ნებაყოფლობით მიიტანეს რუსიფიკატორების კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წმიდათაწმიდა სამსხვერპლოზე.

იგი ახალგაზრდობიდანვე ეზიარა ილიას მიერ შემუშავებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეას და ბოლომდე მისი ერთგული და თავდადებული დამცველი შეიქმნა და სიცოცხლის მთავარ მიზნად ამ იდეის განხორციელებისათვის ბრძოლის ასპარეზი გაიხადა.

რაკი ილია ვახსენეთ, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იოსებ იმედაშვილი ილიასთან ერთად უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა და ყოველთვის მთელი შესაძლებლობით იცავდა უკეთურთაგან, აკაკის, ვაჟას და სხვა ეროვნულ მოღვაწეებს. ძნელბედობის დროს, გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ყოველგვარ ეროვნულს და მის სულისჩამდგმელებს (ისევე როგორც ახლა) ჯვაროსნული ომი ჰქონდა გამოცხადებული, მათი საჯარო დაცვისათვის იოსებ იმედაშვილი, პავლე ინგოროყვასა და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. ადრე კი ამ იდეების პროპაგანდის და გავრცელებისათვის 4 წლით ჩასვეს ციხეში და ერთხელ მოკვლაც კი სცადეს, დიდ ხელფასსაც დაჰპირდნენ, მაგრამ ერთხელ აღთქმულ საოცნებო იდეას არასოდეს უღალატა. ქედმოუხრელი, პრინციპული და შეუვალი მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაში — ასეთი სახით შემოინახა იგი ეროვნული ცნობიერების ისტორიამ და ასეთად წარმოჩნდა იოსებ იმედაშვილი ყველას თვალში, ვინც კი მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ზოგადად მაინც გაეცნობა.

იოსები დიდ იმედებს ამყარებდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაზე, აქტიურადაც მონაწილეობდა მთელ მის მსვლელობაში. ამასთან დაკავშირებით ბევრი სასიკეთო საქმეც გააკეთა. მარტო ის რად ღირს, რომ მისი მეთაურობით თბილისში ჩამოვიდა ივრის ხეობის გლეხთა საპროტესტო დელეგაცია და მეფის ნაცვალი ვარანცოვ-დაშკოვი აიძულეს გურიიდან გამოეწვია დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

იოსებ იმედაშვილი თავიდანვე იმით იყო შეწუხებული, რომ **„ჩვენი ეროვნული ძალები დაქსაქსული იყო, პარტიებად დაყოფილი ხშირად ერთი მეორეს ებრძოდნენ. მათ არ გააჩნდათ „ერთი გამაერთიანებელი ძაფი და დედაბოძი“. ამის გარეშე კი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლებელი იყო, ისევე როგორც წარმოუდგენელი — მისი ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა“.** საოცარია პირდაპირ, როგორი სიღრმით ასახავს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას გასული საუკუნის 20-იან წლებში იოსებ იმედაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თანხმობის და გაერთიანების მთავარ იდეურ დასაყრდენად (ისევე როგორც დღესაც) იოსებ იმედაშვილს ილია ჭავჭავაძის მოძღვრება მიაჩნდა. ილია იყო მისთვის ის საფიცარი ხატი, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ბელადი და მებაირახტრე იყო, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც. მიმართავდა რა უკვდავების დიდ ბინადარს ილიას, იოსები მთელი გულწრფელობით ამბობდა:

**„შენ არ მომკვდარხარ, შენებრ**
**კაცნი როდი კვდებიან,**
**სულით ჩვენს შორის მარადმყოფნი**
**— ხორცით ქრებიან“.**

იოსებ იმედაშვილს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ აუცილებელი იყო ილიას „ივერიის“ შეწყვეტილი „სიმღერის“ გაგრძელება, მისი ტრადიციების განუხრელი დაცვა, ეროვნული იდეოლოგიის შემდგომი განმარტება, გავრცელება და ფართო მასშტაბით პროპაგანდა. პროპაგანდის მთავარ გზად კი ხელოვნების სფერო აირჩია, და ეს შემთხვევით როდი მომხდარა. იოსებ იმედაშვილი დარწმუნებული იყო, რომ **„ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასათვის ერთია და ყოველთა შემაკავშირებელი“.**

ამ რწმენით და იმედით შეუდგა იგი საკუთარი ჟურნალის გამოცემის უძნელეს საქმეს, სათაურიც ბრძნულად შეურჩია — „თეატრი და ცხოვრება“. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ თეატრი ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს ცხოვრების სინამდვილესა და მისი განვითარების პერსპექტივასაც მთელი თავისი ავლადიდებით: სიხარულითა და სინანულით, სისუსტითა და სიძლიერით, სიბრძნითა და სიბრიყვით, სიმდიდრითა და სიღარიბით, სიბოროტითა და სიკეთით, სიყვარულითა და წამებით, გამარჯვებითა და დამარცხებით; ასე რომ, „ცხოვრება თეატრალურია და თეატრი — ცხოვრებისეული“.



იოსებ იმედაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

იოსებ იმედაშვილი ამავე დროს ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ქართული თეატრი მხოლოდ მაშინ შეასრულებს კუთვნილ უაღრესად საპატიო მოვალეობას, როდესაც იგი მთელი თავისი მუშაობით, რეპერტუარით განიმსჭვალება ეროვნული სულისკვეთებით, დაეფუძნება ილიას ეროვნულ იდეოლოგიას. იგი დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: **„ქართულ სიტყვებთან ერთად არ ტრიალებს ქართული სული“, ...„ლაპარაკი ქართულია, გარეგნობა ქართულია, შინაარსი კი ვინ იცის სადაური?“**

ასეთი შეუსაბამობის აღმოფხვრას ემღვნებოდა ჟურნალის ყოველი ნომერი, რომლის მოწინავესაც ყოველთვის იოსებ იმედაშვილი წერდა. ჟურნალში, მიუხედავად დიდი ფინანსური გაჭირვებისა, მალე შემოიკრიბა თავის გარშემო ქართული მწერლობისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები და მისი უცვლელი რედაქტორის თაოსნობით ისტორიული საქმე გააკეთა: ქართული სახალხო თეატრი საიმედო, ეროვნულ ნიადაგზე დააყენა; თითონ იოსებიც წერდა **„...ჩვენი თეატრია, რომ გვიფარავს ენას, ხალხოსნურ სულს, გვიღვივებს თვითცნობიერებას“.**

გამორჩეულია იოსებ იმედაშვილის ღვაწლი და ამაგი ქართული საოპერო ხელოვნების დაფუძნებისა და განვითარების საქმეში, მისი სამაგალითო საქმიანი ურთიერთობა გოგინაშვილთან, მ. ბალანჩივაძესთან, ყარაშვილთან, ნ. სულხანიშვილთან, ზ. ფალიაშვილთან, დ. არაყიშვილთან, ჯაბადართან და სხვა გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებთან.

იოსებ იმედაშვილი უაღრესად საჭირო და ნაყოფიერი მოღვაწეობის მთელ მანძილზე განსაკუთრებული მონდომებით იცავდა ქართული ენის ღირსებასა და სიწმინდეს. იგი შთააგონებდა რუსეთში გამოზრდილ ქართველ სწავლულებს, მწერლებსა და დრამატურგებს, მსახიობებსა და მომღერლებს კარგად, სრულყოფილად ესწავლათ მშობლიური ენა. სამაგალითოა ამ მხრივ მისი ურთიერთობა ა. აბაშელთან, ალ. სუმბათაშვილთან, კ. მარჯანიშვილთან, მ. ჯავახიშვილთან, ს. ახმეტელთან და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან, რომლებმაც სწორედ იოსების ხელმძღვანელობითა და დახმარებით შეძლეს მშობლიური ენის დაუფლება. მ. ჯავახიშვილი მას „ჩემი ქართული ენის მასწავლებელსაც კი უწოდებს“. ასევე სულისკვეთებით ზრდიდა იგი თავის შვილებს და მეუღლეს ყოველთვის შესთხოვდა, ყველაფერი მოეკლო და ისინი ქართველებად გაეზარდა. იოსები კარგად იცნობდა იაკობ გოგებაშვილსა და კონსტანტინე უშინსკის შეხედულებებს დედა ენაზე და საფუძვლიანად და დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ „როცა ხალხის ენა ქრება, ქრება ხალხიც, ვიდრე ენა ცოცხალია... ცოცხლობს ხალხიც. ხალხი ყველასფერს დაიბრუნებს, რაც არ უნდა წაართვა, გარდა ენისა და თუ ენა წაერთვა — ხალხიც წყვეტს არსებობას“.

იოსებ იმედაშვილი სამართლიანად აღნიშნავს სკოლისა და მასთან ერთად პრესისა და თეატრის ეფექტურ ზემოქმედებას ეროვნული ღირსების შეგნებაზე, იმაზე, რომ ფართოდ დანერგილიყო მოსწავლე-ახალგაზრდობაში ეროვნული სულისკვეთება, ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, ქართული კულტურის, ხელოვნების, მწერლობის სიყვარული და ერთგულება, მშობლიური ენის სიწმინდისა და უფლებების დაცვისათვის უკომპრომისო ბრძოლა, რომელსაც ისევე როგორც დღესაც, რეალურად ემუქრებოდა მოსპობის საფრთხე.

როგორც ილია, იოსებიც თვლიდა საქართველოს არსებითად სოფლის მეურნეობის ქვეყნად, ამიტომ მთავარ ძალად, რომელსაც მონობიდან უნდა დაეხსნა ჩვენი ქვეყანა, მას გლეხობა მიაჩნდა, გლეხური მეურნეობის განვითარებითა და განმტკიცებით. ამისათვის კი აუცილებელი იყო სოფლად განათლების შეტანა სკოლებით, კლუბებითა და თეატრებით; განათლების მთავარ ამოცანად კი სახავდა: გლეხობის გამოყვანას ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე, ეროვნული იდეით მათ გაერთიანებას, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთების გაღვივებასა და გაძლიერებას, **„ქვეყნის საკეთილდღეო საშუალებათა საერთო ძალ-ღონის შემუშავებას“.**

იოსებ იმედაშვილისა და მისი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მან ბევრი ნიჭიერი ქართველი გამოიყვანა სამწერლო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე და აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის ლექსების პირველად ბეჭდვასთან ერთად მათი ნაწერების გამოქვეყნებით სამუდამოდ აზიარა ისინი პოეზიის შთაგონების ძალას. ამის გამო თუკი ვისმეზე ითქმის სხვისი ნიჭის აღმოჩენა და ჯეროვანი დაფასება ღვთისგან ბოძებული სიკეთეაო, ეს პირველ რიგში ითქმის იოსებ იმედაშვილზე.

იოსებ იმედაშვილი ქართველი ხალხის გამოხსნას რუსიფიკატორების კლანჭებიდან, როგორც აღვნიშნეთ, განუყრელად უკავშირებს ერის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რომლის საფუძველია ეროვნული მთლიანობის მიღწევა. ამის გამო სავსებით ლოგიკურია მისი განსაკუთრებული ზრუნვა აჭარასა და აფხაზეთზე. პირველის მიმართ იოსები იმ აზრის იყო, რომ სარწმუნოებრივი რელიგიური განსხვავებულობა ხელს არ უნდა უშლიდეს ქართველ ტომთა ერთიანობას. ამის საფუძველს იგი იმაში ხედავდა, რომ სისხლით, ჩამომავლობით, ენით, კულტურით, ისტორიითა, ჭირითა და ლხინით ერთიანი ვართ, განუყრელნი და მომავალნიც ერთი უნდა გვქონდესო. მთავარ ძალად ამ საქმეში იოსები ეროვნული თვითშეგნების ძლიერ გრძნობას თვლიდა და თავისი ჟურნალის საქმიანობას ამ დიდებული ამოცანის გადასაწყვეტად წარმართავდა. იოსები აღტაცებული იყო ბათუმის ოლქიდან თბილისში ჩამოსული დელეგაციის საქმიანობით, განსაკუთრებით მოხიბლულა მემედ აბაშიძის, რეჟებ ნიჟარაძის და ისკანდერ ცივაძის შინაარსიანი სიტყვებით, რომლებიც ერთხმად მოითხოვდნენ აჭარის დედა საქართველოსთან დაბრუნებას, აჭარელი ხალხისათვის ქართული განათლების მიცემას, ქართული სკოლებისა და სხვა სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებასა და განმტკიცებას. ამას მოყვა აჭარაში სკოლების გახსნა თვითონ აჭარლების მოთხოვნით — ქარული ენის, ქართული ლიტერატურის, ისტორიის მწიგნობრობის და მწერლობის ფართოდ გავრცელება, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი იოსებ იმედაშვილმა შეიტანა.

ჩვეული სიფრთხილით, მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზით, დინჯად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და პრინციპული ეროვნული სულისკვეთებით უდგება იგი აფხაზეთის საკითხსაც.

იოსებ იმედაშვილს აფხაზებთან დამოკიდებულების საფუძვლად მიაჩნია მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის გრძნობაზე აწყობილი ცხოვრება, ქართველი და აფხაზი ხალხის ნათესაური კავშირები. თბილისში ჩამოსულა აფხაზების დეპუტაცია გ. შარვაშიძის, მ. ემხვარის, პ. ანჩაბაძის და სხვათა შემადგენლობით, რომლებსაც მეფის ნაცვალისათვის, აფხაზი ხალხის სახელით უთხოვიათ ოლქის გარდაქმნა ცალკე გუბერნიად და თუ ეს შეუძლებელი იქნება, სოხუმის ოლქი შეერთებოდა ქუთაისის გუბერნიას, სოხუმის ეპარქია კი შესისხლხორცებული საქართველოს ეკლესიასთან არას გზით არ უნდა ყოფილიყო გაყოფილი საქართველოს საექსარხოსოდანო. იოსებ იმედაშვილი, მთელ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, გახარებული შეხვდა ასეთ განცხადებას და იგი შეაფასა, როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, იმის უტყუარი საბუთი, რომ აფხაზების ღირსეულ შვილებს, აფხაზ ხალხს ნამდვილად სჯერათ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მოძმე ქართველები ყველანაირად შეუწყობენ ხელს ეროვნულ თავისებურებათა შენარჩუნებაში, ერთობა ქართველებთან იხსნის მათ მრავალნაირი განსაცდელისაგან.

იოსებ იმედაშვილი დიდი ინტერესით და უდიდესი გულისტკივილით ეხება „ფერეიდანელი ქართველების საკითხს“, კალმითა და სიტყვით ფართოდ აშუქებს მათი ბედით უკუღმართობას და გაოცებულია იმით, რომ დედა საქართველოს სამი საუკუნით მოწყვეტილებმა შეინარჩუნეს დედა ენა და ქართული ზნე-ჩვეულება, ამაში კი ოსები ხედავს ეროვნული სულისკვეთების არაჩვეულებრივ გამძლეობასა და სიცოცხლისუნარიანობას. შეწუხებულია იმით, რომ ვერ ხედავს სამშობლოში მათი დაბრუნების ნამდვილ გზას. სამაგიეროდ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფერეიდანელ ქართველებს დაეხმაროს ქართული სახელმძღვანელოებით, მწერლების ნაწერებითა და ქართული ერონვული პრესით. იგი გაუშუქებლად არ ტოვებს და სპარსეთში ქართველ სწავლულთა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, რომლებიც ფერეიდანელ ქართველებს ეხებოდა, ამით და სხვა შესაძლო ღონისძიებების გატარებით იოსებ იმედაშვილი საიმედო ხიდს აშენებდა „დიდი და პატარა საქართველოს დასაახლოებლად“.

იოსებ იმედაშვილის პატრიოტული სულისკვეთება და ჭეშმარიტი მამულიშვილობა ნათლადაა გამოხატული ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-გაშუქების საქმეში და თვითონ უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილი მწერლების პუბლიკაციებში. როგორც ყველა სახის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების, ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მთავარ ღირსებას იოსებ იმედაშვილი იმაში ხედავს, რომ იგი მაღალი რანგის პროფესიონალებთან ერთად მოამზადებდა მაღალი, ეროვნული სულისკვეთების პიროვნებებს.

მას სწამდა, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნით, **„საიმედო საფუძველი ჩაეყარა საქართველოს თვითაზროვნებას და განთავისუფლებას, ...ჭეშმარიტად ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლებოდა... მან უნდა მოგვანიჭოს გონებრივ-სულიერი სიმაღლე, საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნისა და მსოფლიოს სიყვარული“. ფართო გზა ჩვენი ნატვრის ერთმნიშვნელოვან გამოხატულებას, ამბობს იოსები და ამ ისტორიული თარიღისადმი (1918 წ. 2 იანვრისადმი) მიძღვნილ წერილს ამთავრებს მოწოდებით: „სალამი ჩვენის განახლების ტაძარს, ...სალამი ჩვენს მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის მოღვაწეთ, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ამ ტაძარს; მთელი ქართველობის ვალია ყოველის ღონისძიებით გაამკვიდროს ქართული უნივერსიტეტის კედლები, რომ მას შინაგან უკუნითი უკუნისამდე ღვიოდეს ცეცხლი უქრობელი ქართლისათა გათიშული გულის გასათბობად“.**

და კიდევ ერთი: იშვიათად მოიძებნება ჩვენი ერის ისტორიაში პიროვნება, რომელიც თავისი გვარითა და სახელით ამართლებდეს ცხოვრება-მოღვაწეობის მიზან-დანიშნულებას ისე, როგორც იოსებ იმედაშვილი. იოსები სინონიმია პიროვნებისა, რომელიც სხვების კეთილდღეობისათვის ეწამა „ამა სოფლის ამაოებას“, ყველაფერი იღონა მოძმეთა უკუღმართობისა და უკეთურობის შესაცვლელად, მომავლისადმი იმედიანი განწყობილების შესაქმნელად.

იმედაშვილი — ერთხელ ზიარებული ეროვნული იდეის ერთგულებისა და თავდადებული სამსახურის მაუწყებელია, საკუთარი ურყევი რწმენის უმწიკვლოდ დაცვის ასპარეზია, მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების იმედია, სასახელო და სანატრელი მომავლის რწმენაა, ეროვნული მეობის შინაგანი ძალის სიცოცხლისუნარიანობისა და საარაკო გამძლეობის შთამაგონებელია.

ასეთად დარჩა იგი ჩემს ცნობიერებაში და ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ასეთად შემოინახავს მის გვარსა და სახელს ჩვენი ეროვნული კულტურისა და განათლების ისტორია.

**გედეონ ხელაია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



# ემზარ კვიტაიშვილი

### ქართლის გზებზე

გავისეირნებ მალე ავდრებს,
ღრუბელი თვლემს გრიფონად...
ფონს, ყელებს, ვერ ინაცრებ,
ნისლში წევს ცრიფონა.

აყვრია ცანი კოპოცს,
ლერწამი აიჩალა;
ნაცარ-ბუჩქში, დილაობით,
მზეს გზავნის ფონიჭალა.

მე ამ მიწას დავაკვდები,
ორთქლიანს და ხვართქლიანს;
მთები, მთები, ისევ მთები...
რო მაცოცხლებს – ქართლია.

### ზოოპარკის მონახულება სიყმაწვილეში

ორმოცდახუთი წლის წინანდელი,
ნოემბრის ქარში მახსოვს ცანცალი.

მახსოვს, აყზთან, დათვი მხყქანი,
მელები მარდი, მოცუყქცყქენი.

ხელმოცარული, არც-რას ვეძებდი,
ჩუმად ვირთობდი თავს სამხეცეთი.

ლამას სყრვილი ჰკლავდა ლამასი,
მახსოვს იმათი ბორგვა, ლამაზი.

ნაწილ-ნაწილად, ხსოვნა ენთება,
ლავდება ის დღე მწირ
ფარგმენცებად.

ქარმა ბუმბული მტვერში წარია,
მივხვდი, ცყველობა რარიგ მწარეა.

ფრთა ფრთას შემოკრან, არ
ჰყოფნით სივრცე,
ყყრ-ბიბლონი ყელავთ ცოცრებს.

სეირს სეირი მაინც ემაცა,
ჰა, სეირნობა სირაქლემათა.

ნამიან ლამის ავრძელებს ლოდინს,
მოწყენილია ბებერი ჭოცი.

არვის ყყყრებს, არაფრის სჯერა,
მძორს ძიძგნის, ლოდზე, ქაჩალი ძერა.

მაიმყნების ვყმზერ პორწიალს,
არ შეეშლებათ წრე, პროპორცია.

ველყრი ცახის ქშყცყნი მესმა,
თვალი მომცაცა ეშვების კვესმა.

საბრალო, მომხწრე იმ სიცივეთა,
ვალიას კბენდა ჭრელი ცივეცა.

სად არი ახლა? გადყლახველი,
აქამდე მომყვა მისი ნაღველი.

### მღერის და უკრავს მანანა მენაბდე

(ძველებური რომანსი)

მკერდს მოხწოლია ვნება ყზლავი,
ვიცარის სიმებს, ელვის მაგიერს,
კორცნის თითები და მომნყხხავი
ჟრჟოლა მოშვებყლ ცანში დაგიარს.

იშლება ათას ჩრდილად და ლანდად,
ვედები ცეცხლი იმ თითებისა;
დამწვარ, მწივანა ბყერებად ფანცავს –
წამებს სივიჟის და დიდებისა.

იცყვი: სიზმარი ქცეყლა ცხადად,
ვიცარის კვნესამ დამიცანია...
ცრიილი, ყხმო, ძველებშიაც აცანს,
ვერ ყძლებს გყლი, ნამეცანია.

ბილიკი, ვიწრო, თავად ჩარაზა,
ისმენ სამდყრავს: აღარ მობედო,
რას მოდიოდი ჩემს ფანჯარასთან,
რად მაკითხავდი ღამღამობით.

აქვს საყვედრები და საყვირალი,
იყრვებს ყრვას, არვის არ ელის,
რამ დანთქას, რომელ მდინარეს გაყვეს,
აღარ მიყვა აწ საყვარელი.

გაყგონარი, წამლები გონის,
ლვთიყრი ბნედა თვალებს მონისლავს;
მოხრილი, ცათა სიმძიმეს წონის,
შეარხევს ოხვრით მხრებს დემონისას.

ქვათა მღნობელი, ცრემლთა დამდენი,
დყღს, იფერფლება ღველფი
მკვნესარი...
დამდორებყლი, ვრძნობ, მერამდენედ –
სიცოცხლის თავიც, ბოლოც, ეს არი!

### თოთხმეტი ნომერი

დავით პერტენავასა
და სხვათა ხსოვნას

ზამთრის პირია, ეზოში
სიჩყმემ დაიბყდა;
რკინის მთაჯირს, ვეება,
შეხორცებია თყთა.

ადრე შრიალით მხვდებოდა,
ახლობლად შევიცანი,
დღეს დავაკვირდი, შევნიშნე
ორგან დაჭრილი ცანი.

კიბეებს, ლია აივნებს
თოვლის სყრნელი ყდის...
სახყრავს ნეშო დაკვრია –
ფოთლები იმა თყთის.

სიყრმე რომ დარჩა მთებს იქით,
გყლმა ვერ დაისწავლა...
მიმოიფანცნენ, ვერ ნახავ
ბიჭებს, ყბნისას, წამლად.

დილა საღამოს მაგონებს,
ცის მოწყენილა თალი;
ვერ გამიგია თავადაც,
რას ვყხმობ, ვის ვეძახი!...

### ნანადირევი ხოხბები

მონადირემ დახოცა,
ამცრემლებლად ჩემდა,
სამნი იყვნენ, იაცაკს
ბოლო მათი სცემდა.

თვალებდახყჭყლებმა,
ყხაშველოდ მცანჯეს;
შიშველს, შავად გაშვერილს,
ვიგონებდი კლანჭებს.

სანახევროდ ვერ მივხდება,
არ ყნახავს ვისაც;
ვწყხდი, ვეფერებოდი
ჩამქრალ შხეფებს მზისა.

ვთქვი, ჯაგნარი, მათი წილი,
კახეთს ობლად დაშთეს,
დახრილ ბიბილოებზე
მზე ვერ ათამაშდეს.

რად მჭიროდა, ისედაც
მოკლყლს, სხვა იარა?!
იმ ცყვიებმა ჩემი გყლიც
გაჭრა, გაიარა.

მბყრავს თოფის ლყლიდან
ავარდნილი კვამლი,
სყლეთში რომ წამლალოს
ყღვთოდ მონაწამლი.

დღემდე, გყლდანაღარი,
მდყღარეში ვარ და
აღარ იკლებს, არ ილევა
მწკრივი საცკივართა.

### არ მაძინებს ქარის ბორგვა

მიწას – შიშველს, გათოშილს –
ფრთები დააცროლა;
არვის ძალყძს, სიმაღლეში,
ქარის დარად ქროლა.

ვისმენ სახყრავებზე
გაავებყლ ხრიგინს,
ხეების დარბევაშიც
პირველია იგი.

ცაში აჭრა არ აკრთობს,
არც დაცემას შიშობს,
ნეცავ თყ ახსენდება,
მზის რომ არი პირმშო?!

შემოეხა ფოთლების
მოხასხამი, კაბა,
ცოცებშყა, მახავით,
წივილს ვინ გააბამს?!

ავრავნილი ღრყბლების
ყყვარს წეწვა, ხლართვა,
არაფრად ენაღვლება,
ძილი რომ წამართვა.

მალე გადაეკვრება
დილას ფერი ანწლის,
მისივ ბრდღვინვა, წანწალი
ძალას გამოაცლის...

ჯვარზე გაკრყლს, მოთქმა შენი
აღარ გამაკრთო;
რა ყცებ მოიცანე
ზამთრის სყნთქვა, ქართ!

### კოპიტი ჩემს ეზოში

მიყვარს კოპიცი, ზამთარშიც
გაზაფხყლი რომ ყცევს,
აღარ მაბერებს დაბერილი
კვირცების სიჯიყცე.

ცოცებზე იცის ფოთლების –
მწვანე პეპლების – ახმა,
ქარაშოცი რომ ჩადგება,
ყცდის ნიავის ნაზ ხმას.

ღებავს ფესვები, დვას მკვიდრად
აყღებელი ციხე;
დაყღლელობაც, დყღილიც –
მე მისგან ვადავიღე.

### დანაბარები

აკაკის რომ დავესესხო,
მიწამ მეც მიაკვანა,
სყლ არ იყო სახყრველი –
სყლეთს ჩემი წაყვანა.

მზე მათრობდა, თავს ვიქცევდი
წვიმითა და თოვითა,
სამყდამოდ აქ დარჩენაც
ვცადე, არ გამოვიდა.

* * *

ფერდობი რყხი. წყხილი
კაცმა სად გადამალოს...
გაჩხოცილს, ზამთრის სიფითრე
როგორ ყხდება ჭალას.

ეს მივარდნილი ხეობა
ჩემამდეც ბევრჯერ ხაცეს;
მალე, მოწყენილ ყრანცალით,
ყვავიც გადყფრენს ფლაცეს.

### სულ შენ ამოგცქერი

რითი ყნდა დავიამო
გყლი მონაწეწკი,
გავამთელო, გაწყვეცილი,
ვარსკვლავთ ოქროს ძეწკვი?!

დაყყნცყლმა, ყყნწი ყყნწზე
როგორ გადავაბა?
ღამის შავი ხავერდისა,
ვის ჩავაცვა კაბა?

მითხრას, ვის მკერდს დავაბნიო
სავსე მთვარის ქარვა?
ნყ დამაბნევს, მე ხო მართლა
ჯადოქარი არ ვარ...

ვერ გშორდები, როგორრა ვთქვა,
თვალი გამექცაო,
მართლაცდა რა მეშველება,
რომ არ მყავდე, ცაო?!

### გაყიდული

ჭიჭინაზეც რომ გახკდე,
შენ ვერ დაწერ ლექსს,
მწკლარცე სისხლი ვერ აჰყვება
სიცყვის ქროლვას, შლევს.

კაცს ვენაცვლე ნიჭიერს,
თყნდ აწყვეცილს, შმაგს;
ლვარძლიანი, ყნიჭო –
ვერ დავმალავ, მძაგს.

### ფოთლოვანთა დამარბეველი

ცივმა ქარმა, კარჩხალამ,
დაყბერა ლალადა...
ალვისხეებს, ნეკერჩხლებს
სამოსელი დახადა.

დაშლივინობს სველ რცოებში
ქარი ფლიდი, იყდა;
შეყანწყლი, ჯერჯერობით,
ჭადარი დვას ჯიყცად.

### ზამთრის მზიანი დღე

ვერის დაღმართზე დავეშვი,
ვერავაგებყლი, ვერანი,
ჭადრის ცოცებზე დამსხდარან
მცრედები, ყვავისფერანი.

ცა ცეცხლით ყნდა ვავხაზო,
მეც მათხავით ვარ ხიზანი,
ესეც იმათი ბრალია –
დარდნი მომდევენ ხისანი,
შავი მცრედების არ იყოს,
არც მე მქონია მიზანი.

### ამ დილითაც მომელანდე

რისთვის გადავეყარე,
თავი რად წავავე...
მანცვიფრებდი, წყაროსი
გითრთოლავდა ბავე.

წყაროსივე ვეცვა კაბა,
ცისფერ-სიფრიფანა,
წყარო იყავ თითონაც,
მისმა ცრემლმა გბანა.

კისერს ვიშვერ, დამკრას ვინმემ
ალესილი წალდი...
დაეკიდე რომელ ყფსკრყლს,
რა ბნელს ჩაჩხრიალდი?!

ღმერთი როდის მაღირსებს,
მოვისმინო ისევ,
შენი ვერცხლის სიცილი,
ანველოსო ცისავ?!

დამენახვე ერთხელაც,
სიბრალყლის გამო,
სამარეშიც თან ჩამყვეს
ცოდვა სამყდამო.

## მსოფლიო შტრიხებში

### რობოტია თუ ადამიანი?

ადამიანის შექმნილი რობოტები რომ უკვე ბევრ რამეში სჯობნიან თავიანთ ავტორებს, სადავო აღარაა – ისინი ადამიანებზე უფრო სწრაფად ანგარიშობენ, მონაწილეობენ ბევრ ისეთ ოპერაციაში, სადაც ადამიანს ხელი არ მიუწვდება, თქვენ წარმოიდგინეთ, თარგმნიან კიდევაც და ა. შ. მაგრამ ჯერჯერობით მანქანა მანქანად რჩება და ადამიანი – ადამიანად, მაგრამ ისე, ამ უკანასკნელთა ძალისხმევით, მათ შორის არსებითი განსხვავება, შესაძლოა, მალე გაჭირდეს კიდევაც.

თავად განსაჯეთ, მეცნიერებაში პროგრესის ამერიკული ასოციაცია ყოველწლიურად დენვერში აწყობს შეხვედრებს, რომელზეც ახლახან გამოიტანეს რობოტი, „სახეზე“ სხვადასხვა ემოციის გამოხატვა რომ შეუძლია.

ეს საოცრება შექმნა დევიდ ჰენსონმა, რომელიც ადრე უოლტ დისნეის მულტფილმების სტუდიაში მუშაობდა, ახლა კი დალასში, ტეხასის უნივერსიტეტში მოღვაწეობს.



მის მიერ შექმნილი რობოტის თავში თვალებად ჩამონტაჟებულია ვიდეოკამერები, ყურადღებით რომ შესცქერიან მოსაუბრეს. შემდეგ რთული მოწყობილობის დახმარებით მოძრაობაში მოდის სახის ხელოვნური კუნთები. ისე რომ, ანდრიუს, K-bot-ს რომ ეძახიან, შეუძლია გაღიმება, მოღუშვა, თვალების მოჭუტვა, თქვენი მიმიკის აყოლა, თანაც რეაქცია პრაქტიკულად წამიერია.

პროექტის ავტორს თავისი „ნაშიერი“ მიაჩნია ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯად რობოტების „გაადამიანებაში“. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რობოტის შექმნა ძალიან ძვირი არ დამჯდარა – მასში გამოყენებულია 400 დოლარად ღირებული ნაწილები და ჰენსონის მტკიცებით – შეიძლება მისი უფრო გაიაფებაც კი. მეცნიერ-კონსტრუქტორის აზრით, მისი რობოტი ხელოვნური გონების შექმნის საწინდარია.

### სპორტი და მკერდის ზომა

ტაილანდის ხელისუფალთ დაიწყეს კამპანია, რათა ქალებმა მკერდი გაიზარდონ სპორტული ვარჯიშებისა და არა პლასტიკური ქირურგიის დახმარებით.

ასობით ქალი შესაბამის ვარჯიშებს ატარებდა ბანკოკში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, ტელეკამერების, ოფიციალური პირების და უამრავი ცნობისმოყვარე უსაქმურის თვალწინ. ყველა ხედავდა, თუ როგორ იზილავდნენ ისინი მკერდს, რაც ძალზე სიურეალისტურად ჩანდა.

მსგავსი ღონისძიება პარასკევს, ვალენტინის დღესასწაულზეც გაიმართა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბიზნესმენი — ქველმოქმედი

# განახლებული სამთავროს ველი

(მეშვიდე გვერდიდან)

— რა თქმა უნდა, მიხეილ მამულაშვილის ბაღი გამოირჩეოდა არა სიდიდით, არამედ სიკოხტავით, მრავალფეროვნებით. ციდამტკაველა მიწაზე გახარებული იყო ასამდე ჯიშის ყვავილი. იქ ჭარბობდა არა დიდრონი ვარდები, ზამბახები და მიხაკები, არამედ იები, თვალქუქუნა ხარისთვალები, პიონები, სატაცურები, ღიღილოები და სხვა პაწაწკინტელა მცენარეები. იქ დადებულ ქვასაც კი განსაკუთრებული ლაზათი ჰქონდა და ისე კარგად იყო შერწყმული ყვავილთა დეკორთან, რომ გაკვირვებული იყავი ბუნების მშვენიერებით.

**— ალბათ ამიტომ გამოხშირეთ ის ხეები, რომელთა მოჭრამ საკმაო ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.**

— სულცხონებულ მიხეილს უფრო დიდი მიწა რომ ჰქონოდა, კიდევ უფრო გაალამაზებდა თავის სამოთხის ბაღს და არაერთ კომპოზიციურ სურათს შექმნიდა. მისი სიდიადე იმაში იყო, რომ პატარისგან ქმნიდა დიდს, სანიმუშოს. სამთავროს ველზე საშუალება გვქონდა მწვანე ზოლი შეგვექმნა. აი, დააკვირდით მარადმწვანე დიდრონ ხეებს, ზურმუხტისფერი მოლი აძლევს საშუალებას გამოჩნდეს მთელი თავისი სილამაზით, ბაღის ყველა კუთხე დამშვენებულია მომცრო ფერადი ყვავილებით; თავქოჩორა პალმებითა და პატარა ქრიზანთემებით ცადატყორცნილი კვიპაროსებითა და მიწაზე გაწოლილი ჭორიკანებით. სილამაზეს ყოველთვის შვენის კონტრასტები.

**— და ყველა ეს სამოთხის სადარი სიმშვენიერე ორი წლის განმავლობაშია შექმნილი!**

— ზოგიერთს ჰგონია, რომ გადარგვა მხოლოდ გაზაფხულ-შემოდგომაზეა აუცილებელი. ეს კვიპაროსები, პალმები, ბზები ცხელ ზაფხულში გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი, ყოველდღიური რწყვა, ნიადაგის განაყოფიერება საშუალებას იძლევა მათი გახარებისა და ზრდა-განვითარებისათვის.

**— ყველა ამას დიდი შრომა სჭირდება?**

— მთავარი სიყვარულია. მე მცხეთა მიყვარს. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ჩვენი ისტორიის თავგვირგვინი. ფარნავაზის, ფარსმან ქველის, პეტრე იბერის, რევ მართალის, ვახტანგ გორგასალის და საქართველოს სხვა საამაყო შვილთა საბრძანებელი. გრიგოლ რობაქიძე შვეიცარიაში გადახიზვნისას წერდა: „ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი. აქ ეგულებოდათ ჩვენს ძველებს საფლავი კარდუსი. მცხეთის მიდამოში აირჩიეს მოგვებმა ერთი ადგილი. აქ ადიდებდნენ და თაყვანსა სცემდნენ ისინი მზესა და ცეცხლს. მცხეთის მთებში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული. აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვაზის ნასხლავისაგან და მოახვია მან თავისი თმა. აქვე მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოსი“. ერთი სიტყვით, მცხეთა ერთი დაუწერელი პოემაა ღვთისა და ადამიანის ურთიერთობისა, რომლის აღორძინებაზე მთელი ქვეყანა უნდა ზრუნავდეს. მე კაბინეტში მიკიდია დავით სარაჯიშვილის სურათი, ხოლო მის მეორე სახებას გულისჯიბით დავატარებ. ისე, როგორც ილია წინამძღვრიშვილი, ისიც ღმერთკაცი იყო. ბრწყინვალე განათლება ჰქონდა, უნარიანი მეწარმე გახლდათ. ახლის დამნერგავი და, რაც მთავარია, ქველმოქმედი. რამდენ ახალგაზრდას მისცა შესაძლებლობა, — ევროპაში მიეღო განათლება და განსწავლული დაბრუნებოდა სამშობლოს, რამდენ ახალ წამოწყებას გაუმართა ხელი, რამდენი დააფინანსა და გზა დაულოცა. როგორ შეიძლება აკაკი ხოშტარიას, ძმები ზუბალაშვილების ამაგის დავიწყება.



ელგუჯა ბუბუტეიშვილის კარმიდამო მცხეთაში.

**— ალბათ ამიტომ იღებთ მცხეთის კეთილმოწყობაში მონაწილეობას, აფინანსებთ სამთავროს ველზე არქეოლოგიურ ექსპედიციას, ყოველდღიურად კიდევ უფრო ამშვენიერებთ თქვენს მიერ გამშვენიერებულ სამთავროს ბაღს. შეაკეთეთ და ასფალტი მოასხით მთელ სიგრძეზე არსაკიძის ქუჩას, შეფად აიღეთ მცხეთის პირველი საშუალო სკოლა, ერთ-ერთ კლასს გამოუცვალეთ პარკეტი, შელესეთ, შეღებეთ კედლები, ჭერი, დადგით ახალი მერხები, დაფა, ჩამოკიდეთ ჭაღი, გაათბეთ ოთახი და გაციებას გადაარჩინეთ მოსწავლე-ახალგაზრდები, კლასი დაამშვენეთ დავით სარაჯიშვილის დიდებული სურათით...**

— წეღანა ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, მე მიყვარს მცხეთა, ეს სპორტული მოედანი მისთვის ავაშენე და მოვაწყვე, რომ ჩვენი ქალაქის მომავალმა თაობამ აქ გაიკაჟოს სხეული, ჯანმრთელი იყოს, რადგან ერის ბედ-იღბალი მათზეა დამოკიდებული, მათ უნდა ააშენონ, დაამშვენონ ქვეყანა და გააგრძელონ ჩვენგან დაწყებული საქმე.

**მზე ჯვარის მონასტერს დასდგომოდა თავზე, სხივები მტკვრისა და არაგვის ზვირთებში ლივლივებდნენ, ქართლის მთებს ნათელი მოჰფენოდა, ყვავილებზე და ხეებზე დაკიდული წუხანდელი წვიმის წვეთები თვალწარმტაცად ბრწყინავდნენ.**

**ვალერიან მამუკელაშვილი.**

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის (1942–1943 წლები)



(მეშვიდე გვერდიდან)

შემდგომში შ. მაღლაკელიძის მიერ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გადმობირებული ქართველი მოხალისეების მნიშვნელოვანი მოზღვავების შედეგად, 1942 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით ქართული ლეგიონის შემადგენლობიდან გამოყვეს ჩრდილო კავკასიის მთიელთა წარმომადგენლები და მათგან, დაღესტნელებსა და ჩეჩნებთან ერთად (მანამდე აზერბაიჯანელებთან ერთად კავკასიურ-მაჰმადიანურ ლეგიონში რომ შედიოდნენ), ვერმახტის ცალკე ჩრდილო კავკასიური ლეგიონი შეადგინეს.

ქართული ლეგიონის შტაბი და სასწავლო ბანაკი მდებარეობდა ვარშავის მახლობლად, თავდაპირველად კრუშინში, ხოლო შემდეგ, 1942 წლის აგვისტოდან — ვესოლეში.

სტრუქტურული თვალსაზრისით ქართული ლეგიონის თითოეულ საველე ბატალიონს თავის შემადგენლობაში ჰქონდა 3 მსროლელთა, სატყვიამფრქვევო და საშტაბო ასეული, თითოეული 130-200 კაცით. მსროლელთა ასეულში იყო 3 მსროლელთა და მეტყვიამფრქვევეთა ოცეული, საშტაბოში — ტანკსაწინააღმდეგო, ნაღმტყორცნელთა, მესანგრეთა და კავშირგაბმულობის ოცეულები. ბატალიონის საერთო შემადგენლობაში იყო 800-1000 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ რიცხვში გერმანული საკადრო პერსონალი 60-მდე კაცით: 4 ოფიცერი, 1 ჩინოვნიკი, 32 უნტეროფიცერი და 23 რიგითი.

ქართული და სხვა ეროვნული ლეგიონების სამხედრო წოდებები და განმასხვავებელი ნიშნები დამტკიცდა 1942 წლის 2 ივნისის №2380/42 ბრძანებით. დაკავებული თანამდებობის მიხედვით დაწესდა 8 წოდება: ლეგიონერი, ათეულის მეთაურის მოადგილე, ათეულის მეთაური, ოცეულის მეთაურის მოადგილე, ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაურის მოადგილე, ასეულის მეთაური, ბატალიონის მეთაური.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ასეთი სისტემა სინამდვილეში ძალზე უეფექტო აღმოჩნდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხებოდა ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისა და გერმანული საკადრო პერსონალის წარმომადგენლების უფლებრივ სტატუსს. კერძოდ, იმის გარდა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ლეგიონს ერთდროულად ხელმძღვანელობდნენ ქართველი და გერმანელი მეთაურები, თვით 1944 წლამდეც კი, ლეგიონის საველე ბატალიონებს, ძირითადად, სათავეში ედგნენ გერმანელი ოფიცრები. თუმცა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობა დაბეჯითებით ემხრობოდა იმას, რომ ათეულების, ოცეულების მეთაურებისა და, შესაძლებლობის მიხედვით, ასეულის მეთაურების თანამდებობებიც კი დაკომპლექტებულიყო ადგილობრივი ეროვნებების წარმომადგენლებით, სინამდვილეში მათი კომპეტენცია ძალზე შეზღუდული რჩებოდა. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ გერმანელ ფელდფებელებს, მათზე „მრჩევლებად“ რომ იყვნენ მიმაგრებული, გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდათ, რაც, თავის მხრივ, ფუნქციათა დამთხვევამდე მიდიოდა და საბოლოოდ ნეგატიურად მოქმედებდა ქართული და გერმანული პერსონალების ურთიერთდამოკიდებულებასა და მოქმედების კოორდინაციაზე.

უარყოფით გავლენას ახდენდა ის ფაქტიც, რომ ქართული და სხვა ლეგიონების სამხედრო მოსამსახურეებს გერმანული საკადრო პერსონალისაგან განსხვავებით პირველ ეტაპზე მინიჭებული არ ჰქონდათ მუდმივი სამხედრო წოდებები. უკვე ხსენებული 1942 წლის 2 ივნისის ბრძანების თანახმად, ლეგიონერებს სამხედრო წოდებანი ენიჭებოდათ დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, რომლის დაკარგვის შემთხვევაში მათ ავტომატურად ერთმეოდათ ის. და კიდევ, ლეგიონში წითელი არმიის ყოფილი ოფიცრების ჩარიცხვისას (ვინაიდან ვერმახტის ოფიცრების პროფესიონალიზმისადმი წაყენებული მოთხოვნათა დონე გაცილებით მაღალი იყო) მათ არ უნარჩუნდებოდათ წითელ არმიაში ადრე მიღებული წოდებები. ათეულის მეთაურის (გრუპენფიურერი), ოცეულის მეთაურის (ცუგფიურერი) და ასეულის მეთაურის (კომპანიფიურერის) თანამდებობის მისაღებად მათ მოეთხოვებოდათ ლეგიონთან არსებული უნტერ-ოფიცერთა კურსებზე ორკვირიანი მომზადების გავლა.

დასავლეთგერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ი. ჰოფმანი, თავის კლასიკურ წიგნში ვერმახტის აღმოსავლურ ლეგიონებზე, დანანებით აღნიშნავს, რომ 1942 წლის 24 აპრილის დადგენილებით დაიშვებოდა ადგილობრივი ოცეულების, ასეულების მეთაურებისა და მათი მოადგილეების სამსახურებრივი დაქვემდებარების შესაძლებლობაც კი გერმანელი უნტეროფიცრებისადმი. ავტორის სიტყვებით, იმავე დადგენილებით გათვალისწინებულ მითითებას, — მაქსიმალური ყურადღებით მოჰკიდებოდნენ ლეგიონერების პირადი ღირსების გრძნობას — არსებითად აქარწყლებდა ასეთი პრაქტიკის ნეგატიური შედეგები.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დისკრიმინაციული პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ ამ პრობლემებით დაკავებულ მესამე რეიხის მაღალჩინოსან პარტიულ ფუნქციონერებს. კერძოდ, კი ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიების საქმეთა მინისტრს ა. როზენბერგს, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა აღმოსავლურ ლეგიონებში ოფიცერთა თანამდებობებზე მხოლოდ გერმანელების დანიშვნის აუცილებლობას. მსგავსი მდგომარეობა ნაწილობრივ აისახა იმავე ბრძანებით ქართველი და სხვა ლეგიონერებისათვის შემოღებული განსხვავების ნიშნებზეც. კერძოდ, ქართული ლეგიონისათვის შემოიღეს ჟოლოსფერი დანაკერები ვერცხლისფერი სირმებით და გერმანული ნიმუშის სამხრეულები მუქი-მწვანე ან მუნდირისფერი მაუდისგან ჟოლოსფერი კანტით და ვერცხლისფერი ხაზებით (ოცეულის მეთაურს — ორი განივი სირმით). ამასთან, ოფიცრის თანამდებობის ჩინოსნები (ასეულის მეთაურის მოადგილედან დაწყებული და ზევით) ატარებდნენ ვიწრო ვერცხლისფერ სამხრეულებს, როგორც ვერმახტის ზონდერფიურერები (ჩინოვნიკები).

**გიორგი მამულია,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**თარგმნა ვალიკო სიმონიშვილმა.**

**სურათზე: პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე აღმოსავლეთის ფრონტზე. 1941 წლის ბოლო. ქალაქი ზერნიგოვი.**

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო შტრიხებში

# როგორ შევხვდეთ კოსმოსურ მონსტრს?

საჭიროა თუ არა ვიცოდეთ ჩვენ, დედამიწის მოსახლეობამ, რომ ჩვენსკენ მოფრინავს უზარმაზარი კლდე?

ასეთი კითხვა დასვეს სპეციალისტებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ დენვერში გამართულ ამერიკის სამეცნიერო მიღწევათა ასოციაციის ყოველწლიურ სხდომაზე.

**ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ არა აქვს აზრი გააფრთხილონ პლანეტის მოსახლეობა გარდუვალი დაღუპვის შესახებ.**

**„თუ ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვერ გააწყობ— ვერ შევძლებთ ასტეროიდის გადატაცებას, ვერ დავიცავთ პლანეტას მისი შეჯახებისაგან, რა საჭიროა პანიკის ატეხვა? — აცხადებს ჯეფრი სომერი, „რანდის“ კორპორაციის თანამშრომელი, რომელიც შეისწავლის იმას, თუ პოლიტიკოსები როგორ უნდა მოიქცნენ მომავალი არმაგედონის შემთხვევაში და როგორი რეაგირება მოახდინონ ამაზე. — თუ მომაკვდინებელი დარტყმა პლანეტისათვის გარდუვალია, მოსახლეობისათვის უკეთესი იქნება, რომ ეს არ იცოდეს“ — მიაჩნია მეცნიერს.**

**„მე მსურს ზუსტად ვიცოდე ყველაფერი ამის შესახებ და ბიუროკრატების გადასაწყვეტი არ არის, თუ რა უნდა ვიცოდე და რა — არა“, — განაცხადა ნიუ-ჯერსის შტატის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა ლი კლარკმა.**

**კლარკი არის კატასტროფებთან და ტექნოლოგიურ ავარიებთან დაკავშირებული საკითხების ექსპერტი. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა საყოველთაო პანიკას, სამოქალაქო თავდაცვას, მოსახლეობის ევაკუაციას და აგრეთვე იმას, თუ როგორია საზოგადოებრიობის რეაქცია კატასტროფებზე. როგორც იგი აცხადებს, კრიზისის დროს ადამიანები, ჩვეულებრივ, ადეკვატურად მოქმედებენ ხოლმე.**

**კოსმოსიდან მძლავრი დარტმის შესაძლებლობა საკმაოდ დიდია. გეოლოგიური ისტორია მოწმობს, რომ დედამიწა არაერთხელ შეჯახებია მსხვილ ობიექტებს და ზოგიერთი მათგანი ისეთი დიდი ზომისაც კი იყო, რომ შეეძლო მთლიანად მოესპო სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.**

**ასტეროიდების შემსწავლელი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენთან კვლავ მოფრინდება კოსმოსური „მომხდური“, რომლის დიამეტრი კილომეტრზე მეტი იქნება, თუმცა, შესაძლოა ეს არც მოხდეს უახლოესი ათწლეულის, ასწლეულის ან ათასწლეულის პერიოდშიც კი.**

**ამერიკის აეროკოსმოსური სააგენტოს „კოსმოსური გუშაგის“ პროგრამა უზარმაზარი ტელესკოპების მეშვეობით ეძებს ასეთ ციურ კლდეებს. აქამდე, დედამიწის ირგვლივ 200 კილომეტრის რადიუსით აღმოაჩენს 650-მდე ასეთი „ურჩხული“, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერჯერობით ჩვენს პლანეტას არ ემუქრება. თუმცა, აცხადებენ მეცნიერები, არც იმის ალბათობაა გამორიცხული, რომ სამყაროს ამავე რაიონში იყოს კიდევ არაერთი ასტეროიდი, რომლებიც ჩვენ ჯერ არ შეგვინიშნავს. მრავალი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღმოაჩენენ ობიექტს, რომლის ორბიტა კვეთს დედამიწისას, კაცობრიობას იმ დროისათვის ექნება საკმარისი ცოდნა საიმისოდ, რომ როგორღაც გაართვას თავი ამ პრობლემას.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ტიციანი – ჰერცოგის კაბინეტიდან

**ლონდონის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ტიციანის ნამუშევრების გამოფენა.**

იმის მიუხედავად, რომ ტიციანი არის აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იტალიელი ფერმწერი, ეს მისი პირველი „პერსონალური“ გამოფენაა დიდ ბრიტანეთში. ექსპოზიციაში ასახულია ტიციანის შემოქმედების ყველა სტადია: აქ შეიძლება ნახოთ მისი ყველაზე ადრეული სურათები – მითოლოგიურ და ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი ტილოები, აგრეთვე პორტრეტები.

ტიციანო ვეჩელიოს დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი ამ ქვეყანას მოევლინა 1490 წელს. ნორჩი ტიციანი ფერწერის ხელოვნებას ეუფლებოდა დიდ ვენეციელ ოსტატებთან – ჯოვანი და ჯენტილე ბელინებთან.

ახალგაზრდა მხატვარმა ფერწერას შესძინა ახალი ფერები, ფერის ასახვის განსაკუთრებული მანერა.

იმ დროისათვის ვენეცია მთელი ევროპის კულტურული ცენტრი იყო. 1516 წელს გარდაიცვალნენ ტიციანის ძირითადი კონკურენტები და 26 წლის ახალგაზრდა სასახლის ოფიციალური კარის მხატვარი ხდება. ჰერცოგი ალფონსო დე ესტე სთხოვს მას შექმნას სამი სურათი მითოლოგიურ თემებზე თავისი კაბინეტისათვის. ჰერცოგს სურდა შეეგროვებინა მისი დროის საუკეთესო ოსტატების ნამუშევრები და სურათები შეუკვეთა აგრეთვე რაფაელს, ბელინისა და ფრა ბარტოლომეოს.



ტიციანმა არა მარტო ჩინებულად გაართვა თავი შეკვეთებს, არამედ ოდნავ „შეასწორა“ კიდეც თავისი მასწავლებლის ნამუშევარი, რომელიც მისი სურათის გვერდით უნდა მოეთავსებინათ. ლონდონის გამოფენის კურატორებმაც ხელოვნების ნიმუშები სწორედ ისეთი წესით გამოფინეს, როგორც ისინი ჰერცოგ ალფონსო დე ესტეს კაბინეტში უნდა დაეკიდათ. ამრიგად, სურათები კვლავ აღმოჩნდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ... 350 წელზე მეტი ხნის შემდეგ.

ტიციანის გავლენა მომდევნო ეპოქების ევროპულ ფერწერაზე ძალზე დიდია: მისი ნამუშევრები შთააგონებდნენ რუბენსსა და ვან დეიკს, ველასკესს, რეინოლდს და ფრეიდს, მონესა და პიკასოს.

ლონდონში ჩვენების შემდეგ ტიციანის ნამუშევრები მადრიიდის პრადოში გადაინაცვლებს. ეროვნულ გალერეას დაგეგმილი აქვს მოაწყოს რენესანსის ეპოქის ოსტატთა კიდევ ორი გამოფენა – 2004 წელს ლონდონში უჩვენებენ ელ გრეკოსა და რაფაელის ნამუშევრებს.

# «საზარელი მკვლელობა»

**ბრიტანეთის სტაფორდშირის საგრაფოს სოფელ კაფ-ჰიტში განთიადისას მოკლეს მამალი სახელად „თომასი“, რომელიც თურმე... ყიოდა და ამით აწუხებდა ხალხს. სოფლის ქუჩებში გამოაკრეს პლაკატები შემდეგი წარწერით: „პირი, რომელიც შეუწყობს ხელს მკვლელის დაკავებას, 100 გირვანქა სტერლინგით დაჯილდოვდება“. როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს, გასული წლის ნოემბრიდან მამალმა მოაწყო „ქანდარა“ ნეკერჩხალზე, რომელიც 58 წლის მეელვინ ვუტონის ეზოში იზრდებოდა. ვუტონმა დაიწყო ფრინველის კვება და იგი მას მალე მიეჩვია.**

თუმცა, სოფლის ყველა მცხოვრები როდი ეკიდებოდა ფრინველს ასეთი სიყვარულით. ზოგიერთი ჩიოდა, რომ მამალი დილაობით მათ მოსვენებას არ აძლევდა თავისი ყივილით.

მთავარი ეჭვმიტანილი არის ჯერჯერობით დაუდგენელი ვინაობის მამაკაცი, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ შენიშნეს, როცა იგი ვუტონის სახლის ღობის გასწვრივ მიიპარებოდა. უცნობი ცდილობდა ბადით დაეჭირა მამალი. როცა ეს შენიშნა სახლის ფანჯრიდან ვუტონმა, სასწრაფოდ ჩაიცვა ტანთ და ეზოში ჩასვლა დააპირა, მაგრამ, სანამ იგი კარის გაღებას მოასწრებდა, რაღაც გასროლისმაგვარი ხმა მოისმა. ვუტონმა ფარდები გადაწია და მხოლოდ ის დაინახა, რომ მანქანა ადგილიდან მოწყდა, მიწაზე კი ნეკერჩხლის ტოტები ეყარა. ამის შემდეგ „თომასი“ აღარ უნახავთ.

ვუტონი ახლა ფიქრობს, მიმართოს თუ არა დახმარებისათვის პოლიციას და აცხადებს, რომ უთუოდ იპოვის დამნაშავეს. „თომასი შესანიშნავი ფრინველი იყო. დღისით იგი დარბოდა ჩემს ბაღში, ღამ-ღამობით კი თავის ქანდარაზე ეძინა. არანაირ პრობლემებს არ ქმნიდა, დიდი ამბავი, დილ-დილაობით თუ დაიყივლებდა, თანაც არცთუ ისე ხმამაღლა, რადგან მე თვითონ მისი ყივილი სულ რამდენჯერმე თუ გამიგონია. მაგრამ, როგორც ჩანს, მან თავი მოაბეზრა რომელიღაც მეზობელს და მანაც მოკლა მამალი. ამ ამბავმა ძალზე მატკინა გული, რადგან თომასი მიყვარდა“. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა კი თქვა, რომ არანაირი გამოძიება არ დაიწყება, რადგან ფრინველის მოკვლა ცეცხლსასროლი იარაღით დანაშაულად არ ითვლება.

# შორი გზა მარსისაკენ

**ბრიტანული „ბიგლ-2“ ტიპის მარსმავალი მალე აიღებს გეზს წითელი პლანეტისაკენ, თუმცა მისი მოგზაურობის პირველი ეტაპი ძალზე ხანმოკლე იქნება, ყოველ შემთხვევაში, კოსმოსური მასშტაბით მაინც.**

პლანეტის ზედაპირზე დაჯდომისათვის აპარატს გადაგზავნიან სამხრეთ საფრანგეთში, სადაც იგი შეუერთდება ევროპული კოსმოსური სააგენტოს „მარს-ექსპრესის“ ხომალდს.

აპარატს „ბიგლ-2“ ეწოდა იმ ხომალდის პატივსაცემად, რომლითაც ჩარლზ დარვინმა იმოგზაურა გალაპაგოსის კუნძულებზე, სადაც მან უნიკალური ცხოველები და მცენარეები აღმოაჩინა.

ხომალდს გაუშვებენ ყაზახეთში მდებარე რუსეთის ბაიკონურის კოსმოდრომიდან მიმდინარე წლის მაისში ან ივნისში.

ამ პროექტის განხორციელების დროს საჭირო გახდა მრავალი ფინანსური თუ ტექნიკური სირთულის დაძლევა. მხოლოდ მენეჯერებისა და ინჟინრების სიმტკიცის, ენთუზიაზმისა და ნოვატორობის წყალობით გახდა შესაძლებელი მისი ამ სტადიამდე მიყვანა.

მართალია, ხომალდის გაშვება გახდება ღია უნივერსიტეტის პროფესორის კოლინ პილინჯერის ტრიუმფი, მაგრამ ეს მხოლოდ მარსისაკენ მიმავალი შორი და რთული გზის დასაწყისი იქნება.

ამჟამად, პროფესორ პილინჯერს სასწრაფოდ სჭირდება სპონსორთა მხარდაჭერა, რათა დაფაროს მრავალმილიონიანი კრედიტები, რომლებიც ხომალდის მშენებლობას მოხმარდა.

„მე კიდევ მომიწევს მივყიდო ეს პროექტი იმათ, ვინც ამისათვის ყველაზე მეტ თანხას გადამიხდის, რათა გავისტუმრო ინვესტორთა ფული. ეს ძალზე სერიოზული სამუშაოა“, – განუცხადა გასულ კვირას პილინჯერმა ბი-ბი-სის.

ყველა წინანდელი კოსმოსური პროექტისაგან განსხვავებით, „ბიგლ-2“ პროექტს არაერთი სახელმწიფო ორგანიზაცია თუ კერძო კომპანია აფინანსებდა.

პილინჯერი უარს ამბობს დაასახელოს პროექტის ზუსტი ღირებულება და თვით ინვესტორთა ვინაობაც კი.

მისი ღირებულების შეფასება საკმაოდ რთული ამოცანაა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი კერძო კომპანია მეცნიერს სამსახურს უფასოდ სთავაზობს, მაგრამ ბი-ბი-სის მიერ მიღებული მონაცემები, სავარაუდოდ, პროექტის განხორციელებას დაახლოებით 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი (თითქმის 50 მილიონი დოლარი) დასჭირდა.

ამ თანხის დიდი ნაწილი უნდა დაუბრუნდეს მის მფლობელებს.

პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებული საიდუმლოებით მოცული ბურუსის ერთ-ერთი მიზანია ის, რომ სპონსორებს შეიძლება მავანმა ფულის უაზროდ გაფლანგვა დასწამოს.

მარსისკენ კოსმოსური აპარატების გაშვება ძალზე რისკიანი წამოწყებაა. წინათ ასეთი მისიების ორი მესამედი წარუმატებლად დასრულდა, ამიტომ დიდი ალბათობაა იმისა, რომ „ბიგლ-2“ ხომალდი საერთოდ ვერ დაჯდეს პლანეტის ზედაპირზე.

თუ ექსპედიცია წარმატებული იქნება, აპარატს, რომელიც თავისი ზომით სარეცხ მანქანას არ აღემატება და სულ 30 კილოგრამს იწონის, პარაშუტით დაუშვებენ, სავარაუდოდ, მთებისა და ჩრდილოეთი დაბლობების საზღვარზე.

მაშინ როცა ძირითადი ხომალდი ორბიტაზე იქნება, „ბიგლ-2“ აიღებს ნიადაგის სინჯს და განახორციელებს ლანდშაფტის სკანირებას იმის დასადგენად, არის თუ არა იქ წყალი ან რაიმე ცოცხალი ორგანიზმები.





# უცხოპლანეტელთა მსხვერპლთ ღამღამობით ცუდად სძინავთ

**ის ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს, როგორც წესი, ადვილად იჯერებენ ყოველგვარ ფანტაზიებს და უძილობას უჩივიან, ამტკიცებენ მეცნიერები.**

მაგრამ, ყოველივე ამის გარდა, მათ ასევე ღრმად სწამთ იმისა, რაც „შეემთხვათ“, ავლენენ ნამდვილი სტრესის სიმპტომებს, სწორედ ისეთს, როგორიც შეინიშნება ომგამოვლილ ვეტერანებში.

ამ სფეროში უკანასკნელი გამოკვლევების შედეგების შესახებ ისაუბრეს კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში გამართულ ამერიკის მეცნიერების განვითარების ასოციაციის ყოველდღიურ შეხვედრაზე.

„ეს მონაცემები ხაზს უსვამს ემოციური რწმენის ძალას, – აღნიშნა ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რიჩარდ მაკნერიმ – თუ თქვენ ნამდვილად დაიჯერებთ, რომ ერთ დროს იყავით ტრავმირებული, ხშირ-ხშირად იხსენებთ ამას, შესაძლებელია, თქვენში შეინიშნებოდეს ისეთივე ფსიქოლოგიური ემოციური რეაქციები, როგორიც აქვს იმ ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში იყვნენ ტრავმირებული“.

„გატაცებულთა“ მთელმა ჯგუფმა გაუზიარა თავისი განცდები ბი-ბი-სის კორესპონდენტს. „რამდჯერმე ვიყავი უცხოპლანეტელთა ხომალდზე და ჩემი ორგანიზმიდან მათ ამოიღეს ტრანსპლანტატი“, – თქვა ერთმა მათგანმა.

ეს ამბავი დამახასიათებელია ყველა ასეთი ადამიანისათვის. ითვლება, რომ მარტო ამერიკაში ცხოვრობს დაახლოებით 4 მილიონი კაცი, რომლებსაც სწამთ, რომ ისინი კოსმოსურმა მომხდურებმა გაიტაცეს. მეცნიერებს მათი მონათხრობისა არ სჯერათ, მაგრამ საოცარია ის, თუ რატომ ირწმუნეს ყოველივე ეს თვით „გატაცებულებმა“.

პროფესორმა მაკნერიმ აღმოაჩინა, რომ მრავალ მათგანს აქვთ მსგავსი პიროვნული მახასიათებლები, აგრეთვე ისინი უჩივიან უძილობას.

ამ ადამიანთა უმრავლესობას მტკიცედ ჩაესახა იმის რწმენა, რომ მათ, თითქოს, განვლეს ბიოენერგეტიკული თერაპია, სხვა ცხოვრებით უცხოვრიათ წარსულში, სწამთ სამი ასტრალური პროექციის, მისნობისა და სხვა, თქვა მკვლევარმა. გარდა ამისა, მათ ღამღამობით ხშირად უტყდებათ ძილი, რასაც თან ახლავთ ჰალუცინაციები.

ყოველივე ეს სიმპტომი ხშირად აიძულებს ადამიანებს მიმართონ დახმარებისათვის ექიმებს, რომლებიც, როგორც პროფესორმა თქვა, ზოგ შემთხვევაში, თვითონ სთავაზობენ პაციენტს განმარტების სახით უცხოპლანეტელთა მიერ მათი გატაცების ვერსიას და ეს უკანასკნელნიც სიამოვნებით აიტაცებენ ამას. დროთა განმავლობაში, ისე მტკიცედ უჯდებათ მათ ეს ძვალსა და რბილში, რომ თვითონაც უკვე იჯერებენ ამას, აღნიშნა პროფესორმა მაკნერიმ.

# ქალწულ მარიამის ქანდაკებას ცრემლი სდიოდა

**ათასობით ბანგლადეშელი იკრიბება ქალაქ ჩიტაგონგში, რომლის ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში, გავრცელებული ხმების თანახმად, ცრემლი სდის ღვთისმშობლის ქანდაკებას.**

ჩიტაგონგში ჩასულთა შორის მრავალი მუსლიმანიცაა. მათ სურთ დარწმუნდნენ იმათი ნაამბობის სისწორეში, ვინც აცხადებს, რომ ქალწული მარიამი დასტირის თვით ბანგლადეშსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ძალადობის მსხვერპლთ.

ამ ვერსიის მომხრეებმა კიდევ უფრო მტკიცედ იწამებს თავიანთი სიტყვების სიმართლე მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „ატირდა“ ქალწულ მარიამის კიდევ ერთი ქანდაკება – ვენესუელაში.

თუმცა, კარაკასში, რომლის ერთ-ერთ ტაძარშიც დგას ღვთისმშობლის ქანდაკება, მტკიცედ სჯერათ, რომ იგი „ტირის“ თვით ვენესუელაში არსებული არაერთი პრობლემის გამო, რომელიც ამჟამად განიცდის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კრიზისს თავისი ისტორიის მანძილზე.

ბანგლადეშში მუსლიმანური სახელმწიფოა და ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოები იქ იშვიათად თუ იპყრობენ ქვეყნის მცხოვრებთა ყურადღებას. მაგრამ ქალაქ ჩიტაგონგის ეკლესიას იმდენი ცნობისმოყვარე მიაწყდა, რომ ტაძართან საჭირო გახდა პოლიციის სპეციალური რაზმების განლაგება.

მუსლიმანებს არც ის აბრკოლებს, რომ ყურანი უკრძალავს მათ „კერპების“ მიმართ ინტერესის გამოვლენას.

კათოლიკეები კი აცხადებენ, რომ ჩიტაგონგში ჩამოსული ადამიანების უმრავლესობა არ არის მორწმუნე და ისინი უბრალოდ სეირის სანახავად მიდიან. ოთხმილიონიან ჩიტაგონგში სულ 8 ათასი ქრისტიანი ცხოვრობს.

მეცნიერების მტკიცებით, ღვთისმშობლის ქანდაკების „ტირილის“ მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მარმარილოს ქანდაკება სპეციალური მინის ხუფშია დაცული. მათი აზრით, ღვთისმშობლის სახე უბრალოდ, დაიცვარა ჰაერში არსებული ტენის კონდენსაციის შედეგად.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბექანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 51, ორშაბათი, 24 თებერვალი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 24 თებერვალი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბელფეგორი" **10.15** მხ. ფილმი "**ბედის საჩუქარი**" **12.00, 15.00, 20.00** "მოამბე" **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** ნაშუადღევს **14.00** ოქროს მართვე **14.30** "საქართველო და გარესამყარო" **15.15** მხ. ფილმი "**აიდა**" **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" **17.15** რამპა **17.20 50-50 18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "მრავალჟამიერ" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.50** მუს. პაუზა **22.05** დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" **23.00** დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "**უსახო კაცი**"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" **20.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **21.00** ჯანმრთელობა **21.30** დოკ. ფილმი **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი უცვლელია**" მე-5 სერია

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" **19.30** დოკ. ფილმი "კვალი". ციკლიდან "კანონის უზენაესობა" **20.05** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი "**ნელი**" მთ. რ-ში: ჯოდი ფოსტერი **02.00** კლასიკა

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** ალსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ.ფ. "**ბრძოლის ველი**" **10.20** მხ.ფ. "**დენთის კასრი**" **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" **14.10** დოკუმენტური ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მხ.ფ. "**შეშლილი სესილ ბ.**" **22.40** "ბურთი და მოედანი" **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**იკითხეთ სინდი**" **01.30** ღამის ფილმი

**12.00** ინდური მხ. ფილმი "**კეთილი სახელი**" **14.50** მხ. ფილმი "**მორჩენება**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**ჩრდილოვანი შეთქმულება**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**ნიქსონი**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **13.30** მხ. ფილმი "**კასაბლანკა**" **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **21.30** პირველი ნაბიჯები **22.00** მუსიკალური პაუზა **22.30** ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "**სიყვარულისათვის**"

**08.00** ტოროლა **11.00** განმეორებით ქართული მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი "**ინტენსიური თერაპია**" მთ. როლ-ში ჯეიმს სპეიდერი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** უცხოური მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** უცნობი **00.00** ფილმი ბრავო "**გაშიშვლებულნი**" მთ. როლში დევიდ ტიულისი **01.40** ფილმი ღამურა "**ღრმა ლურჯი ზღვა**" მთ. როლ-ში ტომას ჯეინი, სტილან სკარსგარდი **03.45** პაუზის გარეშე

**09.35** მხ. ფილმი "**სასიკვდილო ბრძოლა**" **11.25, 13.55, 17.50, 18.25, 21.55, 23.50** მუსიკა **11.40** რუს. მხ. ფილმი "**კაპიტან გრანტის შვილები**" **13.10** დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" 1-ლი ს. **14.10** "ბელისიმო" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.45** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.15** დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" **16.00** მხ. ფილმი "**მორევი**" **18.00** მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" **18.40** მულტფილმი "ალექსი" მე-6 ს. **19.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 121-ე სერია **20.00** გადაცემა "მსოფლიო რაგბი" **21.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ.ფილმი "**გლადიატორი 2000**" **00.20** მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" **00.45** მხ.ფ. "**ნაზიჯები**"

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.15** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** სათავგადასავლო ფილმი "**მარტო სახლში-2**" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.10** კომედია "**ცისეში მინდა**" **13.55** ისტორიული ფილმი "**რუსული ბუნტი**" **16.10, 19.30, 22.40, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **16.15** მულტფილმი **17.30** კომედია "**მისტერ პიტკინი მტრის ზურგში**" **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.40** სათავგადასავლო ფილმი "**ადამიანი რკინის ნიღაბში**" **22.45, 00.50** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **22.50, 01.00** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.00** "ალტერნატივა" **01.10** მხატვრული ფილმი "**მაწანწალა**" **03.30** დრამა "**ამისტადი**"

VII არხი

**09.20** "აჩიკუდა" **09.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.20** სპორტი **10.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია **10.55** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.15** "ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით) **12.05** კომპიუტერული ტექნიკა **12.40** დისნეი და მისი მეგობრები **13.00** კომპიუტერული თამაშები **13.15** მობილურები **18.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.35** კომპიუტერული ტექნიკა **20.20** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **20.55** კომპიუტერული თამაშები **21.10** "ლა-ლა-ლა" **22.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **22.25** "კინოკლუბი " - "**ხალხზე ნადირობა**" - ცხოვრებისეული. როლებში: მაიკლ დუდიკოვი **00.20** მობილურები **01.10** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი

## სამშაბათი
### 25 თებერვალი

**07.30** ალიონი **09.45** "ბელფეგორი" **10.10** მხ. ფილმი "**უსახო კაცი**" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** "ლერერის შოუ" **15.15** მხ. ფილმი "**ვახშამი სულელთან ერთად**" **16.35** დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" **17.30** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "და არს მუსიკა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.45** "სატელ. ჟურნალის ისტორია" **22.15** "ჩვენი ფეხბურთი" **23.00** დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "**კაპიტანი ფრაკასი**"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" **20.30** ამბები ჩვენზე **20.45** ოქტაგონი **21.30** ასპარეზი **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი "**კონდორის სამი დღე**"

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **18.00, 21.00, 01.40** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" **19.30** პერეკრიოსტოკი **20.05** სერიალი " **დატყვევებული გულები**" **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **23.40** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.40** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35** "ბურთი და მოედანი" **10.50** მხ. ფილმი "**შეშლილი სესილ ბ.**" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** მხ.ფ. "**იკითხეთ სინდი**" **14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.20, 18.00** დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" **16.20** მულტფილმი **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. "**დაკარგული ქალაქი**" **22.00** დიალოგი **23.45** ძველი კინო - მხ. ფილმი "**დიდი მანევრები**" **01.10** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი "**ნიქსონი**" **15.25** მხ. ფილმი "**ზაზუნას დღე**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**ლეონი**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**საქმის გარჩევები პატარა ტოკიოში**" **22.30** მხ. ფილმი "**შერბურგული ქოლგები**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** მუსიკალური კოლაჟი **12.30** სალონი **14.00** ტელესერიალი "**ჩრდილოეთი-სამხრეთი**" **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ტელესერიალი "**ჩრდილოეთი-სამხრეთი**" **20.00** მსოფლიო სპორტი **23.00** სტუდია "ეკონომისტი" **00.00** მხ. ფილმი "**კუზიანი ნოტრ – დამიდან**"

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. უცხოური მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი "**სიქუნწე**" მთ. როლ-ში მაიკლ ჯოფოქსი, კერკ დუგლასი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** რუსული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** ფილმი ბრავო "**კოლია**" მთ. როლ-ში ზდენეკ სვერაკი, ანდრეი ხალიმონი **01.40** ფილმი ღამურა "**ვერტიკალური ზღვარი**" მთ. როლ-ში კრის ო-დონელი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.45** მუსიკა **10.00** მულტფილმი "ალექსი" მე-6 ს. **10.30** მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" **11.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **12.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **12.45** მხ.ფ. "**გლადიატორი 2000**" **14.15** "ტელემეტრი" **14.45** გადაცემა "მსოფლიო რაგბი" **15.15** დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" **15.45** მხ. ფილმი "**ნაზიჯები**" **18.00** მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" 1-ლი ს. **18.35** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **22.15** მხ. ფილმი "**დარტყმის ზონა**" **00.20** მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" **00.45** მხ. ფილმი "**ეშმაკთა სამოთხე**"

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.15** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** სათავგადასავლო ფილმი "**ინდიანა ჯონსი**" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.10** კომედია "**არლეტი**" **13.55** ვესთერნი "**შესანიშნავი შვიდეული**" **16.10, 19.40, 23.05, 00.50** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **16.15** მულტფილმი "ბილისა და თედის დაუჯერებელი თავგადასავლები" **17.40** მხატვრული ფილმი "**დები**" **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.25** "Ï ðåññ-ï àï üå" **19.50** მხატვრული ფილმი "**ბრონქსის ისტორია**" **22.50** "Ï ðåññ-ï àï üå" **23.00** "გალერეა" **23.10, 01.00** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.15, 01.05** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.20** "რა არ ხდება" **01.10** კომედია "**საუკეთესო მეგობრის ქორწილი**" **03.30** დრამა "**მისისიპი ცეცხლში**"

VII არხი

**09.10** მელოდია **09.25** "აჩიკუდა" **09.50** "ბედნიერი ერი" **09.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.20** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.55** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.25** მობილურები **12.05** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . **12.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **13.15** კომპიუტერული თამაშები **13.25** დისნეი და მისი მეგობრები **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **20.45** კომპიუტერული თამაშები **20.55** "ღამის კაპრიზი" - თემა: წარსულის დაბრუნება. **21.55** მობილურები **22.40** "კინოკლუბი" - "**ალერილი სამარითებელი**" . **00.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **01.20** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი .

## ოთხშაბათი
### 26 თებერვალი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბელფეგორი" **10.10** მხ. ფილმი "**კაპიტანი ფრაკასი**" **11.30** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნების დიდებულება" **15.15** მხ. ფილმი "**სოფია მუკე სიკვ წყალში**" **17.00** პალიტრა **17.20 50-50 18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ისტორიანი" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.55** "ხელოვნების ქურუმი" გ. გეგეჭკორი **23.00** "დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "**საგანგებო მდგომარეობა 2**"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" **20.30** და არს მუსიკა **21.00** დოკ. ფილმი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი "**თემო**"

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **18.00, 21.00, 01.40** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი "**მედისონის სკოლა**" **19.05** სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" **20.05** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **23.40** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.40** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი "**დაკარგული ქალაქი**" **12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **12.20** ლიტერატურული - სილუეტი (განმ.) **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10** მხ.ფ. "**დიდი მანევრები**" **14.30** დოკ. ფილმი **15.20, 18.00** დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" **16.20** მულტფილმი **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. "**ანგელოზთა მრისხანება**" 1-ლი ს. **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**ანგელოზთა მრისხანება**" მე-2 ს. **01.30** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი "**საქმის გარჩევები პატარა ტოკიოში**" **15.10** მხ. ფილმი "**ლამაზმანი**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**მოასწრო გახსენება**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**კაზინო**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** მუსიკალური კოლაჟი **12.30** სალონი **14.00** ექიმი გვირჩევს **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** სცენის ოსტატები **20.30** მულტფილმი **21.00** მსოფლიო სპორტი **22.00** თინეიჯერი **23.00** მხ. ფილმი "**გამოუსწორებელი**"

**08.00** ტოროლა **11.00** განმეორებით რუსული მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი "**დოქტორ მამფორდი**" მთ. როლ-ში ლორენ დინი, ჰოუპ დევისი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** ქართულ-უცხოური მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** ჩაძირობანა **00.00** ფილმი ბრავო "**ბლანში**" მთ. როლ-ში ლუ დუაიონი, ჟან როშფორი. **01.40** ფილმი ღამურა "**შემრევი**" მთ. როლ-ში დმიტრი მარიანოვი, ვსევოლოდ შილოვსკი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" **11.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **12.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **12.50** მხ. ფილმი "**დარტყმის ზონა**" **14.45** "ევროპის სტადიონებზე" **15.15** დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" **15.45** მხ. ფილმი "**ეშმაკთა სამოთხე**" **18.00** მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ.ფილმი "**კარიერა**" **00.20** მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" **00.45** მხ. ფილმი "**ინტრევიდი**"

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.30** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** სათავგადასავლო ფილმი "**ჯუმანჯი**" **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.10** კომედია "**სამი მამაკაცი და პატარა ლედი-3**" **13.55** მხატვრული ფილმი "**კერკეტი კაკალი-3**" **16.10, 19.40, 23.00, 00.50** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **16.15** მულტფილმი "ჭიანჭველა ანტცი" **17.40** კომედია "**მასწავლებელი და ურჩხული**" **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "პრესდაიჯესტი" **19.50** მხატვრული ფილმი "**ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა**" **22.50** "პრესდაიჯესტი" **23.05, 01.00** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.10, 01.05** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.15** "ალტერნატივა" **01.10** მხატვრული ფილმი "**სასოწარკვეთილი**" **03.30** მხატვრული ფილმი "**და, მთელი სამყაროც არაფერია**"

VII არხი

**09.15** მელოდია **09.25** "აჩიკუდა" **09.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.30** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით **11.00** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.45** კომპიუტერული ტექნიკა **12.20** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . **12.40** მობილურები **13.25** დისნეი და მისი მეგობრები **13.45** კომპიუტერული თამაშები **14.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.40** მობილურები **20.20** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.00** კომპიუტერული თამაშები **21.05** "ლა-ლა-ლა" **22.00** "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა **22.30** მელოდია **22.50** "კინოკლუბი " - "**პოლიციელთა ოჯახი**". ა.შ.შ. **1989** წელი. მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ჩარლზ ბრონსონი, **00.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **01.20** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი .

## ხუთშაბათი
### 27 თებერვალი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბელფეგორი" **10.15** მხ. ფილმი "**საგანგებო მდგომარეობა 2**" **11.40** დოკ. სერიალი "კონტაქტი" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** "ნაშუადღევს" **14.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" **15.15** მხ. ფილმი "**შემოქმედი**" **17.00** დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" **17.25** რამპა **17.30** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ჯანმრთელობა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.50** "სატელ. ჟურნალის ისტორია" **22.25** "საქართველო არის ესე" **23.00** "დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "**ოიდიპოს მეფე**" **01.35** ქართული ენის გაკვეთილი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი "**მარკიზ დე სადი**"

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი "**მედისონის სკოლა**" **19.05** სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" **20.05** სერიალი "**დატყვევებული გულები**" **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი "**განრისხებული ფანტომასი**" მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე **02.10** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი "**ანგელოზთა მრისხანება**" 1-ლი ს. **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10** მხ.ფ. "**ანგელოზთა მრისხანება**" მე-2 ს. **14.30** დოკ. ფილმი **15.20, 18.00** დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" **16.20** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**ანგელოზთა მრისხანება**" მე-3 ს. **00.55** მხ.ფ. "**ანგელოზთა მრისხანება**" მე-4 ს. **02.10** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი "**კაზინო**" **15.30** მხ. ფილმი "**პონები**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**მარვინის ოთახი**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**სახის გარეშე**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** მუსიკალური კოლაჟი **12.30, 22.00** სალონი **14.00** ექიმი გვირჩევს **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "ერთი ერთზე" **20.30** მულტფილმი **21.00** მსოფლიო სპორტი **23.30** მხ. ფილმი "**ფანატი**"

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი "**ადამიანები შავებში-2**" მთ. როლ-ში ტომი ლი ჯონსი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** მუსათეული მიქსი **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** ფილმი ბრავო "**ისეთი არაფერი მგზავრობა**" მთ. როლ-ში სტივ ზანი, პოლ უოკერი. **01.45** ფილმი ღამურა "**ჩვენ ვიყავით ჯარისკაცები**" მთ. როლში მელ გიბსონი, მედლინ სტოუ. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" **11.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **12.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **12.45** მხ. ფილმი "**ინტრევიდი**" **14.15** "ტელემეტრი" **14.45** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" **15.45** მხ. ფილმი **18.00** მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** მხ. სერიალი "**მოჯადოება**" **20.00** დოკ. ფილმი "კანი, 400 დარტყმა" 1-ლი ნ. **21.00** მხ. სერიალი "**ენ. აი. ენ**" **22.00** "ჩემი ქვეყანა" **22.10** მხ. ფილმი "**ლაბირინთი**" **00.20** მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" **00.45** მხ. ფილმი "**მაღალი ძაბვა**"

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.30** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** კომედია "**სამი ძმაკაცი**" **10.50** დოკუმენტური ფილმი **12.10** ისტორიული ფილმი "**მამაცი გული**" **15.00** დოკუმენტური ფილმი **16.10, 22.50, 00.50** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **16.15** მულტფილმი "ანასტასია" **17.20** მხატვრული ფილმი "**დათვი**" **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "პირისპირ" **20.20** კომედია "**ვეფხვების მომთვინიერებელი**" **23.00, 01.00** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.05, 01.05** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.10** დოკუმენტური ფილმი **01.10** დრამა "**მარვინის ოთახი**" **03.30** მელოდრამა "**მოხეტიალე ვარსკვლავები**"

VII არხი

**09.10** მელოდია **09.25** "აჩიკუდა" **09.45** მობილურები **10.10** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით **11.00** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.45** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.10** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . **12.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **13.00** დისნეი და მისი მეგობრები **13.20** კომპიუტერული თამაშები **13.40** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **20.20** კომპიუტერული თამაშები **20.25** ღამის კაპრიზი" - თემა: "ჩემი მუსიკა". **21.25** მობილურები **22.10** რაგბი - ზეტ12 - ბრიზბენი - კანბერა **23.40** "კინოკლუბი " - "**სპარტაკი-1**". ა.შ.შ. **1960** წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: სტენლი კუბრიკი. როლებში-კირკ დუგლასი ლორენს ოლივიე **01.05** კომპიუტერული ტექნიკა **01.35** "ბიორითმი" - სპაის გიოლზი .

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 28 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"ოიდიპოს მეფე"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ემმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი **"ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"** 16.45 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ემმაკუნა"** 21.50 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"ამფეთქებელი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის"** მთ. რ-ში: ლეონიდ ფილატოვი 02.10 მხ. ფილმი **"ნათლია 2"** მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, ალ პაჩინო 04.00 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-3 ს. 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ. ფილმი **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-4 ს. 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 "ნაცნობი უცნობი ამბები" 20.00 მხ.ფ. **"როკის მეფეები"** 22.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 02.10 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** 14.40 მხ. ფილმი **"ტყუპები"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ფლიუკი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30, 22.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"უპატიებელი"**

1ST

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"მოუქნელნი"**. მთ. როლ-ში სტივ ზანი, ჯეფ გოლდბლიუმი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ვნება"** მთ. როლ-ში რიჩარდ გირი, დაინა ლეინი 02.15 ფილმი ღამურა **"ქარიშხალი"** მთ. როლ-ში კასპერ ვან დიენი, რობერტ ინგლუდი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.35 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 14.15 "ჩემი ქვეყანა" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" 1-ლი ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"მაღალი ძაბვა"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ. ფილმი **"მკვლელის შვილი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი **"პატარა პატრიოტი"** 12.15 სათავგადასავლო ფილმი **"აფიორა"** 14.35 კომედია **"ფორტუნა"** 16.15 მულტფილმი 17.35 ისტორიული დრამა **"ფარიკაობის მასწავლებელი"** 19.00 საინფორმაციო გამოშვება 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "პრესდაიჯესტი" 19.30 მუსიკა 20.00 დრამა **"რომეო და ჯულიეტა"** 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.40 "გალერეა" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.55, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "ალტერნატივა" 01.00 მხატვრული ფილმი **"ასეც ეკუთვნის"** 03.30 კომედია **"ჰარლემის ღამეები"**

VII არხი

09.15 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.40 მობილურები 12.25 დისნეი და მისი მეგობრები 12.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 13.25 "მელოდია" 13.50 კომპიუტერული თამაშები 14.00 "მელოდია" 14.10 აუდიო-ვიდეო-ტელე 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 კომპიუტერული თამაშები 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.10 რაგბი - ზეტ12 - სიდნეი - ოკლენდი 23.00 "კინოკლუბი " - **"სპარტაკი-2"**. ა.შ.შ. 1960 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: სტენლი კუბრიკი. როლებში-კირკ დუგლასი ლორენს ოლივიე 01.10 მობილურები 02.00 ბიორითმი" - სპაის გიოლზი .

## შაბათი
### 1 მარტი

08.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ამფეთქებელი"** 09.40 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 11.55 "გლობუსი" 12.25 "მეტრო" 13.00 კვალი 13.30 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი **"ქარიანი ღამე"** 16.45 საწინდარი 17.15 "შემოქმედებითი პორტრეტი" ს. წერეთელი 17.40 რეალური სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.40 "ფორტუნა" 21.15 სერიალი **"ქალები ზღვისაპირეთში"** 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი **"აღორძინების ეპოქის ადამიანი"** 02.30 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ბუდარია 21.40 მხ. ფილმი **"ბნელი წარსული"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"ყველაზე ლამაზი"**. 01.15 მხ.ფ. **"ისტორია იქსი"** მთ. რ-ში: ედვარდ ნორტონი 03.20 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"როკის მეფეები"** 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 15.20 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.30 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 22.30 მხ.ფ. **"ბლანში"** 00.00 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 01.40 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"** 14.20 მხ. ფილმი **"ბრონქსის ისტორია"** 16.20 მხ. ფილმი **"უკანასკნელი მეტრო"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 22.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 00.20 მხ. ფილმი **"შოკოლადი"**

10.30 საოცარი პირამიდა 11.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 12.00 რუსული ენის გაკვეთილი 12.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 13.00 სალონი 14.30 ექიმი გვირჩევს 15.30 დოკ. ფილმი 16.00 ლაბირინთი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 19.00 რუსული ენის გაკვეთილი 19.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.00 ცეროდენა ვარსკვლავები 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.45 მხ. ფილმი **"ცრემლები წვიმაში"**

1ST

09.00 განმ. რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცნობი 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"ო, ძმაო სად ხარ"** მთ. როლ-ში ჯორჯ კლუნი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ძარცვა"** მთ. როლში ჯინ ჰეკმანი, დენი დე ვიტო 01.50 ფილმი ღამურა **"ჰელოუინ-3"** მთ. როლ-ში ჯემი ლი კერტისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.45 მხ. ფილმი **"მკვლელის შვილი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 21.00 დოკ. მუს. ფილმი "იგლზი" მე-2 ნ. 22.00 მარიონეტების ფილმი **"ყოჩაღები"** 1-ლი ს. 22.15 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი **"კოლეჯი"** 77-83-28 2. მხ. ფილმი **"რითმი"** 77-83-29 3. მხ. ფილმი **"უსახო"** 77-83-30

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მულტფილმი 09.40 საბავშვო ფილმი "პიფ, პაფ, ვაი, ვაი, ვაი" 12.15 მხატვრული ფილმი **"გუსარების ესკადრონი"** 1-2 სერია 15.00 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.40 კომედია **"ლიფტიდან მარცხნივ"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "ყველანი ვართ პატარები" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.55 მელოდრამა **"შემოდგომის ლეგენდა"** 22.40 "პრესდაიჯესტი" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00 «Ñëî âî » 01.00 მელოდრამა **"ამერიკელი პრეზიდენტი"** 03.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"**

VII არხი

18.10 მობილურები 18.50 მელოდია 18.55 კომპიუტერული თამაშები 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.15 "ღამის კაპრიზი" - თემა: მე-7 არხი 21.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.50 მელოდია 22.15 "კინოკლუბი " - **"ეპიდემია"** იტალია 1994 წელი. სათავგადასავლო. როლებში: დასტინ ხოფმანი 00.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი. 02.15 კომპიუტერული ტექნიკა

## კვირა
### 2 მარტი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ხუმრობა"** 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 დოკ. სერიალი "აერობუსი" 16.30 სპექტაკლი "ძველი სამრეკლო" 17.40 ტელეზღაპარი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ფრაგმენტები სურათისათვის" 18.50 პალიტრა 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი **"ქალები ზღვისაპირეთში"** 22.15 ქართ. მხ. ფილმი **"თბილისი ჩემი სახლია"** 23.50 ტაიმ-აუტი 00.20 მხ. ფილმი **"ჯონი მნემონიკი"**

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 00.40 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ველური ამბები 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო 22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჯუდი"** 8 77 45-79-25 კეიტ უინსლეტი, კრისტოფერ ეკსტოუნი. **"დაცინვა"** 8 77 45-79-26, ჟან როშფორი, ფანი არდანი. **"ძალაუფლება, ვნება და მკვლელობა"** 8 77 45-79-27 მიშელ პფაიფერი, ბრაიან კერვინი. 00.50 მხ.ფ. **"იმპერატორი და მკვლელი"** მთ. რ-ში: ჩენ კაიგე, გუნ ლი. 03.30 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი **"ბლანში"** 10.20 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"კოსმოსის ტყვეობაში"** 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. **"მაცდურის დღიური"** 00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 13.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 15.00 მხ. ფილმი **"ბენ გური"** 18.30 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"მრბოლელი"** 00.10 მხ. ფილმი **"ყბები"**

11.00 ცისკრის ზარები 11.05 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მხ. ფილმი **"რომეო და ჯულიეტა"** 16.00 - 18.00 რელიგიის საათი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 მუსიკალური კოლაჟი 20.00 შეხვედრა ვარსვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 მხ. ფილმი **"კერძო დეტექტივი"**

1ST

10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"მაკხეილის ფლოტი"** მთ. როლ-ში ტომ არნოლდი, ტიმ კარი. 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო **"ტეხასის მეფე"** მთ. როლ-ში პატრიკ სტიუარტი 01.40 ფილმი ღამურა **"დოქტორ მოროს კუნძული"** მთ. როლ-ში ველ კილმერი, დევიდ ტიულისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 12.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 12.50 რუს. მხ. ფილმი **"ალექსანდრე ნეველი"** 14.55 მხ. ფილმი **"რითმი"** 16.35 მულტფილმი "სამყაროს შექმნა" 17.05 მხ. ფილმი **"სისხლიანი დანაშაული"** 19.00 გადაცემა "ბელისიმო" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 გადაცემა "ოსტატები" 20.40 დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-2 ს. 22.00 მარიონეტების ფილმი **"ყოჩაღები"** 1-ლი ს. 22.15 მხ. ფილმი **"ჩრდილში"** 00.20 მხ. ფილმი **"ჯოჯოხეთში მიმავალი მატარებელი"**.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 «Ñëî âî » 10.00 საბავშვო ფილმი **"პეპის კვირტი-4"** 11.45 "ყველანი ვართ პატარები" 12.15 თრილერი **"პერლ-ჰარბორი"** 15.10 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.45 კომედია **"კავკასიელი ტყვე ქალი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"** 22.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåí üå» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåí üå» 00.40 თრილერი **"ძველი ბიჭები"** 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი **"აფიორა"**

VII არხი

16.50 "ლა-ლა-ლა" 17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.00 ევროპული ფეხბუთი 19.00 "აჩიკუდა" 19.50 კომპიუტერული თამაშები 20.00 ავტოტრეკინგი 20.50 "კინოკლუბი " - **"მისია"** იტალია 1988 წელი. სათავგადასავლო . როლებში: რობერტ დენირო 23.00 კომპიუტერული თამაშები 23.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.20 მელოდია 23.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 01.20 მობილურები

## □ □ □□ □□ □□

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**

28.02 (18.00) ჯუზეპე ვერდი **"ბალ-მასკარადი"**. ოპერა ოთხ მოქმედებად. □□□□□□□□ - თამაზ ჯაფარიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

**□ □□ □ □□ □ □□ □ □ □ □□ □□**
□□□□□ "□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□" □□□□.
□□□: 93-11-06

01.03, 02.03 (14.00) საბავშვო ზღაპარი **"ყველაზე დიდი სასწაული"**. დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

28.02 (19.00) ავთანდილ ვარსიმაშვილი **"პროვოკაცია"**. დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

26.02 (19.00) ფედერიკო გარსია ლორკა **"სისხლიანი ქორწილი"**. დამდგმელი რეჟისორი _ გოჩა კაპანაძე.

27.02 (19.00) ევრიპიდე, ჟან ანუი **"მედეა"**. დამდგმელი რეჟისორი _ გოჩა კაპანაძე.

*ფასი 5 ლარი.*

**თეატრი "ძველი სახლი" თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მუნიციპალური „მეტეხის თეატრი“ · თეატრი "ძველი სახლი"
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

25.02, 27.02 (18.00) აზიზ ნესინი **"მომკალ-მომკალ..."** დამდგმელი რეჟისორი - ლევან კუჭაიძე.

28.02 (18.00) დავით კლდიაშვილი, რევაზ კლდიაშვილი **"როსტომ მანველიძე"**. დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

*ფასი 2-5 ლარი.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

25.02, 26.02 (20.00) პრემიერა. სლავომირ მროჟეკი **"კარლო"**. დამდგმელი რეჟისორი - ანდრო ენუქიძე.

27.02 (20.00) ნინო ბასილია **"თაგვი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.

*□□□□ 5 □□□□.*

**□□□□□□ □□□□□ □□□□ □□**
□. □□□□□□□□ □. 10

27.02, 28.02 (18.00) შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი. უილიამ შექსპირი **"ჰამლეტი"**. დამდგმელი რეჟისორი _ რობერტ სტურუა.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
*ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38*



24.02 (18.00) **"ჩემი გალაკტიონი"**. კითხულობს ელდინო საღარაძე.

25.02 (18.00) მარიო სანტანელი **"დედა-დედოფალი"**. სოფიკო ჭიაურელი, მურმან ჯინორია.

26.02 (18.00) თამაზ ბაძალუა **"ღამე და თუთიყუში"**. კითხულობს დუტა სხირტლაძე.

27.02 (18.00) **"გამოიღვიძე ქნარო"**. კოტე მახარაძის სპექტაკლი.

28.02 (18.00) **"დროთა კავშირი დაირღვა"**. კითხულობს მურმან ჯინორია.

*□□□□ 5 □□□□.*



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

27.02 (18.00) ა. გარნეი **"სასიყვარულო ბარათები"**. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.

28.02 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი **"ნატაძრალი"**. დამდგმელი რეჟისორი - ნუკრი ქანთარია.

01.03 (18.00) იასმინა რიზა "ART" **"ხელოვნება"**. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.

02.03 (18.00) ჟან მარსანი **"მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია"**. დამდგმელი რეჟისორი - დათო დოიაშვილი.

*ფასი 2-5 ლარი.*



**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

24.02 (16.00) ირაკლი ჯავახაძე **"შავი სიის კავალრები"**. დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.

25.02 (16.00) ლუდმილა რაზუმოვსკაია **"მარიამ სტიუარტი"**. დამდგმელი რეჟისორი - დავით მღებრიშვილი.

26.02 (16.00) ჯონ პრისტელი **"ინსპექტორის ვიზიტი"**. დამდგმელი რეჟისორი - კახაბერ გოგოლაშვილი.

27.02 (16.00) **"სამეფოო, ძველთა ძველო!"** აკაკის ლექსით მოთხრობილი ამბავი. ავტორი და დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საბრძოლო ხელოვნება

# კარატე – გზა ნატოს სტანდარტებისაკენ

**როდესაც ვეცნობით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ელიტარულ საბრძოლო ქვეგანაყოფთა შესაბამისი მომზადების კრიტერიუმებს, ნათელი ხდება, რომ თითოეული ჯარისკაცის თუ ოფიცრის ინდივიდუალური მომზადების ზემაღალი დონე გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთო, დასახულ, ურთულეს ამოცანათა წარმატებით გადაჭრის საქმეში და, აქედან გამომდინარე, საზოგადოდ, სახელმწიფოს სიძლიერის განსაზღვრაში.**

ნატო-ს ალიანსის ქვეყნები დიდი ხანია მეთოდურად მიდიან XXI საუკუნის ჯარის მშენებლობისაკენ, რომლის შექმნის ერთ-ერთი უპირველესი პირობა, ულტრათანამედროვე შეიარაღებასთან, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ ეკიპირებასა და სხვა მნიშვნელოვან პირველხარისხოვან საშუალებებთან ერთად, თითოეული მებრძოლის ფიზიკურ-ემოციონალურ-ინტელექტუალური მომზადების აღნიშნული დონე წარმოადგენს (ნათელია, რომ როგორც კი მებრძოლის ამ სამი მახასიათებლიდან ერთ-ერთი არ იდგება სათანადო სიმაღლეზე, მეტ-ნაკლებად დაიკლებს საერთო-საბრძოლო ეფექტურობა და აქედან გამომდინარე, დასახულ მიზანთა შესრულების ხარისხიც).

აღნიშნული ალიანსის სახელმწიფოები არ ერიდებიან არანაირი ხარჯების გაღებას, რათა, სპეციალური, მძიმე ვარჯიშების შედეგად მიიღონ ჯარისკაცი (ოფიცერი) – ინდივიდუმი, რომელსაც ეს სამი მახასიათებელი შესაბამისად ჰარმონიულად ექნება განვითარებული.

სწორედ ხსენებული დიდი ხარჯების არსებობა არის მიზეზი იმისა, რომ შემდგომში ასეთი „ძვირადღირებული" მებრძოლის ეკიპირება შეიცავს უმაღლესი კლასის ჯავშანაღკაზმულობას და სხვა საშუალებებს, რომლებიც, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იცავენ მას მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან. ცალკე აღსანიშნავია, რომ ეს ეკიპირებაც ძალიან ძვირფასია, მაგრამ ყველაზე ძვირფასის–ადამიანთა რესურსების გაფრთხილების შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში წინა პლანზე დგება წმინდა ეკონომიკური ინტერესებიც: უმჯობესი არის ისევ ის ძვირადღირებული, მაგალითად, ჯავშანჟილეტი ეცვას მეომარს, ვიდრე ნაკლებად საიმედო სხვა აღკაზმულობა, რომელიც სათანადოდ ვერ დაიცავს მას ბრძოლის ველზე, რის შედეგადაც „წყალში გადაყრილი" აღმოჩნდება ის უზარმაზარი თანხა, თითოეული მეომრის „ელიტარად" ქცევისათვის რომ იქნა გაღებული.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული, ულტრათანამედროვე საბრძოლო, როგორც დამცავი, ასევე შემტევი ეკიპირების სრულფასოვნად გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი „ელიტარის", ანუ ფიზიკურ-ემოციონალურ-ინტელექტუალურად მაღალი დონის მომზადების მქონე ჯარისკაცის, პიროვნების არსებობის შემთხვევაში.

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ საზოგადოდ, ადამიანის, მოქალაქის ამგვარი ფენომენის მიღების იდეალურ გზას, თავისი ღრმა, ფილოსოფიურ-შინაარსობრივი მახასიათებლების არსებობისა და ისტორიული შესაბამისი მაგალითების გათვალისწინებით, იაპონური საბრძოლო ხელოვნება კარატე წარმოადგენს.

კარატე, ეს არის ფსიქო-ფიზიკურ ქმედებათა ერთიანობა, ანუ წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური და სულიერი საწყისის, ფსიქიკისა და ორგანიზმის, შეცნობილისა და შეუცნობლის ურთიერთქმედებათა გამოხატულებას.

თუ ფიზიკურ სხეულთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად ყველაფერი გარკვეულია, „ელიტარის" ფსიქოლოგიური მომზადების საქმე უფრო რთულად არის! – მით უმეტეს, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ამერიკელი მეცნიერების მიერ დამტკიცებულ იმ ფაქტსაც, რომ ნამდვილ (და არა სასწავლო) ბრძოლებში, ზუსტად მოქმედებს მთლიანობაში ყველა სახეობის საჯარისო განაყოფების მეომართა მხოლოდ ერთი მეოთხედი ნაწილი. სამ მეოთხედს განსაკუთრებული შიში აქვს სიკვდილისა და შედეგად, ამ ჯგუფიდან შეუდარებლად უფრო მეტი იხოცება. თქმულს დავამატებდით, რომ აღნიშნული, ერთი მეოთხედი ნაწილის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს ელიტარულ სპეცქვეგანაყოფთა პირადი შემადგენლობა.

არსებობს უამრავი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, სამხედრო ექსპერტის შრომა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომზადდეს „ელიტარის" ფსიქიკა დასახულ რთულ ამოცანათა ზედმიწევნით ზუსტად შესასრულებლად. ძირითადად რეკომენდაციები იყოფა ორ, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით:

ერთნი ამტკიცებენ, რომ ცალკე ფსიქიკის ვარჯიში საჭირო არ არის – ავარჯიშე (ფიზიკური) სხეული და ეს თვითონ „დააყენებს" ფსიქიკას, ხოლო მეორენი (ძირითადად, შორეული აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა სპეციალურ ფსიქოტრენინგებზე დაყრდნობით) გვასწავლიან, რომ ფსიქიკით უნდა იმართებოდეს არა მარტო მთელი ფიზიკური სხეული, არამედ, ზოგიერთი ორგანოც ცალკე აღებული (!).

ამ მხრივ კარატეს შესასწავლი სისტემა უნიკალურია: მისი მიხედვით, მებრძოლის ფენომენის მისაღებად წვრთნა ხდება ჰარმონიულად ორივე მეთოდით, რომლის საბოლოო მიზანი არის ის, რომ ინდივიდუმის შემეცნებამ მიაღწიოს განსაზ-



ღვრულ მდგომარეობას, ე.წ. „სულის აუღელვებლობას" (იაპ. „მუ-სინ"), რომლის დროსაც მებრძოლისათვის „წყდება" განსჯა, ხოლო თანამედროვე ფილოსოფიის, ან ფსიქოლოგიის ენით თუ ვილაპარაკებთ, ეს არის ის მდგომარეობა, როდესაც „აზრი არსებობს მოძრაობაში", ანუ, როდესაც ადამიანის სხეული ხდება თავისივე შემეცნების ასე ვთქვათ, გამოძახილი, ავტომატი. ნებისმიერი ჩვენგანი მშვენივრად იცნობს ამ ფენომენს: მაგ. ქვეითად სიარულისას, ავტომანქანის მართვისას, სხვადასხვა ჩვეულებებისას – „გამორთულია" ადამიანის ლოგიკურ-განსჯადი აპარატი და ეს ყველაფერი გადატანილია ე.წ. ქვეცნობიერ რეჟიმში; ასეთ დროს ადამიანის შემეცნება, მისი აზრი, არ ჩერდება მაგალითად, სიარულისას – თითოეული ფეხის გადადგმის, ნაბიჯთან დაკავშირებულ განსჯადობაზე, ანდაც, მანქანის ტარებისას – პედალთა და სიჩქარეთა გადასართველი კოლოფის ურთიერთდამოკიდებულებების მიმდევრობათა აზრობრივ მსჯელობაზე და ა. შ.

კარატეს ოსტატები გვასწავლიან: „არ იფიქროთ არა თუ მოწინააღმდეგეზე, არამედ საკუთარ თავზეც! – როგორც კი აზრი შეჩერდება რომელიმე ობიექტზე, ეს იქნება მოწინააღმდეგის მუშტი თუ იარაღი და, თუ თქვენი აზრი მოექცევა როგორც მოწინააღმდეგის, ისე თქვენს ილეთთა ტყვეობაში, იმავე წამს დაკარგავთ კონტროლს საკუთარ თავზე, რაც მოასწავებს თქვენს გარდუვალ სიკვდილს!"

პარალელის გავლებისათვის: XXI საუკუნის ჯარისკაცის მისაღები პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება არის ის, რომ იდეაში, „ელიტარი", ბრძოლისას, თავისი შესაბამისი ფსიქოლოგიური მომზადების წყალობით, არ აქცევს ყურადღებას მოწინააღმდეგის პიროვნებას ისევე, როგორც საკუთარს. იგი წარმოადგენს მხოლოდ მშვიდ, გაწონასწორებულ მოწმეს სიკვდილ-სიცოცხლის შორის გათამაშებულ ფატალურ სპექტაკლში, რომელშიც, იმავდროულად, თვითონ იღებს ყველაზე აქტიურ მონაწილეობას. უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, „ელიტარი" ბრძოლას აწარმოებს ფიზიკურ სხეულზე ქვეშეცნეული ფსიქიკის ხელძღვანელობით, როდესაც აზრი (აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნება) არ ჩერდება არც ერთ ობიექტზე, არც ერთ წერტილზე. იდეაში, სუპერჯარისკაცი, თანამედროვე სტანდარტების პრინციპებით,ბრძოლისას განთავისუფლებული უნდა იყოს ნებისმიერი ხელისშემშლელი აზრისაგან, განსაკუთრებით ისეთისაგან, რომელიც უკავშირდება სიცოცხლესა და სიკვდილს, სიკეთესა და ბოროტებას, მოგებასა და წაგებას; მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მან სრულფასოვნად აღიქვას არსებული საბრძოლო ვითარება, გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი და იმავ ვითარების კანონებით ბრძოლაში ავტომატურად გამოვიდეს გამარჯვებული.

ნათელია, რომ ჯარისკაცმა, როგორც სასწავლო, ასევე რეალურ ბრძოლებში, რაიმე შესაბამისი სწორი ქმედება რომ ჩაიდინოს, პირველ რიგში მეყსეულად, გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, თუ რა არის დასახული მიზანი და როგორ უნდა მიაღწიოს მას. ეს მან რომ შეასრულოს, მისმა ფსიქიკამ შესაბამისი ცოდნის სამყაროდან უნდა „გაიხსენოს" და „აირჩიოს" კონკრეტული შემთხვევისათვის აუცილებელი ქმედება. ასეთი სახის „გახსენება" წარმოუდგენელია თავის დროზე ინტენსიური, ფიზიკურ-ფსიქო-ინტელექტუალური სპეციალური წვრთნის გარეშე, რომლის შედეგადაც, ზუსტად კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, რარიგ მოულოდნელიც არ უნდა იყოს იგი (და ასეთი სიტუაციები, მით უმეტეს, რეალურ ბრძოლებში საკმარისზე ბევრია), რეფლექსურ დონეზე მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას; აქედან გამომდინარე არის ერთი ნიუანსი, რომელიც ნებისმიერი ძლიერი არმიის, ძლიერი „ელიტარის" საბრძოლო მოქმედებისას არის გასათვალისწინებელი: როგორც წესი, ნებისმიერი ოპერაციის ჩასატარებლად მზადდება რამდენიმე პარალელური გეგმა, რომლებიც ითვალისწინებენ გაუთვალისწინებელი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას, ანუ ნებისმიერ ასეთ შემთხვევას თავისი პასუხი-გეგმა უპირისპირდება, მაგრამ, თვით მოწინავე ქვეყნების არმიებშიც, არც თუ ისე იშვიათად (რაც ერაყში ჩატარებულმა „უდაბნოს ქარიშხალმაც" აჩვენა) ელიტარული ქვეგანაყოფებიც ვარდებოდნენ ასე ვთქვათ „გაუთვლელ" სიტუაციებში, საიდანაც გამოსვლის და მეყსეულად უშეცდომო გადაწყვეტილების მიღების უპირობო გარანტად, იდეაში, ჩვენს მიერ უკვე ხსენებული „სულის აუღელვებლობა" – „მუ-სინ" მოგვევლინებოდა და რაც, ისევ და ისევ, ვიმეორებთ, თავის დროზე (რა თქმა უნდა, უმჯობესია ბავშვობის ასაკიდან) კარატეში რამდენიმეწლიან, სწორად ვარჯიშით მიიღწევა. ძირითადი საშუალება ამ მდგომარეობის მიღწევისა არის სიკვდილის შიშის დაძლევა, რაც არის კიდეც უმთავრესი მიზანი ამ შესანიშნავი საბრძოლო ხელოვნების ნებისმიერი სტილის სწავლების სისტემაში.

როგორც ვიცით, შიში წარმოგვიჩნდება ემოციად, განცდად, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ბიოლოგიურ ან თუნდაც სოციალური კეთილდღეობისადმი დამუქრების შედეგად. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად რეალურია ეს მუქარა. ის შეიძლება იყოს მოჩვენებითი. მთავარია, ვისაც ეშინია, მან მიიღოს ის, როგორც რეალური. შიშმა ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა, დაწყებული გაქცევიდან, გაგრძელებული უკონტროლო აგრესიით და ა.შ. განსაკუთრებულ შემთხვევებში შიში იწვევს სისხლძარღვთა შევიწროებას, ნივთიერებათა ცვლის შენელებას და შედეგად, ადამიანის ორგანიზმი პრაქტიკულად სრული უმოქმედო ხდება.

იხ. მე-15 გვ.

სტაჟირებაზე — სამხრეთ ამერიკაში

# შორია არგენტინამდე

## თუმცა ყველასათვის – არა



**როგორც მარშან გაუწყეთ, საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარის ბატონ ნიკო პატარქალიშვილის ინიციატივით კიდევ უფრო გაღრმავდა მჭიდრო კონტაქტები არგენტინულ მხარესთან, რაც იქაურ ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრში (ხელმძღვანელი – 1975-79 წლებში ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ედუარდო ემილიო დელგადო) სტაჟირებაზე თბილისის „ნორჩი დინამოელის" 18 წლის მეკარის დავით ჯვარშეიშვილის გამგზავრებაში გამოიხატა.** პირველი ნაბიჯი ცნობილი ქართველი მწვრთნელის, გრიგოლ გაგუას სახელობის „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ოთარ შენგელიას რეკომენდაციით გადაიდგა. გამოცდილ სპეციალისტს ალღომ არ უმტყუნა – დათომ სამშობლოში მიღებული გაკვეთილებით უცხო მიწაზეც საუკეთესოდ წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები და პირველივე ვარჯიშებიდან შეაყვარა თავი მარადონას თანამემამულეებს. აღიარებამაც არ დააყოვნა – ნიჭიერი ჭაბუკი აღნიშნულ ცენტრში გატარებული ნაყოფიერი პერიოდის შემდეგ დელგადომ პრიმერა „ბ" დივიზიონის კლუბ „დეფენსორ დე ბელგრანოს" მწვრთნელს პაბლო კომეჟეს წარუდგინა, რომელიც ახლო წარსულში 6 სეზონის განმავლობაში იცავდა სახელგანთქმული „რივერ პლეიტის" სპორტულ ღირსებას. ასე რომ, შემთხვევითი სრულიადაც არ გახლავთ, სტაჟირებაზე ჩასული პირველი ქართველი მეკარით ადგილობრივი საფეხბურთო წრეები რომ დაინტერესდნენ. მალე კიდევ ერთი კონკრეტული წინადადება გამოჩნდა – ისევ და ისევ ედუარდო ემილიო დელგადოს პროფესიული რჩევით დათომ პრიმერა „ა" დივიზიონის ბინადარ „ჩაკარიტა ხუნიორსის" თანატოლთა გუნდში განაგრძო დაოსტატება. ალბათ, ჩვენებურის ზედმეტ ქებად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ მთელ სამხრეთ ამერიკაში თავისი საქმის ავტორიტეტულ ფიგურად ცნობილი ბატონი დელგადოს ასეთი ყურადღებით, მამაშვილურ ურთიერთობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბევრი მისივე თვისტომი ვერ დაიკვეხნის. მეტიც, როგორც შევიტყვეთ, შორს არ არის ის დღე, როცა დავით ჯვარშეიშვილი ერთწლიანი სტაჟირების დასკვნით ნაწილს „სან-ლორენცოსა" და „რივერ პლეიტის" ახალგაზრდულ შემადგენლობებში გაივლის.

ჩაროზად ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც გაგაცნობთ – ბატონი ნიკო პატარქალიშვილის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით თბილისელ ყმაწვილს ბავშვობისდროინდელი ოცნებაც აუხდა – მან თვით უბალდო მატილდო ფილოლი გაიცნო, რომელიც ამჟამად არგენტინის ნაკრები გუნდების მეკარეთა მწვრთნელია. გაცნობა ამ შემთხვევაში მეტისმეტად მოკრძალებულ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს – მალე მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონმა დათოში ტალანტით დაჯილდოებული კოლეგა და, თქვენ წარმოიდგინეთ, უმცროსი მეგობარი შეიცნო. საილუსტრაციოდ მოგახსენებთ, რომ თავისუფალი დროის დეფიციტის მიუხედავად, ტიტულოვანმა მასპინძელმა საკუთარ საფეხბურთო სკოლაში მიიწვია ჯვარშეიშვილი და ძვირფასი კონსულტაციების შემდეგ თავისსავე კაფეში დაპატიჟა...

**გია პლატონიშვილი.**

**სურათებზე: ოცნება რეალობად იქცა – უბალდო მატილდო ფილოლი და დავით ჯვარშეიშვილი; ქართველი ჭაბუკები „ბოკა ხუნიორსის" მშობლიურ სტადიონ „ბომბონერას" ტრიბუნაზე.**

P.S. **არგენტინის ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრი ამა წლის მარტიდან მზადაა ფართო მასშტაბით ნიჭიერ ქართველ ჭაბუკთა სამასპინძლოდ, რომლებიც აქაურ მწვრთნელთა წარდგენით გაივლიან სტაჟირებას და მშობლიურ კლუბთან ერთად, ვიმედოვნებთ, ეროვნული ნაკრების კანდიდატად დაგვიბრუნდებიან. მსურველებს კიდევ ერთხელ გთავაზობთ საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის საკონტაქტო ტელეფონს: 899-23-55-20.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## საბრძოლო ხელოვნება

# კარატე – გზა ნატოს სტანდარტებისაკენ



**(მეთოთხმეტე გვერდიდან)**

შიშის შეგრძნება შეიძლება დაკავშირებული იყოს წარსულში გადატანილ რაიმე ხიფათთან, ან სიკვდილთან დაკავშირებულ განსაზღვრულ აზრებთან. ნებისმიერი ადამიანისათვის სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ წინასწარ არავინ არ იცის როდის მოკვდება. კარატეს დიდი ოსტატები გვასწავლიან: „აზრი აქვს გვეშინოდეს იმის, რაც გარდუვალია?–პიროვნული ღირსება, სიამაყე, პატივისცემა საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ, ეს ისეთი რამ არის, რომლის გარეშე ცხოვრება თავმოყვარე მებრძოლისათვის წარმოუდგენელია. ამიტომაც, ამის გულისთვის შეიძლება და საჭიროა კიდევაც თავიც გაწირო! შესაბამისად, ყოველთვის მზად უნდა იყო სიკვდილთან შესახვედრად დამოუკიდებლად იმისა, რამდენი ხანი მოასწარი ამ ქვეყანაზე ცხოვრება და რა საქმეები დაგრჩა კიდევ გასაკეთებელი!“

კარატეში მრავალწლიანი სწორად მეცადინეობით მებრძოლი არა მარტო გებულობს, რომ სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, არამედ ისისხლხორცებს იმასაც, რომ ამ ქვეყანაზე არის საკითხები, რომლებიც ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე სიცოცხლე და ეს ყველაფერი ეტაპობრივად გადადის მისი ფსიქიკის ქვეცნობიერ სფეროში.

კარატეს პრინციპებით,შიშის დაძლევა შესაძლებელია ორი გზით: პირველი, რომლის შესახებადაც ნაწილობრივ ზევითაც გვქონდა საუბარი, ეს არის თვითგადარჩენის შესახებ ლოგიკური აზროვნების დათრგუნვა. მეორე–შიშის ძლევა ხდება ლოგიკურ-განსჯადი აპარატის გამორთვით და მოქმედებების „ავტოპილოტზე“ გადასვლით. ამ შემთხვევაში, ფსიქიკის ქვეშეცნეული სფერო, რომელიც უკვე სათანადოდ არის ნავარჯიშები, „ვერ ხედავს“ სიკვდილის მუქარას და ამიტომაც „არ ეშინია“.

იდეაში, ორივე გზა უნდა იყოს გაერთიანებული. ამ შემთხვევაში მებრძოლი, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიდაც მოქმედებს თავისუფლად და თვითდაჯერებულად. უფრო მეტიც, ის ავლენს ისეთ შესაძლებლობებს, რომელთა შესახებ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ოცნება თუ შეუძლია. თუმცა, ასეთი განსაკუთრებული, ზემძლავრი თვისებების გამოვლენა არ ხდება მხოლოდ სურვილთა დონეზე. ამისთვის აუცილებელია მრავალწლიანი, შეუპოვარი, ძალიან მძიმე ვარჯიშთა სისტემის გავლა და ასეთი სისტემა (სისტემები) ისევ ვიმეორებთ, კარატეს ნებისმიერ სტილის სასწავლო პროგრამაში დევს.

რისთვის არის საჭირო აზროვნების „გამორთვა“ სუპერჯარისკაცისთვის? – უკეთ რომ გავერკვეთ ამ საკითხში, განვიხილოთ იგი სხვა სიბრტყიდან: დადგენილია, რომ ტვინის ფსიქიკური ფუნქციები გაყოფილია მის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროთა შორის. მარცხენა ნახევარსფეროს ფუნქციას წარმოადგენს სიტყვიერ-სიმბოლური ინფორმაციის გადამუშავება, აგრეთვე კითხვა, თვლა და ა.შ. მარჯვენა ნახევარსფეროს ფუნქციას სივრცეში ორიენტაცია, მოძრაობის კოორდინაცია, რთული ობიექტების (მაგალითად, პიროვნებათა, სხვადასხვა ფიგურათა, ფერთა) გარჩევა და ა.შ. იმავდროულად, ნახევარსფეროებთა შორის განსხვავება განისაზღვრება არა იმით, თუ რა ინფორმაციას იღებენ ისინი გრძნობის ორგანოებიდან, არამედ იმით, თუ ამ სიგნალს როგორ გამოიყენებენ (გადაამუშავებენ). მარცხენა ნახევარსფერო განკარგავს აბსტრაქტულ-ლოგიკური გადამუშავების მეთოდებს და შედეგად, მუშაობს წყვეტილად და თანამიმდევრულად (ეტაპობრივად). მარჯვენა გადაამუშავებს ინფორმაციას ერთბაშად, რომლის დროსაც მეყსეულად „იჭერს“ ობიექტთა მრავალრიცხოვან თვისებებს, მთლიანობაში აღებულს! –ბრძოლის ველზე, იდეაში, „ელიტარს“ გააქტიურებული უნდა ჰქონდეს მარჯვენა ნახევარსფეროს ფუნქცია, ხოლო მარცხენა ნახევარსფეროსი, ასე ვთქვათ, „დამუხრუჭებული“. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: მარჯვენა ნახევარსფერო „პასუხს აგებს“ სივრცეში ორიენტაციაზე, მოძრაობის სისწრაფეზე და მის კოორდინირებაზე. ნებისმიერი სიტუაციის აღქმა, მის სივრცობრივ-დროებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მაგალითად დაზვერვისას, ან სულაც – მოწინააღმდეგესთან შეტაკებისას, ხდება ასევე მარჯვენა ნახევარსფეროთი, რომლის მუშაობა მებრძოლს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად იგრძნოს თავი მოვლენათა განვითარების მოცემულ მომენტში. დადგენილია, რომ მარჯვენა ნახევარსფეროთი სიტუაციის ამოცნობას სჭირდება მხოლოდ 60 მილიწამი, მაშინ, როდესაც მარცხენა ნახევარსფეროს საშუალებით იგი ხდება 320 მილიწამის განმავლობაში. ნათქვამს თუ გადავიტანთ საბრძოლო შინაარსში, შეიძლება მან ასე გაიჟღეროს: ბრძოლისას, ჯარისკაცის წინააღმდეგ თუ ორი თანამიმდევრული შეტევა მოხდება დროის ბოლო აღნიშნულ ინტერვალზე მოკლე ხნის განმავლობაში, მებრძოლი ფიზიკურად ვერ შეძლებს მეორეზე ადეკვატურ რეაგირებას და შესაბამისად, ყოველი ჯარისკაცისთვის ყოველი ასეთი „მეორე“ შეტევა მეტნაკლებად ტრაგიკულად დამთავრდება. კარატეში სწორად მეცადინეობა ხელს უწყობს ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს გააქტიურებას, რის შედეგადაც კლებულობს ტკივილის მიმართ შეგრძნება, დუნდება ხელისშემშლელი, არასათანადო კრიტიკული დამოკიდებულება გარშემო არსებული სიტუაციისადმი, შესაბამისად, ეტაპობრივად ქრება ლოგიკურ-განსჯადი რეაქცია რეალური ხიფათის მიმართ და საბოლოო შედეგად ვიღებთ ზემოაღნიშნულ, სიკვდილის მიმართ უშიშარ დამოკიდებულებაში მყოფ და იმავდროულად, საბრძოლო ვითარების სრულ ბატონ-პატრონ მებრძოლს, რომელიც მზად არის „ბოლომდე“ საბრძოლველად.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან და სხვა მრავალი იმ სარგებლიდან გამომდინარე, რაც კარატეს შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ძლიერი ჯარის შესაქმნელად (მით უმეტეს, რომ საქართველოს არასდროს არ ეყოლება განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი არმია და შეიძლება ითქვას, ამის გამო თვითეული ჯარისკაცი თუ ოფიცერი, იდეაში, თავისი ფსიქოფიზიკური საბრძოლო მომზადების დონით „ელიტარს“ უნდა წარმოადგენდეს) უპრიანი იქნება სახელმწიფომ მძლავრ იარაღად გამოიყენოს ეს საბრძოლო ხელოვნება აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

ჩვენს შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ ყველაფრის მიღწევა შეიძლება კარატეს მხოლოდ და მხოლოდ ჯარში სწავლებით. ჯერ ერთი, ამ ხელოვნების მეტნაკლებად საფუძვლიანად ათვისება და შემდგომში ზემოაღნიშნული ფენომენის მიღება (რაც მიიღწევა მრავალსაათიანი ყოველდღიური სწორად ვარჯიშით) შეუძლებელია ჯარისკაცის ცხოვრების დღის განრიგის გათვალისწინებით და მეორეც: შეუდარებლად უფრო ადვილი იქნება ბავშვობაში კარატეს პრინციპებით წრთობამიღებულ ახალგაზრდა მებრძოლთან შესაბამისი მუშაობის ჩატარება შემდგომში მის სრულყოფილ ჯარისკაცად ჩამოყალიბებისთვის და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, შეუდარებლად უფრო ნაკლები თანხა და იმავდროულად, დროის შედარებით მცირე მონაკვეთი დაეხარჯება ძლიერი, თანამედროვე ჯარისკაცის ფენომენის მისაღებად.

და ბოლოს: ჩვენს სტატიაში არაერთხელ გამოვიყენეთ გამოთქმა „კარატეში სწორად ვარჯიში“! – ამით გვინდოდა ხაზი გაგვესვა ყველაფერი ზემოაღნიშნულის იმ აუცილებელ წინაპირობაზე, რომელიც წარმოადგენს მრავალწლოვანი ტრადიციების მქონე სპეციალურ, საბრძოლო სისტემათა ჰარმონიულ ნაკრებს, რომელთა სწავლებაც, მიუხედავად ასე მომრავლებული კარატეს სექციებისა, აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება! – რბილად რომ ვთქვათ, ამ სექციათა ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა! თუმცა, საქართველოში არის რამდენიმე ფედერაცია, მათში მოღვაწე რამდენიმე ინსტრუქტორი, კარატეს ოსტატი, როგორებიცაა მაგალითად: მსოფლიოს ჩემპიონი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტრადიციული კარატეს მთავარი ინსტრუქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს კარატე დოს ფედერაციის პრეზიდენტი – კახა ბასილია; ოკუნავური გოჯურიუ კარატეს საერთაშორისო ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორი, საქართველოს გოჯურიუ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი – პაატა ჭელიძე და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, 1998 წლიდან საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ყველა სპორტის სახეობაში საქართველოს 2001 წლის 10 საუკეთესო მწვრთნელთაგანი, კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის წარმომადგენელი – ანზორ ჩუბინიძე, რომელთა გამოყენებაც ვფიქრობთ, წაადგება ჩვენს ქვეყანას ძლიერი ჯარის მშენებლობის საკითხში; ამისათვის საჭირო იქნება, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ ოსტატთა ცოდნის გამოყენება როგორც საჯარისო ნაწილებში, ასევე, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება მათი შესაბამისი დასაქმება წვევამდელთა სათანადოდ მომზადების საქმეში (სხვათა შორის, საქართველოს კარატე დოს ეროვნულ ფედერაციას შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა აღნიშნულთან დაკავშირებით!).

**კახაბერ მარკოზაშვილი,**
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის დირექტორი, საბრძოლო ხელოვნების შემეცნების კლუბ „ბონსაის“ საბჭოს თავმჯდომარე.

## მხოლოდ შედეგები

### რაგბი

**ექვსი ერის თასი.** უელსი – ინგლისი 9:26, იტალია – ირლანდია 13:37.

### ფეხბურთი

**იტალია.** „კომო“ – „იუვენტუსი“ 1:3, „ტორინო“ – „მილანი“ (ტრიბუნებზე დაწყებული არეულობის გამო შეწყდა 0:3-ზე).

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ვალიადოლიდი“ 3:1, „ბარსელონა“ – „ბეტისი“ 4:0, „დეპორტივო“ – „ალავესი“ 6:0.

**ინგლისი.** „სიტი“ – „არსენალი“ 1:5, „ბოლტონი“ – „მანჩესტერი“ 1:1, „ჩელსი“ – „ბლექბერნი“ 1:2, „ლიდსი“ – „ნიუკასლი“ 0:3, „ჩარლტონი“ – „ასტონ ვილა“ 3:0, „ევერტონი“ – „საუთჰემპტონი“ 2:1, „სანდერლენდი“ – „მიდლსბრო“ 1:3.

**გერმანია.** „ვერდერი“ –„კოტბუსი“ 0:1, „ბაიერნი“ – „ნიურნბერგი“ 2:0, „ვოლფსბურგი“ – „მიუნხენი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ – „ჰამბურგი“ 2:0, „ჰანზა“ – „ბოხუმი“ 1:1, „ჰანოვერი“ – „ლევერკუზენი“ 1:2, „შალკე“ – „ბორუსია“ 2:2.

**საფრანგეთი.** „გენგამი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 3:2, „ნანტი“ – „აიაჩო“ 1:0, „სედანი“ – „ბორდო“ 0:1, „სოშო“ – „ჰავრი“ 1:0, „მარსელი“ – „ლილი“ 2:0, „ლანსი“ – „მონპელიე“ 4:0, „ბასტია“ – „ნიცა“ 1:1, „ლიონი“ – „რენი“ 4:1, „ტრუა“ – „სტრასბური“ 1:0.

**პორტუგალია.** „ბრაგა“ – „ბელენენსეში“ 1:1, „სეტუბალი“ – „ბენფიკა“ 2:6.

**ჰოლანდია.** „ნაიმეგენი“ – „გრააფსხაფი“ 1:0, „ექსცელსიორი“ – „როზენდალი“ 1:2, „როდა“ – „ტვენტე“ 2:0, „ვიტესი“ – „ალკმაარი“ 2:2, „ეინდჰოვენი“ – „ბრედა“ 1:0.

**ბელგია.** „ვესტერლო“ – „ლოკერენი“ 1:3, „ბევერენი“ – „ბეერსხოტი“ 3:1, „გენკი“ – „შარლერუა“ 3:0, „სტანდარდი“ – „ლიერსი“ 1:1, „მეხელენი“ – „სენტ ტრუიდენი“ 0:0, „ანტვერპენი“ – „მონსი“ 0:1.

### კალათბურთი

**საქართველოს ჩემპიონატი.** სსუ – აკადემია 78:65, „დინამო“ – „აზოტი“ 98:86.



## მსოფლიო შტრიხებში

### წითელი დანა-ჩანგალი და ფეხბურთი?

დიდ საგონებელში ჩავარდა ინგლისის ქალაქ ლიდსის ერთ-ერთი კაფეს მეპატრონე, თავის მუშტრებს ბრიტანეთისათვის ტრადიციული კერძით კარტოფილიანი თევზით რომ უმასპინძლდებოდა. კაფეში ხალხი თანდათან ილეოდა, ამის მიზეზისათვის კი ვერ მიეგნო... ის ძალზე მარტივი გამოდგა – კაფეში ხმარობდნენ წითელი ფერის პლასტიკატისაგან დამზადებულ ჭურჭელს – დანა-ჩანგალს, თეფშებს, რაც თურმე ფეხბურთის ლიდსელ გულშემატკივრებს თავიანთი გუნდის „ლიდსის“ დაუძინებელ მტერს – „მანჩესტერ იუნაიტედს“ აგონებდა. მიკ ბეილის კაფე კი სწორედ „ლიდსის“ საშინაო სტადიონის „ელანდ როუდის“ გვერდით მდებარეობს.

ბოლოს და ბოლოს ბეილი მიხვდა, რომ წითელი ფერით გამოწვეული მეტოქის ასოციაცია ხელს უშლის მუშტრებს საყვარელი თევზეულის დაგემოვნებაში. დანა-ჩანგლის ნაცვლად, ისინიც ხელით ჭამას ამჯობინებდნენ. ახლა კაფეში ხის ჭურჭელს ხმარობენ, ის ხომ ნეიტრალური ფერისაა.

„ლიდსის“ ერთ-ერთი ფანატი – გარეტ ჰემინგუეი – უფრო შორს წავიდა: „მატჩის დღეს პომიდორის კეტჩუპსაც აღარ ვჭამ, წითელ ჩანგალს ხომ დიდი ხანია არ ვეკარები“.

### დამზადებულია ჩინეთში

აბა, კარგად შეამოწმეთ, სპორტული ფეხსაცმელი, თქვენ რომ გაცვიათ, ჩინეთში ხომ არაა დამზადებული?

წელიწადში 1 მილიარდ წყვილ ფეხსაცმელს, ე. წ. „ბოტასებს“ ამზადებენ ჩინეთში, რაც ამ ფეხსაცმლის მსოფლიო წარმოების 50 პროცენტია, – იტყობინება ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო ჩჟუნგო სინვენიშე.

სპორტული ფეხსაცმლის საწარმოები ძირითადად თავმოყრილია ფუძიანის, გუანდუნის, ჩჟეძიანისა და შანდუნის პროვინციებში.

### ამინდმა დაბადების დღე ჩაუშალა

მძლავრმა თოვლ-ჭყაპიანმა ქარიშხალმა 4 მარტამდე გადაადებინათ აშშ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მესვეურებს „ვაშინგტონისა“ და „ტორონტოს“ მატჩი. „უიზარდზის“ პრეზიდენტის სიუზარ ო′ მელის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია მოთამაშეებისა და სხვა პერსონალის უსაფრთხოების მიზნით. კალათბურთის ჯადოსნების მატჩის გარდა ქალაქში გადაიდო კიდევ რამდენიმე სპორტული ღონისძიება.

ასე რომ, ამინდმა დაბადების დღე ჩაუმწარა ლეგენდარულ კალათბურთელს მაიკლ ჯორდანს – მას 40 წელი შეუსრულდა და ეს მატჩი მის პატივსაცემად ეროვნული ტელევიზიით უნდა ეჩვენებინათ.



**სპორტის რედაქცია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სოფელი ჭარნალი (ხელვაჩაურის რ-ნი). რკინის სადნობი უძველესი ქურები. მეცნიერთა ჯგუფი — შუაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.

მოგვაწოდა იური სიხარულიძემ.

## ღიმილის დოზა



ნისლიანი დღეა. დგას პატარა ზღარბი ხრამის პირას და იძახის:

— და-თუ-ნი-ააა!

იქვე ცხენი ბალახს ძოვს. მობეზრდა ზღარბის გაუთავებელი ძახილი და ეუბნება:

— მისმინე, ზღარბო! მორჩი ყვირილს, თორემ წიხლს ამოგცხებ!

მაგრამ ექსტაზში შესულმა ზღარბმა ყურადღება არ მიაქცია ცხენის გაფრთხილებას და განაგრძო ყვირილი:

— და-თუ-ნი-ააა!

აევსო ცხენს მოთმინების ფიალა, გამოქანდა ზღარბისთვის წიხლის ამოსარტყმელად, მაგრამ ზღარბი სულ ბოლო მომენტში გაეცალა, ცხენმა თავი ვერ შეიკავა და ხრამში გადავარდა.

ამოიოხრა საწყალობლად ზღარბმა, დადგა ხრამის პირას და:

— ცხე-ნუ-კააა!

## სხვისი კარიკატურა



ჟურნალიდან „სემ დნეი“.

## მსოფლიო შტრიხებში

### ყველაზე მდიდარი „ღარიბი“

ჩვენი გენიალური მხატვრის ფიროსმანის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიო სახელის ყველა



ფერმწერი თუ მოქანდაკე ღარიბი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყველგან და ყოველთვის ასე როდია. მაგალითად, ფუნჯისა და საჭრეთლის დიდოსტატი იტალიელი მიქელანჯელო თავს ღარიბებს მიაკუთვნებდა. მაგრამ როგორც ამერიკელმა მეცნიერმა, სირაკუზის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა პროფესორმა რებ ჰეტფილდმა დაადგინა, მსოფლიო ხელოვნების შედევრების ავტორი — ვატიკანის სიქსტინის კაპელის ჭერის მომხატველი, რომში წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათის დამპროექტებელი და დავითის გრანდიოზული ქანდაკების (ახლაც რომ დგას ფლორენციაში) გამომძერწველი — ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. იტალიაში ახლახან დასტამბულ პროფესორის წიგნს „მიქელანჯელოს სიმდიდრე“ თუ დავუჯერებთ, ის ღარიბი კი არა, ძალზე ხარბი და ძუნწი კაცი ყოფილა.

ამერიკელ სწავლულს ბედმა გაუღიმა და მან იტალიის არქივებში მიაგნო სასწაულად გადარჩენილ რომისა და ფლორენციის საბანკო ანგარიშებს, აგრეთვე, უამრავ ნასყიდობის სიგელს, პლანეტის უდიდეს მხატვარსა და მოქანდაკეს რომ ეკუთვნოდა.

სიკვდილის შემდეგ მას დარჩა 50 ათასი ოქროს დუკატი, რაც თანამედროვე ფულზე გადაყვანით, დაახლოებით 55 მილიონ დოლარს უტოლდება, ეს კი მოწმობს, რომ „ღარიბი“ შემოქმედი ბევრ ევროპელ მეფესა და პრინცზე უმდიდრესი ყოფილა.

მიქელანჯელოს ძალზე ჰყვარებია ნაღდი ფული და საწოლის ქვეშ, ხის სკივრში მუდამ ჰქონდა დიდი თანხა. მისი სიკვდილის შემდეგ ამ სკივრში ნახეს 8400 დუკატი, თუმცა დიდი შემოქმედი ამჯობინებდა ფულის ჩადებას უძრავ ქონებაში. მას ეკუთვნოდა დიდი მამული რომის მახლობლად, აგრეთვე, ბევრი სახლი რომისა და ფლორენციის ცენტრში.

თქმა არ უნდა, ფულს მიქელანჯელო თავისი ოფლითა და სისხლით მოიპოვებდა, თუმცა არა ყოველთვის პატიოსანი გზით. მისი ყველაზე გულუხვი დამკვეთი იყო ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი, რომის პაპი იულიონ II. მან ხელოვანს უზარმაზარი ავანსი გადაუხადა მისი დიდებული აკლდამისათვის, მარმარილოს ორმოცი ქანდაკების შესაქმნელად. მიქელანჯელომ მხოლოდ სამი ქანდაკება გააკეთა. ავანსი კი არ დაუბრუნებია. თუმცა მხოლოდ ერთი მათგანი, მსოფლიო ხელოვნების ნიმუშად რომაა აღიარებული — მჯდომარე მოსე ახლა აუქციონზე რომ გაიტანონ, ზღაპრულ თანხაზე გაიყიდებოდა. ისე რომ, პაპთან ვალში არ დარჩებოდა.

### შვარცენეგერი მილიონებს მოითხოვს

ამერიკელი კინოვარსკვლავები სასამართლოში ჩივიან და მილიონობით დოლარს მოითხოვენ ნებართვის გარეშე მათი გამოსახულებების რეკლამაში გამოყენებისათვის.

მაგალითად. არნოლდ შვარცენეგერი უჩივის ოჰაიოს შტატის ავტომანქანებით მოვაჭრეებს და საკომპენსაციოდ მათგან 20 მილიონ დოლარს მოითხოვს. ასე შეაფასა კინოვარსკვლავმა ის ზარალი, რაც მარშან აპრილში ავტომობილების გაყიდვის შესახებ გაზეთი „ბიკონ ჯორნალში“ გამოქვეყნებულმა რეკლამამ მოუტანა. ზომით არცთუ დიდი რეკლამა მოთავსებული იყო სხვა მსგავს განცხადებებს შორის, მაგრამ სხვებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას ამშვენებდა 2,5X2,5 სანტიმეტრის ზომის მსახიობის პორტრეტი.

თუ როგორ შეიტყო პოპულარულმა მსახიობმა და სპორტსმენმა ამ რეკლამის თაობაზე, უცნობია. მაგრამ უკვე დაიწყო სასამართლო საქმე, „არნოლდ შვარცენეგერი „ფრედ მარტინ მოტორ კომპანიის“ წინააღმდეგ.“ მომჩივანი ამტკიცებს: კომპანიამ გამოიყენა მისი გამოსახულება მისი თანხმობის გარეშე და ამით დაარღვია კინომსახიობის აკრძალვა — აშშ ტერიტორიაზე არ გამოიყენონ მისი გამოსახულება რეკლამისათვის.

მსახიობის მოთხოვნილ ასეთ დიდ თანხას შვარცენეგერის ადვოკატი მარტინ სინგერი იმით ხსნის, რომ დაახლოებით სწორედ ასეთ თანხას სთავაზობენ მას რეკლამაში გადაღებისათვის.



## სანთელი

# მონატრება



თებერვლის 25-ში ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენ უშენოდ ვცხოვრობთ, რაც სამუდამოდ დაგკარგეთ...

უსასრულო და ხანგრძლივი მეჩვენება უშენოდ გასული ყოველი თვე... ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. იმასაც ამბობენ — მხოლოდ დრო განსჯისო ყველაფერს.

ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ, ვაი, რომ ყოფილა ტკივილი, რომელიც თანდათანობით უფრო გიმძაფრდება და გთრგუნავს; ყოფილა დანაკარგი, რომლის შევსება წარმოუდგენელია თავისი უაზრობის, აბსურდულობის თუ უსამართლობის გამო.

რომ იცოდე, როგორ გაგვიჭირდა უშენობა, რარიგ დაგვაკლდი... შენთან საუბარი მომენატრა; შენი კეთილი ღიმილი; შენი თბილი, ოდნავ ირონიული გამოხედვა; შენი ხმა...

სულ ექვსი ათეული წელი გამოიმეტა შენთვის ბედმა თუ ბედისწერამ... არ ვიცი, შენს გარეშე ყოფნის რამდენი წელი გვარგუნა ჩვენ არსთა გამრიგემ, მაგრამ უკლებლივ ყველა უშენობის სუსხით იქნება დაზაფრული.

ახლა შენს ნაცვლად შენი სურათი გვიცქერის კედლიდან... ახლა, ყოველ ამ დღეს შენს საფლავთან უნდა შევიკრიბოთ... ახლა უშენოდ დავაქკაცდება შენი დათო და მას ეცოდინება, რომ შენ ჩვენთვის სიკეთის, კეთილშობილების, რაინდული ერთგულების, კაცური ღირსების და თავდადების მაგალითი იყავი.

დინჯი და თავშეკავებული, გამორჩეულად თავმოყვარე და ამაყი, არასდროს კარგავდი წონასწორობას. არც ჩვენ და არც საკუთარ თავს არ აპატიებდი უმეცრებას და უკეთურობას. საოცარი ნებისყოფა გქონდა. ზედმეტ ფორიაქს გაურბოდი; ყოველთვის პოულობდი საჭირო სიტყვებს სხვათა დასამშვიდებლად. უშურველად გასცემდი და სრასახლები არ გინატრია. ბუნებით მშვიდს ბობოქარი და ამავე დროს სათუთი სული გქონდა, საოცარი მიტევების უნარი გაგაჩნდა, თანადგომა და თანალმობა მტრისადმიც გჩვეოდა...

ყველასათვის იმედი და ნუგეში იყავი, იმ ერთ საბედისწერო წამს კი შენს გვერდით არავინ აღმოჩნდა შენსავით საიმედო, შენსავით ერთგული... — „ხე წაქცეული უფრო ადვილად გაიზომებაო“... შენმა უდროო წასვლამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, ბევრი რამ გახადა ცხადი, აშკარად დაგვანახა სიკეთისა და ბოროტების საზღვარი...

გავა წლები...

სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს...

ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა...

ალბათ, ჩვენც ვისწავლოთ თანდათან როგორ გავუმკლავდეთ უშენობას...

მე კი მუდამ საამაყოდ მექნება, რომ ისეთი ღირსეული ადამიანის ძმისშვილი ვარ, როგორიც იყო ნუზზარ საჯაია.

მანანა საჯაია.

---

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დეპარტამენტის თანამშრომლის შოთა ჯვარშეიშვილის ვაჟის

თემურ ჯვარშეიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge